**მამული**

www.mamuli.com დააწკაპუნე

№7 (29), 2006 წლის მაისი

## 17-18 ივნისს, პირველად ამერიკაში ქართული «იუმორინა» ნიუ-იორკში

## პრეზიდენტ ბუშის სატელევიზიო მიმართვა ემიგრაციის კანონთან დაკავშირებით



შეხედეთ ამ სახეს! იგი მუხაა! ქართული წარმართობის მდიდარი მენტალიტეტი, რაინდული პოეტიკის მედიტაციური სიბრძნე, კოლხ იბერთა თვითგამორკვევისა და მითიური ხელმწიფების საწყისი, კარდუს ეთნოსის ჩუქურთმადხლართულ ტოტებში თვალით ნაქარგ-ნაქსოვი ფანტაზიის ასტრალური კოდი, ღმერთება რომ უდევს საფუძვლად და ღმერთკაცობის ფესვეული სამკვიდრებელი, ახალ ერაში რომ შეუცვლელად გადმოვიდა მისი ნოყიერი ნიადაგი.

იგი ეფერება ვაზს! - ჯარისკაცის მამა... და ეს მაშინ, როცა თანამედროვეობა შეუბრალებელი კლანჭებით და როგორი სისწრაფით სპობს ტახტებს. რამდენი მონარქი მოჰყვა ქვეშ სასახლის ნანგრევებს, შფოთით და გვგვინვით მიანგრევენ კელდებს ბებერი ომის ნიაღვარები.

დაუგდეთ ყური, ამ ორომტრიალსა და თავსატეხებში როგორ მღერის ჰიმნს მარადის სიახლისა და სიხალისისა...

მართლაც ვაზია სამშობლო, მხოლოდ ვაზია სამშობლო! რადგან მე ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნიდან ვარ და ვაზი ღვთისმშობელია თვითონ, ნაყოფი კი მაცხოვარება ჩვენი, მის წმიდა სისხლს რომ უნდა ვეზიაროთ ყველა ქრისტიანი.

აი, აქ არის ყველაზე ძლიერი ჯარისკაცის მამა, - მლოცველი და მოღაღადე, მეოცნებე და ფხიზელი დარაჯი თავისი სამშობლოსი, მოქალაქე და მსოფლიო ადამიანი, ყრმა, ბატკანი, მტრედი და ბავშვი, ყოველთა მართალთა ნუგეშისცემა და თვითონაც ბავშვივით ყურადღების მომთხოვნი.

იგი ომია, რისხვა და სიკვდილი ქვეუგრძნო გულების, ყოველ ორპირთა და ფარისეველთა სულთამხუთავი, იგი გიორგი მახარაშვილია, ქართული ნოყიერი მიწით სულდგმული, მიწის ყოველი ტკივილი რომ ტკივა და რომ ესაუბრება მას, რადგან მიწა ყველგან მიწაა, ყველაფრის საზრდო და სამარე.

ყველაფერს უნდა მადლით მოპყრობა, და ახალ საუკუნეშიც ეს მადლი ამრავლებს და გაახარებს გიორგი მახარაშვილის მარტოობას.

**მანუჩარ კაჭახიძე**

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე
EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს
საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“
ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

ასავალ დასავალი

კოსტავას 14, V სართული, თბილისი, 0108 ტელეფონი: 98-97-21

ესტუმრეთ ჩვენს ინტერნეტ გვერდს
www.mamuli.com

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

Phone: 347-724-0770
mamuli@comcast.net






# რეზო ამაშუკელი: აქეთ მოიხედე ყმაწვილო!

- აქეთ,

აქეთ მოიხედე, ყმაწვილო! თვალებში ჩამხედე და გაიხსენე. პირველად, **რესტორან „პალერმოში“ როგორ მოგიყვანა ზურაბ ჟვანიამ,** როგორ დაიგრიხე, რა ზრდილი და თავაზიანი იყავი.

**არ ვიცი, რატომ, გულმა თავიდან არ მიგიღო, არ მიგიკარა.**

მერე თანდათან წელში გასწორდი, მიიხედ-მოიხედე, ხმას მოუმატე, გაღმა-გამოღმა „ბიძების“ და „ბიძიების“ მითითებები დაიზეპირე და იმის გამოც, რომ აქაც ბევრი გყავდა წამქეზებელი და ხელისშემწყობი, თანაც არც დებილების ნაკლებობა იყო, მაინც და მაინც, დაიწყე აღმა-დაღმა სირბილი, დასიცხულივით ხელების ქნევა და წივილ-კივილი, თითქოს ხალხის გაჭირვება და უბედურება არ გასვენებდა!

**მთელ საქართველოს ახსოვს, მასხარასავით როგორ არბოდი ავტობუსებში და ტროლეიბუსებში, ყველას ხელს ართმევდი და უღიმოდი, შენი, მოგონილი, უმისამართო ღიმილით!**

აქ ჩახვიდოდი მეტროში, იქ ამოხვიდოდი და „რუსთავი-2“, ეს „ძალიან გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“, როგორ დაგდევდა ფეხდაფეხ, როგორ გაჩვენებდა წამდაუწუმ, როგორ ათაყვანებდა ხალხს თანდათანობით და მეთოდურად.

სად ბრძანდება შენი გვირგვინის ერთი გამჭედი ეროსი კიწმარიშვილი?! - ბუხარში ჩავარდნილ გაბურძგნულ მაჯლაჯუნას რომ ჰგავს?!

გვირგვინი ვახსენე და გვირგვინის შუბლიდან თვალი არ ამოგივარდეს, „თვალი პატიოსანი“ - მიშა მაჭავარიანი, არ დაკარგო, თორემ, სხვის ხელშიდაც კარგად იბრწყინებს, - ასე იცის მაგან!

**- იქნებ შედარებები არ მოგწონს? მე პოეტი ვარ და სიტყვის თავისუფლება, კანონთან ერთად, გამჩენმაც მომანიჭა.** მაგრამ შენს დახვეწილ სულს მე ვით შევწვდები?..

გალაღებული მიდი-მოდიხართ და ვის ფულს ხარჯავთ და რაში ხარჯავთ, ეშმაკი ვერ მიხვდება!

**მიდი-მოდიზე** გამახსენდა: ტელევიზიამ გვახარა - რომის ბაზარში ყველი გიყიდია, 400 გრამი. **შენი მადის ამბავი რომ ვიცი** (და შენ ეს კარგად იცი, რომ მე ეს კარგად ვიცი), **გამიკვირდა, ალბათ მარხულობ, ალბათ მშიერი ხალხი გაგახსენდა, „ბორშჩი“ და კისელი, გაუბედურებული, დიაღაც მადლიერი მოხუცები და, რაც მთავარია, მომარჯვებული ტელე-კამერები და „საჩვენებელი ხვრეპა“!**

**მადლია, მაგრამ ტვინის ნატამალი რომ ჰქონდეს ვინმეს, ამას როგორ აჩვენებდა წამდაუწუმ ქვეყანას?!.**

ისევ **მიდი-მოდის** მივუბრუნდები: - მარად შენს თვალებში შემომცინცინე ქალბატონი, ახლახან სტუმრად ბრძანდებოდა საფრანგეთის სენატის თავმჯდომარესთან, ბატონ კრისტიან პონსლესთან.

სწორედ ბატონ კრისტიან პონსლეს სამადლობელი წერილი მიდევს მაგიდაზე, ჩემი ფრანგული გამოცემების გამო. კრისტიან პონსლეს მოსწონს ჩემი პოეზია, შენს ტუჩებგაბანტულ არველაძეს, - არა! და **მეორე წელია აკრძალა პირველ არხზე, პარიზის მოლიერის თეატრში გამართული ჩემი ბოლო საღამოს გადაცემა!**

- ასეა, ბიძიკო! **ჩემო მსოფლიო დემოკრატიის მანათობელოვარსკვლავო!..** მე თავიდანვე ვიცოდი, ვინც ბრძანდებოდი, ვხედავდი, რა სიყალბით, რა თვალთმაქცობით შლიდი ხელებს და იმუქრებოდი. **ერთი მე ვერაფერს მიბედავდი, გამიბედავდი და კაი ჩიტსაც დაიჭერდი, მაგრამ ახლა შენი დროა, მკვლელებით ხარ გარშემორტყმული, ახლაც სისხლიან თითებს ილოკავენ და ვიცი, გამისწორდები!..**

**მაგრამ მზადა ვარ! იმდენად დიდია სიძულვილი ჩემი თქვენდამი, ჩემი სამშობლოს წაბილწვის გამო, წარსულის შეგინებისთვის, აწმყოს გადაგვარებისთვის, მომავლის წაშლისთვის, ქართველობის ღალატისთვის, - ვიმეორებ, მზადა ვარ თავგანწირვისთვის და წამლეკავია ყველა შიშის, ჩემი სიმართლე!**

**მერაბიშვილს ხელში ცელი რომ დააჭერინო, სიკვდილის პირწავარდნილი გამოხატულებაა და ეგ არის შენი საყრდენიც და სულიერი ძმაც!**

„თავისუფლების ინსტიტუტში“ ტრიალებს შენი „მისიონერული“ სული და **მოვა დრო, იქვე ჩაჭკნება სოროსით ნალოლიავებ წალენჯიხურ ვარდებში და ვერც თეა თუთბერიძის „ენციკლოპედიური“ განათლება გიშველის და ვერც ლევან რამიშვილის ბრძნული თავის კანტური!**

**- იქნებ კორექტულობას მიწუნებ! იქნებ დაგავიწყდათ, როგორ ლანძღეთ და თათხეთ მეცნიერები, მწერ**ლად გატლეკილი ნისკარტიანი ბიჭები!

**წერილის ტონი ხომ არ გეხამუშება?**

- **შენმა უსისხლო, უსამშობლოო მეფისტოფელმა** მთელ ერს ძაღლი უწოდა, **შენმა თავგასულმა**

**ლები, ჭეშმარიტი ინტელიგენცია, ყველა იმათ გარდა, ვინც ფეხს გილოღნით, ვინც თქვენთვის ღნაოდა წვიმაში?!.**

ეს ხისთავიანები ხომ გამშვენებენ და გამშვენებენ, მაგრამ ორი გამორჩეული ბებერი გყავს: - სინდისის, ერთგულების და პატიოსნების „სიმბოლოები“!

ცნობისათვის, ორივე კაცია (ისე, კაცობა ფართო ცნებაა, ბევრს სხვადასხვანაირად ესმის). ერთს ხალხმა **„ქეთო“** შეარქვა, მეორეს ისედაც **კოტე** ჰქვია, - ჰოდა, ეს **ქეთო და კოტე** დაიწყობენ მუცლებზე ბეჭდიან ხელებს და ღაღადებენ და ღაღადებენ ერის „სასიკეთოდ“.

ხალხი კი ისე იწყევლება, ვიღაცას უეჭველად წამოეწევა ღვთის წყრომა და უფლის განკითხვა!

- ასეა, ბიძია! **სამჭკუაშვილებით ხართ გარშემორტყმული და ერთი სამყურაშვილიც ამოგივიდა ნაგვიანევი ყლორტივით!** თუმცა არც მანამდე გაკლდა, მაგალითად, იურიდიუ**ლი ყოჩმა და ჯილამ** კეთროვანებად მოგვნათლა, და თავად როგორ გვამკობდი და ილანძღებოდი, შენ თუ არ გახსოვს, ხალხს მაინც არ დავიწყებია!

ყოველგვარი სარკაზმის გარეშე ვამბობ და ბოლომდე გულწრფელი ვარ: - **აღარ ღირს შენზე ლაპარაკი, მაინც ვერაფერს გაიგებ, მით უმეტეს, ათიდან ცხრას ეზარები და შენთან პაექრობა დიდი ვერაფერი გაჭკაცობაა, უკვე!..**

შეკრიბე ახლა შენგანვე შეთითხნილი ინტელიგენცია და ის თავგადაგლეჯილი **„აგიტბრიგადა“**, თავიდან აყვირე და გულზე ხელი არტყმევინე, მით უმეტეს, რომ **ფულის გულისთვის სარწმუნოებასაც და ეროვნებასაც შეიცვლიან** ციმ-ციმ!..

...რა ვქნათ ახლა?!

რა ვქნათ და ველოდოთ არჩევნებს, მე შენ გეტყვი და საეჭვოა რამე! **ცენტრალური საარჩევნო კომისიაც განუხრელად იმოქმედებს ცნობილი ქალბატონის ნაციონალური ლაბაბიდან ამოფრქვეული ინსტრუქციებით,** რათა ჩვენს ხელმწიფეს არ მოაკლდეს ჯოხზე წამოცმული საწუწნი მამალოები, კარუსელზე ბზრიალი და გაფრენილი ფერადი ბუშტების გამო აღტყინებული ჭყლოპინი!





## გაიოზ კერატიშვილის ახალი რედაქცია ქართული ოთხთავისა

*ვუძღვნი ჩემი მასწავლებლისა და მაკურთხევლის, განსვენებულ კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ნათელ ხსოვნას*

# სახარება მარკოზისა

*დასაწყისი იხ. „მამული“ № 14–17, 22–28*

## თავი 1

**1.** დასაბამი სახარებისა იესო ქრისტესი, ძისა ღმრთისაი.
**2.** ვითარცა წერილ არს ესაია წინასწარმეტყველისა მიერ[1]: აჰა, ესერა, მე მოვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განამზადოს შენს თვალწინ გზანი შენნი.
**3.** ხმაი მღაღადებელისა უდაბნოში: განამზადენით გზანი უფლისანი და მოასწორენით ალაგნი მისნი.
**4.** იყო იოანე უდაბნოში და ნათელსცემდა და ქადაგებდა ნათლისცემასა სინანულისასა მისატევებლად ცოდვათა.
**5.** და მიემართებოდა მისკენ მთელი ქვეყანა იუდეისა და იერუსალიმელნი, და ნათელსიღებდნენ მისგან ყოველნი მდინარესა იორდანესა და აღიარებდნენ ცოდვათა თვისთა.
**6.** ხოლო ემოსა იოანეს თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაი ერტყა წელთა მისთა, და ჭამდა იგი მკალსა და თაფლსა ველურსა.
**7.** ქადაგებდა და ამბობდა: ესერა მოვალს უძლიერესი შემდგომად ჩემსა, რომლისა სანდალთა თასმათა გახსნისა არა ღირს ვარ მე.
**8.** მე ნათელს გცემთ თქვენ წყლითა, ხოლო მან ნათელგცეთ თქვენ სულითა წმიდითა.
**9.** და დღეთა მათ შინა მოვიდა იესო გალილეის ნაზარეთიდან და ნათელიღო იოანესგან იორდანეში.
**10.** და მეყვსეულად აღმოსვლასა მისისა წყლიდან იხილა ცანი განხსნილნი და სული ღმრთისაი გარდამომავალი მასზედა ვითარცა მტრედი.
**11.** და ხმა იყო ზეციდან: შენა ხარ ძე ჩემი საყვარელი, შენ სათნოდ გიჩინე.
**12.** და მეყვსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოში.
**13.** და იყო იქ ორმოცი დღე და გამოიცდებოდა ეშმაკისაგან და იყო მხეცთა თანა და ანგელოზნი ემსახურებოდნენ მას.
**14.** და შემდგომად იოანეს გაცემისა მივიდა იესო გალილეაში და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა ღმრთისასა.
**15.** და ამბობდა, რამეთუ: აღსრულებულ არს ჟამი და მოახლოებულ არს სასუფეველი ღმრთისა. შეინანეთ და გწამდეთ სახარებისა.
**16.** ხოლო მიდიოდა რა ნაპირსა ზღვისა მის გალილეისა, ნახა სვიმონი და ანდრია ძმაი მისი, თევზაობდნენ და ბადეებს ისროდნენ ზღვაში, რამეთუ მებადურეები იყვნენ.
**17.** და უთხრა მათ იესომ: მოდით და შემომიდექით მე, და გაგხადოთ თქვენ მებადურებად კაცთა.
**18.** ხოლო მათ მაშინვე მიატოვეს ბადეები და გაჰყვნენ მას.
**19.** და მცირედზე გაიარა და ნახა იაკობ ზებედეს ძე და იოანე, ძმაი მისი, რომლებიც ნავში ამზადებდნენ ბადეებს.
**20.** და მოუწოდა მათაც. ხოლო მათ მაშინვე მიატოვეს თავიანთი მამა ზებედე ნავში მუშებთან ერთად და გაჰყვნენ მას.
**21.** და შევიდნენ კაპერნაუმში და მაშინვე დღესა შაბათსა შევიდა სინაგოგაში და ასწავლიდა მათ.
**22.** და გაკვირვებულიყო ხალხი მისი მოძღვრებითა, რამეთუ ასწავლიდა მათ ვითარცა ხელმწიფებისა მქონე, და არა როგორც მწიგნობარნი მათნი.
**23.** და იყო სინაგოგასა მათსა მას შინა კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდაი, იყვირა
**24.** და თქვა: ეჰა, რა გვიქნია ჩვენ შენთვის იესო ნაზარეველო? მოსულხარ დასაღუპად ჩვენდა. გიცნობთ შენ ვინცა ხარ, წმიდაი ეგე ღმრთისაი.
**25.** შეჰრისხა მას იესომ და უთხრა: გაიკმიდე და განვედი მაგისგან.
**26.** და დასცა იგი სულმან მან არაწმიდამან და ხმა-ყო ხმითა დიდითა და განეშორა მას.
**27.** და უკვირდა ყველას, ისე რომ ერთმანეთს ეკითხებოდნენ და ამბობდნენ: რა არისო ეს? რა მოძღვრებაა ახალი, რამეთუ ხელმწიფებითა სულთაცა არა წმიდათა უბრძანებს და ემორჩილებიანო მას?
**28.** და განითქვა ამბავი მისი ყოველსა მას მხარესა გალილეისა.
**29.** და გამოვიდა იმ სინაგოგიდან და მივიდა სვიმონისა და ანდრეას სახლში იოანესა და იაკობთან ერთად.
**30.** ხოლო სიდედრი სვიმონისა მწოლიარე იყო სიცხისაგან. და სთხოვეს მის შესახებ იესოს.
**31.** და მივიდა და მოჰკიდა ხელი და წამოაყენა იგი, და მეყვსეულად გაუარა სიცხემ და ადგა და ემსახურებოდა მათ.
**32.** და საღამო ხანს ჩასვლისას მზისასა, მოჰყავდათ მასთან ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი.
**33.** და მთელი ქალაქი მოგროვილიყო კართან.
**34.** და განკურნა ყოველნი მძიმე სენთა და სხვადასხვა სნეულებათაგან და ეშმაკნი მრავალნი გააძევა და არ ანებებდა ეშმაკთ ლაპარაკს, რამეთუ იცოდნენ, რომ ქრისტე არს იგი.
**35.** და განთიადისას, ისევ რომ ბნელოდა, ადგა და წამოვიდა იქიდან და განვიდა უდაბნოსა ადგილსა და ლოცულობდა იქ.
**36.** და გაედევნენ მას სვიმონი და მასთან მყოფები.
**37.** და ნახეს იგი და უთხრეს მას, რამეთუ ყველანი გეძიებენ შენ.
**38.** ხოლო იესომ უთხრა მათ: მოდით და წარვიდეთ მახლობელ დაბებსა და ქალაქებში, რათა იქ ვიქადაგოთ, რამეთუ ამისთვის ვარ მოვლინებული.
**39.** და ქადაგებდა სინაგოგებში მათსა და მთელ გალილეაში და განასხამდა ეშმაკთ.
**40.** მაშინ მივიდა მასთან ერთი კეთროვანი, ევედრებოდა და მუხლი მოიყარა და უთხრა: უფალო, უკეთუ მოისურვებ ძალგიძს განწმედაი ჩემი.
**41.** ხოლო იესოს შეებრალა იგი, გაიწვდინა ხელი, შეახო მას და თქვა: მსურს, განიწმიდე!
**42.** და ვითარცა ესე თქვა, მეყვსეულად მოსცილდა მას კეთრი და განიწმიდა იგი.
**43.** და გააფრთხილა და უმალ გაისტუმრა იგი.
**44.** და უთხრა მას: უყურე, არავის უთხრა, არამედ წადი და აჩვენე თავი შენი მღვდელსა და შესწირე განწმედისათვის შენისა, რაც მოსემ ბრძანა სამოწმებლად მათდა.
**45.** ხოლო ის წამოვიდა იქიდან და იწყო ქადაგება და გახმაურება მისი ამბისა, რამეთუ აღარ შეეძლო იესოს აშკარად ქალაქებში შესვლა, არამედ გარე, უდაბნო ადგილებში იმყოფებოდა. და მოდიოდნენ მასთან ყოველი მხრიდან.




## თავი 2

**1.** და შემდგომად რამდენიმე დღისა, შევიდა კვლავ კაპერნაუმში. და ხმა მოედო, რამეთუ სახლსა შინა იყო.
**2.** და მაშინვე მოგროვდა იქ დიდძალი ხალხი, რამეთუ კართან ტევა აღარ იყო. და ეუბნებოდა მათ სიტყვას.
**3.** და მოვიდნენ და მოიყვანეს მასთან განრღვეული, რომელიც ოთხს მოჰქონდა.
**4.** და რამეთუ ვერ შესძლეს მასთან მოახლოება იმდენი ხალხის გამო, ახადეს სახლსა მას სახურავი სადაც იგი იყო და აიღეს და ჩაუშვეს ცხედარი, რაზედაც განრღვეული იწვა.
**5.** და იხილა იესომ სარწმუნოებაი მათი და უთხრა განრღვეულსა მას: შვილო, მოგეტევოს შენ ცოდვანი შენნი!
**6.** ხოლო ისხდნენ იქ ზოგიერთნი მწიგნობართაგანნი და ფიქრობდნენ გულთა შინა თვისთა
**7.** რამეთუ: ესე გმობს: ვის შეუძლია ცოდვათა მიტევება ერთი, ღმერთის გარდა?
**8.** ხოლო იესომ მაშინვე გულისხმაყო სულითა, რამეთუ ესრეთ ფიქრობენ გულთა შინა თვისთა და უთხრა მათ: რაისა ფიქრობთ ასე გულთა შინა თქვენთა?
**9.** რა უფრო ადვილი არს სათქმელად განრღვეულისა ამისთვის: მოგეტევოს ცოდვანი შენნი, თუ თქმა: ადექი, აღიღე ცხედარი შენი და გაიარე?
**10.** ხოლო რათა უწყოდეთ, რამეთუ ხელმწიფება აქვს ძესა კაცისასა ქვეყანასა ზედა ცოდვათა მიტევების, — უთხრა განრღვეულსა მას:
**11.** შენ გეუბნები: აღდექი და აღიღე ცხედარი შენი და წადი შენს სახლში.
**12.** და მეყვსეულად აღდგა იგი და აღიღო ცხედარი თავისი და გამოვიდა ყველას წინაშე. და განცვიფრდა ყველა და ადიდებდნენ ღმერთსა და ამბობდნენ, რამეთუ: მსგავსი რამ არასოდეს გვინახავს.
**13.** და კვლავ გავიდა ზღვის ნაპირზე, და უამრავი ხალხი მოდიოდა მასთან და იქა ჰმოძღვრავდა მათ.
**14.** და როცა მოდიოდა, ნახა ლევი ალფეს ძე საზვერეზე და უთხრა მას: მე გამომყე! და ადგა იგი და გაჰყვა მას.
**15.** და როცა ის სუფრას უჯდა მის სახლში, მრავალი მეზვერე და ცოდვილი იჯდა იესოსა და მის მოწაფეთა გვერდით, რამეთუ მრავალნი იყვნენ იქ და გამოჰყვნენ მას.
**16.** და მწიგნობრებმა და ფარისევლებმა, ვითარცა იხილეს ესე, რამეთუ მეზვერეთა და ცოდვილთა თანა ჭამდა, უთხრეს მოწაფეთა მისთა: რაისათვის მეზვერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს და სვამს?
**17.** და გაიგონა ესე იესომ და უთხრა მათ: მკურნალი სჭირდება არა ჯანმრთელებს, არამედ სნეულებს. მოვედ მე არა მართალთა მოსაწოდებლად, არამედ სინანულისათვის ცოდვილთა.
**18.** და იყვნენ მარხვასა შინა მოწაფენი იოანესი და ფარისეველნი. და მოვიდნენ მასთან და უთხრეს მას: რაისათვის მოწაფენი იოანესი და ფარისეველნი მარხულობენ და მოწაფენი შენი არა მარხულობენ?
**19.** უთხრა მათ იესომ: განა შეიძლება მარხვა მექორწინეთა, ვიდრე მათთან არის სიძე? სანამ სიძე მათთან ერთად იქნება, არ შეუძლიათ მარხულნი იყვნენ[2].
**20.** მაგრამ მოვა დღეები, ოდეს სიძე ამაღლდება[3] მათგან და მაშინ, იმ დღეებში იმარხვებენ ისინი.
**21.** არავინ, სამოსელსა ძველსა ახალი ნაჭრის საკერებელს არ ადებს, თორემ მოეხევა ახალი ძველსა და უარესი ნახევი გაუჩნდება.
**22.** და არვინ ჩაასხამს ღვინოსა ახალსა ძველ ტიკებში, რომ არ დახეთქოს ღვინომან ახალმან ტიკები იგი და ღვინო დაიქცეს და ტიკები დაიკარგოს. არამედ ახალი ღვინო ახალ ტიკებში ჩაისხმება.
**23.** და ვითარცა იგი შაბათს ყანებზე გადადიოდა, მოწაფეებმან მისმან დაიწყეს გზად თავთავების მოწყვეტა და ფშვნეტა.
**24.** ხოლო ფარისევლები ეუბნებოდნენ მას: შეხედე, რას აკეთებენ მოწაფენი შენნი შაბათსა შინა, რაც არ შეიძლება გააკეთონ?
**25.** ხოლო იესომ უთხრა მათ: არასოდეს ამოგიკითხავთ რა ქმნა დავითმა, გაჭირებისას, როცა მას და მასთან მყოფებს მოშივდათ?
**26.** როგორ შევიდა სახლსა ღმრთისასა აბიათარ მღვდელთმთავრის დროს და პურნი იგი შესაწირავთანი შეჭამა და მასთან მყოფთაც მისცა, რომლის შეჭმა არ შეუძლია არავის მღვდელთა გარდა?
**27.** და ეუბნებოდა მათ: შაბათი კაცისათვის შეიქმნა და არა კაცი შაბათისათვის.
**28.** რამეთუ ძე კაცისა უფალი არს შაბათისაცა.

## თავი 3

**1.** და კვლავ შევიდა სინაგოგაში და იყო იქ კაცი, რომელსაც ხელი გამხმარი ჰქონდა.
**2.** და უმზერდნენ, უკეთუ შაბათსა განკურნოსო, რათა დაესმინათ იგი.
**3.** და იმ დროს უთხრა იესომ კაცსა მას, რომელსაც ხელი გამხმარი ჰქონდა: ადექი და შუაში დადექი!
**4.** და უთხრა მათ იესომ: რაი წესი არს შაბათსა შინა: კეთილისა საქმისა კეთება თუ ბოროტისა? სულის ცხონება თუ წარწყმედა? ხოლო ისინი დუმდნენ.
**5.** და გახედა მათ რისხვით გულქვაობისა მათისა გამო და უთხრა იმ კაცს:
გაშალე ხელი შენი! და მანაც გაშალა და გაუხდა ისეთივე, როგორიც მეორე.
**6.** და ვითარცა გამოვიდნენ იქიდან ფარისეველნი, ჰეროდიანელებთან ერთად გადაწყვიტეს მასზე, რომ დაეღუპათ იგი.
**7.** ხოლო იესო მოწაფეებითურთ განშორდა მათ და მივიდა ნაპირსა ზღვისასა. და მიყვებოდა მას დიდძალი ხალხი გალილეიდან და იუდეიდან,
**8.** იერუსალიმიდან და იდუმიიდან, და იორდანის გაღმა მხარიდან. და ტვიროსისა და სიდონის მხარეშიც გაიგეს რასაც აკეთებდა და დიდი სიმრავლე ხალხისა მოდიოდა მასთან[4].
**9.** და უთხრა მოწაფეთა თვისთა, რათა ნავი განემზადებინათ მისთვის, რომ ხალხს არ შეეწუხებინა იგი.
**10.** რამეთუ მრავალსა ჰკურნავდა, და ზედ აწყდებოდა ხალხი, რათა შეხებოდნენ მაინც. და რომელნიც იყვნენ უძლურნი და ეხებოდნენ, იკურნებოდნენ.
**11.** და სულნი იგი არაწმიდანი, როგორც კი შეხედავდნენ, ეცემოდნენ მის წინ და ყვიროდნენ: შენა ხარ ძე ღმრთისა!
**12.** და მკაცრად უშლიდა მათ იესო, რათა არ განეცხადებინათ იგი.
**13.** და მერმე აღვიდა მთაზე და უხმო მათ, რომელნიცა სურდა, და მოვიდნენ მასთან.
**14.** და აირჩია თორმეტნი, რათა მასთან იყვნენ და დაარქვა მოციქულნი[5], რომ წარავლინოს ისინი საქადაგებლად,
**15.** და ჰქონდეთ მათ ხელმწიფება უძლურთა კურნებისა და სულთა არა წმიდათა განსხმისა.
**16.** და ეწოდა სახელად: სვიმონს პეტრე,
**17.** და იაკობ ზებედეს ძესა და იოანეს, იაკობის ძმას, უწოდა — ბანერგეს, რაც არის: ძენი ქუხილისანი.
**18.** ანდრია და ფილიპე, ბართლომე და მათეოსი, თომა და იაკობ ალფესი, თადეოზი და სიმონ კანანელი.
**19.** და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც გასცა იგი.
**20.** და მოვიდნენ სახლში და შეიკრიბა ისევ იმოდენა ხალხი, რომ პურიც კი ვეღარა ჭამეს.
**21.** და შეიტყეს იმათიანებმა და წამოვიდნენ, რათა შეეპყრათ იგი, რამეთუ ამბობდნენ, რომ შეშლილიაო ჭკუაზე.
**22.** ხოლო მწიგნობარნი, რომელნიც იერუსალიმიდან ჩამოსულიყვნენ, ამბობდნენ, რამეთუ ბელზებულია მაგასთან და ეშმაკთა მთავრითა განასხამსო ეშმაკთ.
**23.** და დაუძახა მათ და იგავით ეუბნებოდა: როგორ შეუძლია ეშმაკს ეშმაკის გაძევება?
**24.** უკეთუ სამეფო თავსა თვისსა განეყოს, ვერ გაძლებს ეს სამეფო.
**25.** და უკეთუ სახლი თავსა თვისსა განეყოს, ვერ გაძლებს სახლი იგი.
**26.** და უკეთუ ეშმაკი თავისსავე თავსა ზედა აღსდგა და განიყო იგი, არ შეუძლია მას გაძლება, არამედ დამდგარა აღსასრული მისი.
**27.** და არც ვინმეს შეუძლია სახლსა ძლიერისასა შესვლა და მისი ქონების მიტაცება, უკეთუ პირველად ძლიერი იგი არ შეკრას და მერე გაძარცვოს სახლი მისი.
**28.** ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რამეთუ, ყოველი ცოდვა და გმობა მიეტევება კაცის შვილთ, რამდენსაც უნდა გმობდნენ.
**29.** ხოლო რომელმან თქვას გმობაი სული წმიდაზე, არ აქვს მიტევება აღარასოდეს, არამედ ღირსია იგი საუკუნო სასჯელისა.
**30.** რამეთუ ამბობდნენ, ვითარმედ სული არაწმიდა არისო მასთან.
**31.** და მოვიდნენ ძმანი მისნი და დედაი მისი და გარეთ დადგნენ და გაუგზავნეს კაცი და დაუძახეს.
**32.** და ისხდა მის გარშემო დიდძალი ხალხი და, როცა უთხრეს: აჰა, დედა შენი და ძმანი შენნი გარეთა დგანან და შენ გეძებენო,
**33.** მიუგო იესომ და უთხრა: ვინ არიან დედა ჩემი და ძმანი ჩემნი?
**34.** და მიმოიხედა თვისთა მსხდომარეთა მოწაფეთა ირგვლივ და თქვა: აჰა, დედა ჩემი და ძმანი ჩემნი.
**35.** რამეთუ რომელმან ჰყოს ნებაი ღმრთისაი, ის არის ძმაი ჩემი და დაი ჩემი და დედაი ჩემი.

***გაგრძელება იქნება***

*1. ამ მუხლში ესაიას მიუთითებს როგორც ადიშური, ასევე მთაწმინდლისეული ვარიანტი. ეფრემისეულ გამოცემასა და რუსულ ვარიანტში ესაია ნახსენები არაა.*
*2. ბოლო ეს წინადადება, რომელიც არც გ. მთაწმინდლისეულ რედაქციაში და არც ეფრემისეულ გამოცემაში არ გვხვდება, ჩვენ ტექსტში ჩავრთეთ სახარების ადიშური რედაქციიდან. იგი სახარების რუსულ და ახალ ქართულ თარგმანებშიც არსებობს.*
*3. „ამაღლდება“-ს სახარების სხვადასხვა გამოცემებში განსხვავებული ტერმინები ენაცვლება: „აღარ ეყოლებათ“, „წაერთმევათ“, („отнимется“).*
*4. სახარების სხვადასხვა გამოცემაში ამ მუხლის წინადადებათა წყობა რამდენადმე განსხვავებულია.*
*5. „დაარქვა მოციქულნი“ — არ გვხვდება სახარების არცერთ ვარიანტში — გარდა ადიშის ოთხთავისა.*

# ზესა ჩატოვ

***დააკვირდით: ეს ქართული ენისა და ლიტერატურის „სახელმძღვანელოს" ქსეროასლია (ორიგინალი ვერსად მოვიძიეთ). ვაგლახ, ამ „წიგნით" საქართველოს განათლების ახალგამომცხვარი ემისრები 12-13 წლის მოზარდებს ზრდიან!***

***არავინ იცის, როგორია ეს მომავალი წიგნის შემდგენლებისთვის, მაგრამ, ფაქტია, ისინი საქართველოს ღირსეულ მამულიშვილებს არ აღუზრდიან!***




დახედეთ ამ „წიგნის" გარეკანს. ჩანს, განაჩენი მეშვიდეკლასელმა მას უკვე გამოუტანა და ქვეცნობიერი პროტესტის ნიშნად, ინგლისური სიტყვები მიაჯღაბნა.

ამ, ე. წ. „წიგნის" შემხედვარეს, **როგორ უნდა შეუყვარდეს ქართული მწერლობა და ქართული ენა? როგორ უნდა გაიგოს დიდი ვაჟა-ფშაველას დიდბუნებოვანი ბუბუნი? როგორ უნდა გაისუსოს და ატირდეს „შვლის ნუკრის" თვალებით?**

აღმაშფოთებელია, რომ ასეთი წიგნით მე-7 კლასელებს სილამაზისა და მშვენიერების აღქმის უნარს ართმევენ, ეს კი საქართველოს გადაგვარებისაკენ გადადგმული კიდევ ერთი შეგნებული ნაბიჯია!

„წიგნის" დასაწყისში თვალის ასახვევად „ხმელი წიფელია" გამოტანილი. მაგრამ, სანამ ბავშვს რაიმეს აუხსნიან ქართულ ლიტერატურაზე, ცხვირში სჩრიან უნიჭო ქვეთავს — „კავშირი ბუნებასთან". დიახ, სანამ მოსწავლე გაიგებს, რას წარმოადგენს უშუალოდ „ხმელი წიფელი", მას „უცხო სიტყვებს" უხსნიან და ნაწარმოების წაკითხვის სურვილს უსპობენ. დააცადე, შე მამაგანათლებულო ... ჯერ უთხარი, ვის ნაწარმოებს სთავაზობ, უთხარი ვინ არის ვაჟა-ფშაველა და მერე „ადგილის დედა" შესაძლოა, იმაზე უკეთ განმარტოს, ვიდრე ამ „სახელმძღვანელოს" ვაი-შემდგენლებმა.

ენის საკითხებშიც ისეთი ქაოსია, აკაკი შანიძე საფლავში გადაბრუნდებოდა. მართლაც შეუძლებელია, ამ აბდაუბდაში ბავშვმა რაიმე გაიგოს და შეიმეცნოს. ამიტომ აღნიშნული ბოროტების მხილებაში ქალბატონ მზექალა შანიძეს ვთხოვ თანადგომას. „ხმელ წიფელს" პარაგრაფი „პოზიცია" მოსდევს. ბავშვმა ჯერ არ იცის, რა არის პუბლიცისტიკა და ჯიქურ ავალებენ ტექსტის წაკითხვამდე ან პუბლიცისტიკის რაობაში გარკვევამდე უყოყმანოდ უპასუხოს კითხვებს: (გვ. 9)

● **როგორ ფიქრობთ, რატომ წერენ ადამიანები პუბლიცისტურ წერილებს, რომელებშიც მათი პოზიცია არის გამოხატული?**

● **თქვენ თუ გამოგითქვამთ ოდესმე თქვენი პოზიცია რაიმე საკითხის შესახებ ზეპირად ან წერილობით?**

რა ქნას ბავშვმა? ჯერ არ წაუკითხავს ნოდარ წულეისკირის წინდართული წერილი, არ იცის, ვინ არის იგი, არ იცის, რას ნიშნავს პუბლიცისტიკა და როგორ უპასუხოს ვაი-შემდგენელთა კითხვებს?

თუ ბავშვს ოდესმე გამოუთქვამს თავისი აზრი ან დაუფიქსირებია პოზიცია (ზეპირად ან წერილობით), ეს რა, პუბლიცისტიკაა?

14-დან 22-ე გვერდამდე ბავშვებს აცნობიერებენ „ჟურნალისტიკაში". პარაგრაფს ასეთი სახელწოდება აქვს „რას წერენ გაზეთში?" და რატომღაც მხოლოდ „24 საათის" ერთი ნომრიდან (2005 წლის 24 აგვისტო) ამოკრეფილი „მარგალიტები" მოჰყავთ!

**დალოცვილებო, თუ ბეჭდვით მედიაზე ესაუბრებით მოზარდებს, უთხარით მაინც, რა არის გაზეთი, რა გამოცემები გამოდის საქართველოში, შესთავაზეთ საუკეთესო ამონარიდები საგაზეთო პუბლიკაციებიდან. უთხარით, რომ არსებობს ელექტრონული მედია, უთხარით თავისუფალი სიტყვისა და თავისუფალი აზრის შესახებ...**

რისი მთქმელია ავტორ-შემდგენელთა მიერ უნიჭოდ შერჩეული საგაზეთო ციტატა: **„სოხუმის მერია ამტკიცებს, რომ ოპოზიციის განცხადებები დედაქალაქში ქართველი ლტოლვილების სპონტანური დაბრუნების თაობაზე იაფფასიანი პოლიტიკური სპეკულაციაა".** რა გინდათ ამით უთხრათ ბავშვებს? მათ გემოვნებას აყალიბებთ თუ ეროვნულ ნიჰილიზმს?

წარმოგიდგენიათ? — ამათი ლოგიკით, მთელი ცხოვრება უნდა ახსოვდეთ ჩვენს შვილებს, რა დაწერა „24 საათმა" 2005 წლის 24 აგვისტოს!!! თუ მაინცდამაინც გაზეთებზე უნდა დაწერილიყო, ილია ჭავჭავაძის „ივერიამ" რა დააშავა? ვითომ რა სჭირდა „დასაწუნი"? იქნებ მხოლოდ ის, რომ „ივერიაში" არ დაბეჭდილა „მარია I" (გვ. 16). ნახეთ, რა „ბრწყინვალე" ნიმუში შეურჩიეს ბავშვებს: **„მარია შარაპოვას ხელი შეუშალა ტრავმამ, გამხდარიყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი"; „მარია შარაპოვა რეიტინგის სათავეში ერთ კვირაში მოექცევა"; მარია შარაპოვა და მარია შარაპოვა. რიგი საინფორმაციო წყაროები რუს ჩოგბურთელს რეიტინგის სათავისაკენ მიმავალ ნაბიჯებს უთვლიდნენ და უთვლიდნენ. ზემოთ ჩამოთვლილი სათაურებიც სწორედ იმ საინფორმაციო საშუალებებიდანაა. ახლა მორიგი სათაურიც გამოცხვა: „მარია შარაპოვა მსოფლიოს პირველი ჩოგანია".**

ავტორი მითითებულია, მე არ ვუთითებ... მკითხველმა განსაჯოს, რით ტვირთავენ მომავალი საქართველოს შვილების გონებას!




დასასრულ, პარაგრაფი „ლექსიკა" და იქ დაბეჭდილი ლექსი და მინაწერი უცვლელად:



პოეტები ხშირად მიმართავენ ბგერწერის განსაკუთრებულ სახეობას – ხმაბაძვის ხერხს, რომლითაც მკითხველში გარკვეულ სმენით ასოციაციებს იწვევენ. ერთმა პოეტმა ბგერწერის საკმაოდ უჩვეულო ხერხი გამოიყენა სახუმარო ლექსში, რომელსაც ძალიან გრძელი სათაური აქვს. წაიკითხეთ ლექსი ხმამაღლა.

როგორ დასდევდა „სხარტი" ბეჭემოთი თავხედ ბუზს ვიწრო ოთახში, სადაც უამრავი ფაიფურის ნივთი იყო

ზ
ზ ზ ზ
ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ
ზ ზ ზ ზ,
ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ
ტკაც!
ზ ზ ზ ზ
ზ... ზ...
ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ
ტკაც! ტკაც!
ზ ზ ზ ზ ზ ზ
ტკაც! ტკუც!
ჭახ!
ზ ზ ზ ზ ზ ზ
თხლაშ!
ზ ზ ზ ზ
თხლაშ – თხლუშ!
ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ
თხლაშ-თხლუშ-თხლაშ!
ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ ზ
ჭაააააახ!!!

თხლუშ!
და სიჩუმემ დაისადგურა.

29

## „აღმერთებდნენ"

– ეს წიგნი ერის ბურჯია! –
ხარობენ მამა-პაპანი,
ხარმა თქვა: მეც შიგ ჩამდენეთ,
ერის მეც ვზიდე ჭაპანი.

მოფრინდა შავი მერცხალი
ჭიკჭიკით, ყელმოღერებით
და წიგნში, როგორც ბუდეში,
ჩაფინა იის ღერები.

პაწია წიგნი ბედ-იღბლით
კიდობანს გამოემგვანა
და, რაც შიგ გადანახულა,
ის გადაარჩენს ქვეყანას.

მე კი მგონია, ფრესკაზე
ყრმა რომ ზის დედის კალთაში,
თუ „დედა ენას" მიუტანთ,
დიდივით კრძალვით გადაშლის,

თითს გააყოლებს ასოებს,
ვაზის ლერწს,
ნამგალს,
ნიამორს,
ენას ქართულად აიდგამს
და იტყვის: აი იაო.

იდიდე წიგნო, იდიდე,
ქართული სიტყვის ლაზათო,
ღმერთი თუ არა ღმერთკაცი,
იქნებ კვლავ ბევრი გაზარდო.

შოთა ნიშნიანიძე



# არ შავლება, ნეტავ?!

## სამარცხვინო ბოძზე

## ამ „სახელმძღვანელოს“ ავტორ–შემდგენლები!!!


სახალისო დავალება

ნაირ-ნაირი ბაღჩეულისაგან, ხილ-ბოსტნეულისა და ყვავილებისაგან შედგენილი ეს პორტრეტი XVII საუკუნეში შექმნა იტალიელმა.

1. როგორ ფიქრობთ, რა აზრი ჩააქსოვა მხატვარმა ამ ნახატში? (გაკვეთილზე ერთმანეთს გაუზიარეთ თქვენი თვალსაზრისი და შეეცადეთ, დაასაბუთოთ იგი);
2. გამოიყენეთ იტალიელი მხატვრის ხერხი და შეადგინეთ ლუარსაბის ზეპირი პორტრეტი. ჩამოთვალეთ, რა დეტალებს გამოიყენებდით ამ პორტრეტის შემადგენელ ნაწილებად.

54

**ჭეშმარიტი ქართული ენა და ლიტერატურა ხელისუფლებამ ვახტანგ როდონაიას ნაკოდვარზე გაცვალა!**

მოგეწონათ „ბგერწერის“ ახალი აღმოჩენა?

**სუუუ... საქართველოში ავისმომასწავებელმა სიჩუმემ და სიყრუემ დაისადგურა!**

**იქნებ ამიტომ ვეღარ ვიგებთ, რატომ უტევენ დედაუნივერსიტეტს?**

**იქნებ ამიტომ ვერ ვაცნობიერებთ მეცნიერებათა აკადემიის დაშლის უბედურებას?**

**იქნებ ამ „ბუბუნში“ ვერ გავიგეთ, რატომ ამოიღეს პასპორტიდან ეროვნება, მამის სახელი?**

**იქნებ ამ „ტკაც-ტკუცში“ გამოგვეპარა ენისა და წიგნის პალატების გაუქმება?**

**იქნებ ამ „ჭახ-ჭუხში“ ვეღარ დავიცავით ხელნაწერთა ინსტიტუტი?**

**იქნებ ამ „თხლაშ-თხლუშში“ დაგვებინდა გონება და ვეღარ ვშველით მწერალთა კავშირს?**

**იქნებ „ბგერწერის დიდოს-**

„ქვაში აქანდაკებდნენ“

# განგაშის ზარები სამარცხვინოდ გაძარცვული და გაყიდული „დედა ენის“ ძეგლის გამო,

## რომლის აღდგენაც რატომღაც არ ჯდება „ახალი საქართველოს“ პროგრამებში.



**მავანმა „დედა ენა“ ხუთიოდე ლარად გაგვიყიდა! უფრო სწორედ, სამი კილოგრამი ვაშლის საფასურად.**

**დიახ, ჩვენს დედაქალაქში მტკვრის სანაპიროზე მდებარე სკვერში აღმართულ ელგუჯა ამაშუკელის მიერ შექმნილ ძეგლს უმთავრესი ატრიბუტი, ძეგლის საძირკველში გამოკვეთილი ია გამოაცალეს.**

**და ჩვეულებრივად, ბრინჯაოს ფასში, ხუთიოდე ლარად გაჰყიდეს.**

**ეს ხელწერა გვაგონებს საგურამოს გზაზე, ილია ჭავჭავაძის ძეგლის ტყვიებით დაცხრილვის მეტად სამარცხვინო და ამაზრენ ფაქტს.**

**ძველ და ახალ შემთხვევაშიც, არათუ დამნაშავეთა დასჯაზე, არამედ მათ პოვნაზეც არ უფიქრიათ... წლობით არქივებში მტვერდადებულ გაუხსნელ საქმეთა კასტას ახალს ხომ არ დაუმატებდნენ?!**

**ამ ნომერში უკანასკნელად ვბეჭდავთ ძეგლის განმარტებას, იმის მიუხედავად, რომ მან უკვე სრულიად დაკარგა ფასი იის გარეშე.**

**მხოლოდ იმისათვის, რომ პასუხი გვქონდეს თაობათა კითხვაზე, თუ რატომ არის ღია ორმო ძეგლის კვარცხლბეკზე?**

### ჩემო შვილო თუ შვილიშვილო,

**ამ ძეგლის აღმართვის იდეა ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნის, იგი „დედა ენის“ შექმნის 100 წლისთავს მიეძღვნა. მასზე უნაზესი ყვავილი ია იყო გამოსახული. „ია“ არის პირველი სიტყვა „დედა ენაში“ რომ ამოიკითხე. ამ სიტყვებით გახდა შესაძლებელი რომ ამოგვეცნო „ყოველი საიდუმლო, რომელიც ამას ენასა შინა დამარხულ არს“.**

**ხოლო ბიჭუნა მაღლა ხელთაპყრობილი, თითქოს ზევით მიიწევს, თითქოს ცისაკენ მიფრინავს, ისეთ შთაბეჭდილებას გვიტოვებდა, რომ აქვე, ძეგლის ძირში გამოკვეთილი იიდან იყო ამოფრენილი.**

**ია გადაადნეს, ბიჭუნა კი ფესვის გარეშე ცაში აფრენილი დატოვეს!**

**რა დაგვრჩა მის ფიგურაში? იგი აღარ გამოხატავს აღმაფრენას, შემართებას, რწმენას, სიმტკიცეს, შეუპოვრობას, გამბედაობას, სწრაფვასა და ლტოლვას. მხოლოდ მისი ჩაღეღილი მკერდი, ქარში თავისუფლად გაშლილი ტანსაცმელი, ღონიერი ხელები და მიწისაგან დაშაშრული ფეხებიღა დაგვრჩა.**

**ერთადერთ აზრს, რასაც ძეგლი გვაძლევს, არის ბიჭუნა, რომელიც შორი მანძილიდან გამოექანა, „ჰოპ“ დაიძახა, ახტა და სიმაღლეზე დაკიდულ ზარს ხელი გამოკრა...**

**იმ ზარს კი ადრე სხვა დანიშნულება ჰქონდა. იგი ცოდნის, სწავლის შეძენისაკენ უხმობდა ბიჭს. სიმბოლურად კი სამშობლოს ძახილსაც გამოხატავდა.**

**დღეიდან კი, ალბათ სხვა დანიშნულება ექნება ამ ზარს. როცა მცხეთიდან თბილისს ქარი დაუბერავს და ფერადი ფოთლებით მიმოიფანტება არემარე, გავიგონოთ ზარის გუგუნი, ჩვენი სირცხვილის გასახსენებლად...**

**მანუჩარ კაჭახიძე**



**ტატ ერთ პოეტს“ გადავაყოლეთ სამშობლო?**

**ალბათ, „ბზუილში“ გამოგვრჩა!**

**გაიღვიძეთ ხალხო!**
**ნუ ზუზუნებთ!**
**ხმა ამოიღეთ!**

**დღეს ცხვირწინ ყველაფერს გიყიდიან!**

**დღეს ყველა საუკეთესო ნივთიერს გართმევენ!**

**ბერძენმა „არგონავტებმა“ მხოლოდ „ოქროს საწმისი“ კი არ წაიღეს, ქართველი ქალის ერთგულება და სიყვარულიც ღალატად აქციეს!**

**დღეს ყველაფერი მიწასთან არის გასწორებული!**

**გაიღვიძეთ!**
**ნუ ზუზუნებთ!**

**ყველაზე მთავარს, ჩვენი და თქვენი შვილების მომავალს ეპატრონებიან, ტვინს „ურეცხავენ“!**

**ამ „წიგნში“ არ ასწავლიან:**

*„სხვა საქართველო*
*სად არის,*
*რომელი კუთხე ქვეყნისა?*
*ერი — გულადი, პურადი,*
*მებრძოლი შავის ბედისა?!“*

**არ ასწავლიან, რადგან ეს გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოა“ და არა „ერთი პოეტის ბზუილი“.**

**ამ „წიგნში“ არ ასწავლიან:**

*„მარად და ყველგან,*
*საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..*
*მე ვარო შენი თანამდევი,*
*უკვდავი სული.*
*შენთა შვილთ სისხლით*
*გული სრულად გარდამებანა,*
*ამ გულში მე მაქვს*
*შენი აწმყო, შენი წარსული“.*

**არ ასწავლიან, რადგან ეს ილია ჭავჭავაძისაა და არ სურთ, ილიას გზაზე შედგნენ თაობები!**

**მაყვალა ბერიანიძე**

**თავისუფლების მოედანზე, მერიის შენობის წინ, როცა ათენის ოლიმპიადიდან ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაბრუნებულ ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს ზღვა ხალხი ტაშს უკრავდა, მიხეილ სააკაშვილმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ საქართველოში მამლუქობის დრო დამთავრდა და ქართველმა კაცმა მსოფლიო ასპარეზზე მხოლოდ საქართველოს სახელით უნდა ილვაწოს!.. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა: ფირმა „რიკო ინტერნეშენელი", რომლის ცენტრალური ოფისიც შუა ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარეობს, ქართველ მამლუქთა სამჭედლოა, ხოლო მისი პრეზიდენტი ლაშა ნიკოლაიშვილი ძალიან წააგავს კინოფილმ „მამლუქის" პერსონაჟს - აზნაურ ბარდღას, რომელიც ქართველ ბავშვებს იტაცებს და გასაყიდად მიერეკება. ბატონო პრეზიდენტო, ძალიან გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ამ წერილს!.. თუ დრო არ გექნებათ და სიტყვა-სიტყვით ვერ მოახერხებთ მის წაკითხვას, დაე, თქვენმა ხელქვეითებმა მოგითხრონ, ლაშა ნიკოლაიშვილისა და „რიკო ინტერნეშენელის" წყალობით რა გადახდა თავს 19 წლის ქართველს ამერიკის შეერთებულ შტატებში... ახალგაზრდა ბიჭი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, რომელიც მამის ავადმყოფობის გამო უმძიმეს მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახის დახმარებას ცდილობდა, „რიკო ინტერნეშენელმა" აშშ-ში 4 თვით სამუშაოდ გაგზავნა... ახალგაზრდის გვარ-სახელს ჩვენ საგანგებოდ არ ვასახელებთ, რადგან აპათიაში ჩავარდნილი უნიჭიერესი სტუდენტის ფსიქიკა კიდევ უფრო არ დავამძიმოთ, მაგრამ შესაბამისი სამსახურების კატეგორიული მოთხოვნის შემთხვევაში, კარტებს ბოლომდე გავხსნით...**

# „რიკო ინტერნეშენელი" ქართველ ბიჭებს ამერიკაში მამლუქებად ყიდის!




„რიკო ინტერნეშენელის" პროგრამა ითვალისწინებდა ამერიკულ შეუზღუდავ დაზღვევას, ახალგაზრდების ბინით უზრუნველყოფას და სტაბილურ, ლეგალურ სამუშაოს 9-11 დოლარის ანაზღაურებით საათში, ასევე შეუზღუდავ სამუშაო გრაფიკს. სამუშაო უნდა ყოფილიყო „იოლი და სასიამოვნო", რამდენადაც თინეიჯერებზე იყო გათვლილი და მათივე გაანგარიშებით 70 საათი კვირაში საშუალებას იძლეოდა, ახალგაზრდას თვეში გამოემუშავებინა 2 800 დოლარი, საიდანაც 600 დოლარი კვებას, ბინის ქირას და ტრანსპორტირებას მოხმარდებოდა, დანარჩენი 2 200 დოლარი კი თვიური მოგება იქნებოდა, რაც 4 თვეში მინიმუმ 8 800 დოლარს შეადგენს; ამ თანხიდან სტუდენტს საშუალება ეძლეოდა, დაეფარა „რიკო კრედიტის" თუნდაც კაბალური 3,5-პროცენტიანი სესხი 3 000 დოლარის ოდენობით და სუფთა მოგების სახით რჩებოდა სულ მცირე 5800 დოლარი.

ამერიკიდან უკან დაბრუნების საგარანტიოდ „რიკო ინტერნეშენელმა" მათსავე ბანკში ბინის ჩადება მოითხოვა და სესხიც თვითონვე გასცა. მიუხედავად უცნაური მოთხოვნისა, ჩვენთვის ნაცნობი სტუდენტი, რომელიც აშშ-ში დარჩენას არ აპირებდა, ამ პირობებს დათანხმდა, რის შემდეგაც მას გაუფორმეს კონტრაქტი ამერიკულ კომპანია EMF-თან.

**ხელშეკრულება გასაცნობად და ხელმოსაწერად აშშ-ს საკონსულოში შარშან, 24 მაისს, საღამოს მიაწოდეს ახალგაზრდას, როცა ტექსტის ყურადღებით წაკითხვის დროც არ რჩებოდა. ხელშეკრულებაში დაცული იყო მხოლოდ „რიკოს" უფლებები და მითითებული იყო სტუდენტის მხოლოდ ვალდებულებები.** როდესაც ამ ფაქტზე „რიკოს" მიუთითეს, პასუხად მიიღეს, რომ მთავარია ამერიკული კონტრაქტი და აშშ-ის საკონსულოში ვიზის მიღება, ხოლო ყველა შენიშვნას ისინი გაითვალისწინებდნენ და შეასწორებდნენ.

აშშ-ის ვიზის მიღების შემდეგ „რიკო ინტერნეშენელმა" ამერიკულ გადამზიდავ კომპანიასთან (საათში 9-11 დოლარად) დაარღვია ის კონტრაქტი, რომლითაც სტუდენტი საკონსულოში გასაუბრებაზე გავიდა და მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა სამგზის ჩემპიონია რაგბიში ახალგაზრდულ გუნდებს შორის, იგი ფიზიკური სისუსტის გამო დაიწუნეს (მისი სიმაღლეა - 187 სმ; წონა - 78 კგ); რატომღაც თინეიჯერების „იოლი და სასიამოვნო" დასაქმება უცბად „რთული და მძიმე" აღმოჩნდა; როდესაც სტუდენტი დათანხმდა მძიმე და რთულ სამუშაოს, გაირკვა, რომ მიუხედავად დადებული კონტრაქტისა, გადამზიდავ კომპანიას მუშახელი არ სჭირდებოდა. **„რიკო ინტერნეშენელმა" სიყალბე ჩაიდინა აშშ-ს საკონსულოს მიმართაც. მან გადამზიდავ კომპანიასთან დადებული მაღალანაზღაურებადი კონტრაქტით გაიყვანა აშშ-ის საკონსულოში ახალგაზრდები, ამერიკაში კი სულ სხვა კონტრაქტით გაუშვა ისინი** (9 ივნისს ახალ კონტრაქტზე მოაწერეს ხელი, როცა 10 ივნისს ამერიკაში უნდა გაფრენილიყვნენ), **კონტრაქტით, რომელსაც საერთოდ არ ეხება გადამზიდავი კომპანიები. ამერიკის მხარეს ეს რომ სცოდნოდა, ვერცერთი ახალგაზრდა ვიზას ვერ მიიღებდა...** პროტესტის შემდეგ სტუდენტს უთხრეს, რომ აშშ-ში არწასვლის შემთხვევაში „რიკო ინტერნეშენელი" გააუქმებდა ამერიკის საკონსულოში უკვე მიღებულ ვიზას, ანუ მათ მიმართეს შანტაჟს. სტუდენტი მოერიდა ვიზის გაუქმებას, რადგან, მოგეხსენებათ, როგორი სიფრთხილით ეკიდება აშშ-ის საკონსულო საქართველოს მოქალაქეებზე ვიზების გაცემას, **ხოლო პასპორტში გაუქმებული ვიზა სამომავლოდ ხელს შეუშლიდა მისი, როგორც წარჩინებული სტუდენტის აშშ-ში გამგზავრებას სწავლის გასაგრძელებლად.** ცხადია, რთული იქნებოდა იმის დამტკიცება, რომ ვიზა გაუქმდა „რიკო ინტერნეშენელის" მიზეზით და არა სტუდენტის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. გარდა ამისა, როგორც შემდგომ გაირკვა, „რიკო ინტერნეშენელის" მიერ აშშ-ში ახალგაზრდების 4 თვით გაგზავნა, რაც ოფიციალურად **2 500 დოლარი** ღირს, გაცილებით ძვირი დაჯდა: ამერიკის საკონსულოში გასაუბრება და ვიზის მიღება **(130 დოლარი)**, თვით „რიკოს" პრეზიდენტთან ლაშა ნიკოლაიშვილთან გასაუბრება (**100 დოლარი**), ნოტარიუსები, რეესტრი და ა. შ. თანხა იმდენად სოლიდური გახდა, რომ უკან დასახევი გზაც აღარ იყო. შემდგომ „რიკო ინტერნეშენელ"-მა სტუდენტს შესთავაზა ისევ „იოლი და სასიამოვნო" სამუშაო პარკში 6,5-7 დოლარად საათში, ასევე შეუზღუდავი სამუშაო გრაფიკით, რაც ითვალისწინებდა ბილეთების გაყიდვას ან ატრაქციონებზე კონტროლს; მართალია, მეორე კონტრაქტში უკვე დაფიქსირდა 32 სამუშაო საათი კვირაში (1600-1700 დოლარი თვეში), მაგრამ იქვე იყო მითითებული, რომ სურვილის მიხედვით სტუდენტს შეეძლო დამატებითი სამუშაო საათების აღება. ისიც იძულებული გახდა, დათანხმებოდა ამ პირობებს იმის გათვალისწინებით, რომ ამ „იოლ, სასიამოვნო და გასართობ" სამუშაოზე 15-16 საათსაც იმუშავებდა დღეში.

**პროგრამის მომგებიანობაში ეჭვი რომ არავის შეპარვოდა, ლაშა ნიკოლაიშვილმა პომპეზური შეხვედრა გამართა შერატონ-მეტეხი პალასში, სადაც მშობლები და ამერიკის კონსულიც მიიპატიჟა და ათობით სტუდენტს აშშ-დან „რიკოში" ფულის გადმოსარიცხად სპეციალური ბლანკები დაურიგა; ნიკოლაიშვილმა ბავშვები დაიმედა, რომ ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო პრობლემის შექმნისას, დაკავშირებოდნენ მას ან მის პარტნიორს აშშ-ში. სხვა იაფფასიანი სადაზღვევო კომპანიებისაგან განსხვავებით, მათი ძვირადღირებული (150 დოლარი) ამერიკული დაზღვევა თითის გაჭრასაც კი თანხით აანაზღაურებდა.**

ახალგაზრდას ასევე აიმედებდნენ ამ პროგრამით თითქოსდა აშშ-ში უკვე ნამყოფი აქტივისტები, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ ფირმას და ყვებოდნენ, თუ როგორ იოლად დაფარეს „რიკო კრედიტის" სესხი, ფულიც დააგროვეს და ზოგიერთმა ყოჩაღმა უკეთესი სამსახურიც იშოვა და მანქანაც ჩამოიყვანა. **მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს აქტივისტები უგზო-უკვლოდ გაქრნენ.**

თბილისელი სტუდენტის დიდი გაკვირვება გამოიწვია „რიკოს" ოფისში შარდის ანალიზზე თავად ფირმის პრეზიდენტის - ლაშა ნიკოლაიშვილის მიერ ჩატარებულმა ფასიანმა ნარკოლოგიურმა ტესტირებამ, რომელიც, მისივე განცხადებით, ამერიკული მხარის კატეგორიული მოთხოვნას წარმოადგენდა. **საინტერესოა, შეიძლება თუ არა შარდის ანალიზის ჩაბარება ლომბარდში და რა უფლებით აწარმოებდა კერძო სტრუქტურის პრეზიდენტი ნარკოლოგიურ კვლევას საკუთარ ოფისში სამედიცინო და სამართალდამცავი ორგანოების ნებართვისა და წარმომადგენლების გარეშე.** ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომ შარდის ჩამბარებელთა ორი მესამედი ნარკოტიკების მომხმარებელი იყო, თუმცა, ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში მაინც გაუშვეს. ცხადია, ეს **ტიპური ტრეფიკინგია** და უეჭველია, რომ გაუსაძლისი და კაბალური პირობების მიუხედავად, ამერიკაში ჩასულები პროტესტს ვერანაირად ვერ გამოთქვამდნენ.

შტატებში წასვლის წინ სტუდენტმა გაარკვია, რომ მას თან უნდა ჰქონოდა ჯიბის ფული 500 დოლარის ოდენობით, რადგან პირველი ორი კვირის განმავლობაში ხელფასს ვერ აიღებდა. ასევე დეპოზიტზე უნდა დაედო 250 დოლარი, რომელსაც „რიკოს" პარტნიორ კომპანიას „კონტინენტალს" გადასცემდნენ და ბინაში რაიმეს დაზიანების შემთხვევაში სწორედ აქედან დაქვითავდნენ გარკვეულ თანხას; ბინიდან წამოსვლის დროს კი თანხას ისევ უკან დააბრუნებდნენ.

ქალაქ ატლანტაში ჩასვლისას გაირკვა, რომ უპატრონოდ მიტოვებული ქართველი ბიჭები არა ქალაქში, არამედ დაბა ოსტელში იცხოვრებდნენ. ოსტელიდან უახლოეს სუპერმარკეტამდე და სატელეფონო ჯიხურამდე ორი მილია, ხოლო ავტობუსის გაჩერება 7 მილის მოშორებითაა. **სამსახურში მისასვლელად მამლუქებად გაყიდულ ქართველებს ფეხით უნდა ევლოთ, რაც შეუძლებელი იყო. საწყალმა ბიჭებმა დაიქირავეს ავტობუსის მძღოლი** (თვეში კაცზე 78 დოლარი), **რაკი იქვე ახლომახლო კვების ობიექტი არ იყო, იყიდეს საჭმლის მოსამზადებელი ჭურჭელი, თეთრეული, ბალიშები, პლედები... აგრეთვე თავიანთი ფულით შეიძინეს 75 დოლარად შეფასებული სპეცტანსაცმელი... არადა, ცნობილია, რომ ყველა ნორმალური ფირმა მომსახურე პერსონალს სპეცტანსაცმელს უფასოდ ურიგებს.**

უბედურებას უბედურება მოსდევდა...

აღმოჩნდა, რომ რიკოს მიერ გაწირული და გაყიდული **ბიჭების სამუშაო მეტეოროლოგიურ პროგნოზზე იყო დამოკიდებული.** ცუდ ამინდში პარკში გასართობად არავინ დადიოდა და კონტრაქტის ზევით კი არა, კონტრაქტით გათვალისწინებული 32 სამუშაო საათის შრომაც კი ჭირდა, - წვიმაში სტუდენტები საერთოდ არ მიჰყავდათ სამუშაოდ. „რიკოს" პარტნიორი ფირმა „კონტინენტალი" ქართველი ბავშვებისთვის თვითონ ქირაობდა ბინებს, რაც მათთვის მოგების ერთ-ერთი წყარო იყო. დაბა ოსტელში ოთხ კაცზე ინდივიდუალური დაქირავება გაცილებით იაფი ჯდებოდა, ვიდრე ის თანხა, რასაც სტუდენტებს სძალავდნენ. უბედურება ის იყო, რომ ქართველ ბიჭებს ბინის თვითონ დაქირავების უფლება არ ჰქონდათ. **ფირმა „რიკო" და მისი პარტნიორი „კონტინენტალი" 650-დოლარიან ბინაში (4 კაცზე) ბედის მაძიებლებს 1000 დოლარს ახდევინებდა. გაირკვა, რომ დეპოზიტზე დადებული ის 250 დოლარი არცერთ შემთხვევაში არ დაბრუნდებოდა უკან. 19-20 წლის ქართველ ბიჭებს დაპირებული მსუბუქი სამუშაოს ნაცვლად მუშაობა ჯოჯოხეთურ პირობებში - 50 გრადუსზე გახურებულ საცხობში და გაყინულ სამაცივრე განყოფილებებში უწევდათ. დაათრევდნენ ყინულებითა და „კოკა-კოლას" შუშით სავსე ყუთებს. „ლეგალურად მუშაობის უფლება" სტუდენტებს არა ერთ კვირაში, არამედ თვე-ნახევრის შემდეგ მისცეს, ხოლო ხელფასი მხოლოდ სამი კვირისა გადაუხადეს, საიდანაც ბინის ქირა, ტრანსპორტისა და სპეცტანსაცმლის ღირებულება დაქვითეს. ისე გამოვიდა, რომ ერთ თვეში ამერიკაში ჩასულმა ქართველმა სტუდენტმა 83 დოლარი გამოიმუშავა. მშობლები იძულებული გახდნენ, მისთვის საარსებო ფული გაეგზავნათ... როცა ჩვენმა ნაცნობმა ახალგაზრდამ არსებული მდგომარეობის გამო პროტესტი გამოთქვა და „ლეგალურად მუშაობის უფლება" მოითხოვა, რათა თვითონ მოეძია სამუშაო, პროტესტით გაღიზიანებულმა მენეჯერმა ქართველი სტუდენტი ღამით წვიმაში გარგიანად ქუჩაში გამოაგდო ისე, რომ „რიკოს" ამერიკელი პარტნიორი არც კი დაინტერესებულა, ჰქონდა თუ არა მას ღამის გასათევი.** ბავშვებისთვის არც ხელფასი გაუსტუმრებიათ ბოლომდე. სამი ღამის განმავლობაში პარკში ეძინათ. ჩვენმა ნაცნობმა სტუდენტმა, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, კაპიკებად გაყიდა ნათლობის ოქროს ჯვარი და ძეწკვი, ასევე აწ გარდაცვლილი ბაბუის მიერ ნაჩუქარი ძვირფასი საათი, რომელიც მან შვილიშვილს უნივერსიტეტში ჩაბარების აღსანიშნავად აჩუქა.

**როცა „რიკოს" ოფისში, თბილისში დარეკეს და დახმარება ითხოვეს, ლაშა ნიკოლაიშვილის ხელქვეითებმა ქართველ მამლუქებს გამტკნარებული ხმით მიუგეს - თბილისში ახლა ღამეაო!..**

შვილის გაჭირვებით შეძრწუნებულმა მშობლებმა კიდევ ისესხეს ფული და ბავშვს, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, ამერიკაში გაუგზავნეს. სტუდენტი ბიჭი მოუთმენლად ელოდა ატლანტაში ლაშა ნიკოლაიშვილის ჩაბრძანებას, რომელიც, მისივე თქმით, ნებისმიერ პრობლემას მოაგვარებდა. ორი კვირის განმავლობაში ნიკოლაიშვილის პატივცემული გვამი ამერიკაში ვერ ჩავიდა... **ქართველი ბიჭები კარდაკარ დადიოდნენ და ღამეს პარკში ათევდნენ. ვიღაც შავკანიანმა ხულიგნებმა ჩემოდნის წართმევაც დაუპირეს ჩვენს ნაცნობ სტუდენტს. ბიჭი თავდამსხმელებს გაუძალიანდა, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ მას თავში კასტეტი ჩაარტყეს. ულვთოდ გაწირულ და უპატრონოდ მიტოვებულ ახალგაზრდას ბედად სრულიად უცხო ამერიკელი მიეშველა, რომელიც პარკში უშველებელ როტვეილერს ასეირნებდა. ჰოსპიტალში მისვლისას აღმოჩნდა, რომ „რიკოს" მიერ დაპირებული ძვირადღირებული დაზღვევაც არ მუშაობდა, რადგან სადაზღვევო პოლისის ნომერი სტუდენტის გვარსა და სახელს არ ემთხვეოდა, ხოლო მკურნალობა სოლიდურ თანხას საჭიროებდა, რისი საშუალებაც მას არ ჰქონდა.** იმ ავბედითი ღამის შემდეგ ბიჭს საშინელი თავის ტკივილები დასჩემდა, რაც დღემდე გრძელდება. ლაშა ნიკოლაიშვილმა როგორღაც იქნა ამერიკაში ჩააღწია და ბავშვი ნახა. მაგრამ იგი უფრო თავისი კუნთმაგარი პირადი დაცვის აზრს დაეყრდნო, ვიდრე ექიმების რჩევას და საქმე მიჩუმქრდა. დაცვამ უთხრა თურმე ნიკოლაიშვილს, - **სერიოზული ტრავმის შემთხვევაში, თვალები ჩალურჯებული ექნებოდაო...** არადა, იმ ინციდენტის შემდეგ ორ კვირაზე მეტი იყო გასული და მოგეხსენებათ, ორ კვირაში ნებისმიერი სილურჯე ქრება. **ბიჭმა მოგვიანებით, მხოლოდ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გაარკვია, რომ ტვინის შერყევა ჰქონდა.** კრიმინოგენური თვალსაზრისით დაბა ოსტელში საშინელი მდგომარეობაა. როცა ახალგაზრდა მორიგი მძი-

21-ე გვერდზე >>



# პრეზიდენტ ბუშის სატელევიზიო მიმართვა ემიგრაციის კანონთან დაკავშირებით

საღამო მშვიდობისა. მინდა გთხოვოთ რამოდენიმე წუთი დამითმოთ, რათა განვიხილოთ ეროვნული მნიშვნელობის საკითხი - ამერიკის საემიგრაციო სისტემის რეფორმა.

კამათი ემიგრაციაზე მწვავე შეხლა-შემოხლას იწვევს, უკვე ბოლო კვირეებში ამერიკამ მკვეთრად დაინახა ეს ემოციები, როცა დიდი ქალაქის ქუჩებში უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ხალხი არალეგალების მხარდასაჭერად. ჩვენს სამხრეთ საზღვართან ზომები იქნა მიღებული არალეგალი ემიგრანტების შესაჩერებლად. ამერიკა ცდილობს ეს ორი ურთიერთსაპირისპირო პრობლემა მშვიდად შეერწყას ერთმანეთს და ვაშინგტონში დადგეს საემიგრაციო რეფორმის გადაწყვეტის დრო. ამ საღამოს მე ჩემს პოზიციას მოგახსენებთ, აგრეთვე მოგახსენებთ, რა მიმართულებით მსურს წავიყვანო ქვეყანა ამ სასიცოცხლო საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი საემიგრაციო სისტემა გამართულად ვერ მუშაობს. ათწლეულების განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები საზღვრებს ვერ აკონტროლებდა, შედეგად საზღვარი გადმოლახეს ჩვენს ქვეყანაში მუშაობის მსურველებმა, მათგან მილიონობით ადამიანი აქ დარჩა.

არალეგალი ემიგრანტები ჩვენი საზოგადოების ჩრდილქვეშ ცხოვრობენ. ბევრი იყენებს ყალბ დოკუმენტებს სამუშაოს მოსაპოვებლად. დამქირავებლისათვის არ არის ადვილი, შეამოწმოს მუშა ლეგალურად იმყოფება თუ არა ქვეყანაში. შედეგად, არალეგალური ემიგრაცია მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო სკოლებსა და საავადმყოფოებს, ზრდის შტატისა თუ ადგილობრივ ბიუჯეტებს, დანაშაულობებს ჩვენს ქალაქებში. ეს სერიოზული პრობლემებია. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ არალეგალი ემიგრანტების უდიდესი უმრავლესობა წესიერი ხალხია, რომელიც თავდაუზოგავად შრომობს, არჩენს ოჯახებს, ეწევა რელიგიურ სანიმუშო ცხოვრებას. ისინი ამერიკული ცხოვრების შემადგენელი ნაწილი არიან, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული კანონების მოქმედების მიღმა რჩებიან.

ჩვენ კანონების ერი ვართ, და ჩვენ უნდა შევასრულოთ ჩვენი კანონები. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ აგრეთვე ემიგრანტების ერი ვართ და უნდა დავიცვათ ეს ტრადიცია, რომელმაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ჩვენი ქვეყანა. ჩვენ არ გვაქვს ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები, ამერიკა შეიძლება იყოს კანონმორჩილი და ამავე დროს სტუმართმოყვარე სახელმწიფოც. ჩვენ გადავჭრით პრობლემებს, რომლებიც არალეგალურმა ემიგრაციამ შეგვიქმნა, შევქმნით სისტემას, რომელიც იქნება უსაფრთხო, კანონიერი და სამართლიანი. ასე რომ, მე მხარს ვუჭერ საყოველთაო საემიგრაციო რეფორმას, რომელიც დაეყრდნობა ხუთ ძირითად პრინციპს:

**პირველი,** შეერთებულმა შტატებმა უნდა გაამაგროს თავისი საზღვრები. ეს ყოველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ძირითადი მოვალეობაა. აგრეთვე მწვავე საკითხია ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებაც. ჩვენ ავირჩიეთ სწორი მიმართულება: საზღვარი ღია უნდა იყოს ვაჭრობისათვისა და კანონიერი ემიგრაციისათვის, ხოლო ჩაკეტილი არალეგალური ემიგრანტებისათვის, ისევე როგორც კრიმინალებისათვის, ნარკობიზნესისათვის და ტერორისტებისათვის.

მე ვიყავი შტატის გუბერნატორი, რომელსაც 1 200 მილის სიგრძის საზღვარი აქვს მექსიკასთან. ასე, რომ ვიცი, რა ძნელია გააძლიერო საზღვრები, და რამდენად მნიშვნელოვანია ეს. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გავხდი, საზღვრის უსაფრთხოების დაფინანსება გაიზარდა 66 პროცენტით, მესაზღვრეების რაოდენობა 9 ათასიდან 12 ათასამდე გაიზარდა. ჩვენი მესაზღვრე ქალები და კაცები რთულ სიტუაციებში შესანიშნავად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას (ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ დააკავეს და სამშობლოში დააბრუნეს დაახლოებით 6 მილიონი ადამიანი, რომელიც საზღვრის გადმოკვეთას უკანონოდ ცდილობდა).

ამ წარმატების მიუხედავად, ჩვენ არ გვაქვს სრული კონტროლი ჩვენს საზღვარზე. მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი შევცვალო ეს. ამ საღამოს მე მოვუწოდებ კონგრესს უზრუნველყოს დაფინასება, რათა ცოცხალი ძალის და ტექნოლოგიის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მივაღწიოთ ჩვენს საზღვრებზე. 2008 წლის ბოლოსათვის ჩვენ გავზრდით მესაზღვრე ოფიცრების რაოდენობას დამატებითი 6 000 ერთეულით. როდესაც ეს ახალი მესაზღვრეები მუშაობას შეუდგებიან, ვეცდებით რომ ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ეს რიცხვი გავაორმაგოთ.

ამავე დროს ჩვენ ვიწყებთ ამერიკის ისტორიაში საზღვრის დაცვის ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას. ჩვენ ავაგებთ მაღალი ტექნოლოგიების კედელს სასაზღვრო კორიდორებში, დავაგებთ ახალ საპატრულო გზებსა და ბარიკადებს სასაზღვრო მონაკვეთებში, ჩვენ დავამონტაჟებთ მოძრაობის სენსორებს, ინფრაწითელ კამერებს, გამოვიყენებთ უპილოტო მანქანებს, რათა თავიდან ავიცილოთ საზღვრის დარღვევა. ამერიკას აქვს ყველაზე მოწინავე ტექნოლოგია მსოფლიოში და ჩვენ ვუზრუნველვყოფთ საზღვრის დამცველებს საჭირო აღჭურვილობით, რათა მათ შეასრულონ თავიანთი სამუშაო და გაამაგრონ საზღვრები.

ათასობით ახალი მესაზღვრის გადამზადებას და მოწინავე ტექნოლოგიის განთავსებას დრო დასჭირდება. მწვავედ დგას ჩვენი საზღვრების გამაგრების საკითხი. ამიტომ, მე მოგიწოდებთ მივიღოთ გადაუდებელი ზომები გარდამავალ პერიოდში.

ერთ-ერთი არის გარდამავალ პერიოდში ეროვნული გვარდიის ძალების გამოყენება. გუბერნატორების ხელშეწყობით 6 000 დაცვის წევრი განლაგდება ჩვენს სამხრეთ საზღვრებთან. მათ უხელმძღვანელებენ მესაზღვრეები. ეროვნული გვარდიის წევრები დაეხმარებიან სასაზღვრო პატრულს სათვალთვალო სისტემების მართვაში, ინფორმაციის გარჩევაში, მავთულხლართების და სატრანსპორტო ბარიკადების განლაგებაში, საპატრულო გზების დაგებაში, წვრთნების ჩატარებაში. ეროვნული გვარდიის ნაწილები უშუალო მონაწილეობას არ მიიღებენ ძალისმიერი ზომის გატარებაში. ეს იქნება სასაზღვრო პატრულის მოვალეობა. ერთჯერადი სამსახური ეროვნული გვარდიელებისათვის გაგრძელდება 1 წლამდე. ამის შემდეგ ეროვნული გვარდიის ძალების რაოდენობა დაიკლებს გაწვრთნილი სასაზღვრო პატრულის და ახალი ტექნოლოგიების ხარჯზე. მნიშვნელოვანია ამერიკელებისათვის იმის ცოდნა, რომ ჩვენ გვყავს საკმარისი დაცვის ძალები, რათა გავიმარჯვოთ ტერორთან ომში, სტიქიასთან ბრძოლაში, და გავამაგროთ საზღვრები.

ამერიკა არ აპირებს დაამყაროს სამხედრო რეჟიმი სამხრეთ საზღვართან, რადგან მექსიკა ჩვენი მეზობელი და მეგობარია. ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას, რათა გავაუმჯობესოთ უსაფრთხოება საზღვრის ორივე მხარეს, გადავჭრათ საერთო პრობლემები, როგორიცაა ნარკოტიკების შემოსვლა, ტრეფიკინგი და დანაშაულობანი, შევამციროთ არალეგალური ემიგრაცია.

გარდამავალ პერიოდში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ საზღვრისპირა ქალაქების კანონის დამცველ ორგანოებს. ამიტომაც, ჩვენ გავზრდით ფედერალურ დაფინასებას, რათა შტატის და ადგილობრივმა თანამდებობის პირებმა დახმარება გაუწიონ სასაზღვრო პატრულს დასახულ ამოცანებში. აგრეთვე შტატის და ადგილობრივ მმართველებს ჩავუტარებთ სპეციალიზირებულ წვრთნებს, რათა დაეხმარონ სასაზღვრო ძალებს საზღვრის დამრღვევის აღმოჩენასა და შეპყრობაში. შტატის და ადგილობრივი კანონდამცველი ორგანოს ხელმძღვანელები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საზღვრის დაცვაში და ასევე მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ ჩვენს სტრატეგიაში, რომ გავამაგროთ საზღვრები.

ის საფეხურები, რაც მე გამოვყავი, გააუმჯობესებს ჩვენს უნარს შევიპყროთ საზღვრის დამრღვევები. ამავე დროს უნდა უზრუნველვყოთ ყოველი საზღვრის დამრღვევის დაბრუნება სამშობლოში. დაჭერილი არალეგალი ემიგრანტების 85 პროცენტზე მეტი, რომლებიც სამხრეთის საზღვრის გადმოკვეთას ცდილობენ, მექსიკელები არიან. უმეტესობა 24 საათის განმავლობაში დააბრუნეს სამშობლოში. მაგრამ, როდესაც ჩვენ ვიჭერთ არალეგალ ემიგრანტს სხვა ქვეყნიდან, ადვილი არ არის მათი სამშობლოში დაბრუნება. წლების განმავლობაში მთავრობას არ ქონდა საკმარისი ფართობი დროებით საკნებში მათ გასაჩერებლად, ლეგალური პროცესების დამთავრებამდე, ასე რომ უმრავლესობას გარეთ ვუშვებდით და ვთხოვდით სასამართლოში გამოცხადებულიყვნენ. მათი უმრავლესობა სასამართლოს წინაშე არ ცხადდებოდა. ეს ეგრეთწოდებული „დაიჭირე და გაუშვი“ მიუღებელია და ჩვენ ბოლოს მოვუღებთ მას.

ჩვენ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გავატარეთ ამ მიზნის მისაღწევად. გავზარდეთ და კვლავაც გავზრდით საწოლების რაოდენობას დროებითი დაკავების საკნებში. დავაჩქარეთ პროცესი, რომ შევამციროთ დეპორტაციის დრო. აგრეთვე მივმართეთ უცხო სახელმწიფოებს, უკან დაიბრუნონ თავიანთი მოქალაქეები, რომლებმაც ჩვენი საემიგრაციო კანონი დაარღვიეს. ამის შედეგად ჩვენ ბოლო მოვუღეთ „დაიჭირე და გაუშვის“ არალეგალი ემიგრანტებისათვის ზოგიერთი ქვეყნიდან. მე მივმართავ კონგრესს, გამოყოს დამატებითი დაფინანსება და თანამდებობის პირები, რათა სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო „დაიჭირე და გაუშვის“ სამხრეთ საზღვართან. თუ ხალხს ეცოდინება, რომ საზღვრის დარღვევის შემთხვევაში მათ შეიპყრობენ და სამშობლოში დააბრუნებენ, მათ შემოპარვის ნაკლები ხალისი ექნებათ.

**მეორე,** რათა გავამაგროთ ჩვენი საზღვრები, უნდა შევქმნათ დროებითი მუშის პროგრამა. რეალობაა, რომ საზღვრის მეორე მხარეს უამრავი ხალხია, რომელიც ყველაფერს გააკეთებს, რომ შემოვიდეს ამერიკაში, იმუშაოს და უკეთესი ცხოვრება შექმნას. ზაფხულის სიცხეში ისინი ფეხით გადიან მილებს უდაბნოში, ან სატვირთო მანქანის ძარაზე იმალებიან და ასე აღწევენ ჩვენს ქვეყანაში. ეს უზარმაზარ ტვირთად აწვება ჩვენს საზღვრებს, რასაც მხოლოდ მესაზღვრეები და კედლები ვერ შეაჩერებენ. რათა გავამაგროთ საზღვრები, უნდა შევამციროთ იმ ხალხის რაოდენობა, რომლებიც შემოპარვას ცდილობენ.

ამდენად, მე მხარს ვუჭერ დროებითი მუშის პროგრამას, რომელიც უცხოელ მუშებს კანონიერად შემოსვლის გზებს შეუქმნის ჩვენს ქვეყანაში, თანაც გარკვეული დროით. ეს პროგრამა დაეხმარება დამქირავებლებს და მუშებს შეასრულონ სამუშაო, რომელსაც ამერიკელები არ ასრულებენ. აუცილებელი იქნება ამ პროგრამის ყოველი წევრის კრიმინალური წარსულის შემოწმება. დროებითი მუშები განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებს.

დროებითი მუშის პროგრამა კეთილად წაადგება ჩვენ ეკონომიკას და საშუალებას მისცემს პატიოსან ემიგრანტებს უზრუნველყონ თავიანთი ოჯახები და პატივი სცენ კანონს. დროებითი მუშის პროგრამა გზას გადაუჭრის ცოცხალი ძალით (ტრეფიკინგის) მოვაჭრეებს და ხალხიც ნაკლებად გასწირავს სიცოცხლეს საზღვრის გადმოკვეთისას. ის შეცვლის არალეგალ ემიგრანტებს კანონიერი გადასახადების გადამხდელებით და შეამსუბუქებს შტატის და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ტვირთს. და ყველაფერთან ერთად, დროებითი მუშის პროგრამა განამტკიცებს ჩვენს უსაფრთხოებას, რადგან გვეცოდინება ვინ და რატომ იმყოფება ჩვენს ქვეყანაში.

**მესამე**, ჩვენ გვჭირდება ყოველი დამქირავებლის ანგარიში დაქირავებულ მუშებზე. კანონის დარღვევაა არალეგალის დაქირავება, თუმცა ბიზნესის მფლობელები ხშირად ვერ ამოწმებენ მათი დაქირავებულის ლეგალურ სტატუსს დოკუმენტების გაყალბების ფართოდ გავრცელებული პრობლემის გამო. ამიტომ, საყოველთაო საემიგრაციო პროგრამა გვთავაზობს უკეთეს სისტემას, რომელიც ემყარება გაუყალბებელ დოკუმენტებსა და ლეგალურ სამუშაოს. აუცილებელი ნაწილი ახალი სისტემისა იქნება ახალი პირადობის მოწმობები, რომელიც გაიცემა თითოეულ უცხოელ ლეგალურ მუშაზე. ეს ბარათი გამოიყენებს ბიომეტრიულ ტექნოლოგიას, როგორიც არის ციფრული თითის ანაბეჭდები, რათა არ მოხდეს მათი გაყალბება. ეს ბარათები დაგვეხმარება გავატაროთ კანონი და საშუალებას მოუსპობს დამქირავებელს, დაარღვიოს იგი. როცა გაძნელდება არალეგალი ემიგრანტებისათვის სამუშაოს პოვნა ჩვენს ქვეყანაში, ხალხს ხალისი დაეკარგება გადმოკვეთოს ჩვენი ქვეყნის საზღვრები არალეგალურად.

**მეოთხე**, ჩვენ უნდა რეალობას შევხედოთ თვალებში, რომ მილიონობით არალეგალი უკვე ჩვენს ქვეყანაშია. მათ ავტომატურად არ უნდა გაეხსნათ გზა მოქალაქეობისაკენ. ეს არის ამნისტია, და მე მას ვეწინააღმდეგები. ამნისტია უსამართლობა იქნებოდა იმათთვის, ვინც აქ კანონიერად იმყოფება, ნაწილობრივ ეს არალეგალური ემიგრაციის ახალ ტალღასაც ააგორებდა.

ზოგიერთი ჩვენს ქვეყანაში ამტკიცებს, რომ ერთადერთი გზა არის ყოველი არალეგალი ემიგრანტის დეპორტაცია, და ნებისმიერი წინადადება ამის გარდა მიგვიყვანს ამნისტიამდე. მე არ ვეთანხმები ამ აზრს, არც ჭკვიანურია და არც რეალისტური, რომ მილიონობით ადამიანი, რომელთა უმრავლესობას ღრმა ფესვები აქვს ამ ქვეყანაში, საზღვრებს გარეთ გავგზავნოთ. არსებობს საშუალო რგოლი არალეგალი ემიგრანტისათვის მოქალაქეობისაკენ ბილიკის გახსნასა და მასობრივ დეპორტაციის პროგრამებს შორის. ეს საშუალო რგოლი ცნობს, რომ არის განსხვავება ბოლო დროს შემოსულ არალეგალ ემიგრანტსა და პიროვნებას შორის, რომელიც აქ წლების განმავლობაში მუშაობდა, აქვს სახლი, ოჯახი და სუფთა წარსული.

მე მჯერა, რომ არალეგალმა ემიგრანტებმა, რომელთაც აქვთ ფესვები ჩვენს ქვეყანაში და უნდათ დარჩენა, უნდა გადაიხადონ მნიშვნელოვანი ჯარიმა კანონის დარღვევისათვის, გადაიხადონ გადასახადები, შეისწავლონ ინგლისური და მუშაობდნენ წლების განმავლობაში. ხალხს, რომელიც ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებენ, საშუალება მიეცემა მოითხოვონ მოქალაქეობა, მაგრამ თანხმობა არ იქნება ავტომატური და მათ რიგი მოუწევთ იმ პირების შემდეგ, რომლებიც ამ გზას კანონიერად გადიან. რაც ახლა აღვწერე, ეს არ არის ამნისტია. ეს არის კანონის დამრღვევთათვის გზა, ვალი გადაუხადონ საზოგადოებას და გამოამჟღავნონ კარგი მოქალაქისათვის დამახასიათებელი თვისებები.

**მეხუთე**, ჩვენ უნდა ვცეთ პატივი დიად ამერიკულ ტრადიციას ინტერნაციონალური ქვეყნისა, რომელმაც შეგვქმნა ჩვენ, ერთი ერი მრავალი ეროვნების ხალხისაგან. ჩვენი ქვეყნის წარმატება დამოკიდებულია დახმარებაზე ახალ ჩამოსულებისადმი, რათა ისინი შეერწყან ჩვენს საზოგადოებას და იამაყონ ერთი ეროვნებით- ამერიკელობით. ამერიკელებს აერთიანებს საერთო იდეალები, ჩვენი ისტორიის დაფასება, პატივისცემა იმ დროშისა, რომელსაც ვაფრიალებთ, შესაძლებლობა ინგლისურად საუბრისა და წერისა. ინგლისური არის აგრეთვე გასაღები ამერიკული წარმატებისაკენ. ინგლისურის ცოდნა საშუალებას აძლევს ახალჩამოსულებს გააკეთონ არჩევანი მოსავლის აღებასა და საკუთარი მაღაზიის გახსნას შორის, ოფისების დალაგებასა და ოფი-

**დას. იხ. 26-ე გვერდზე**

# ამისათვის ჩამოასვენეთ ერთი წლის წინ ქაქუცა?



ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავი მთაწმინდაზე უპატრონოდ მიგდებული და მოოხრებულია!

გივი ჯოლბორდის ფოტო

***ქართველებო, კარგად დააკვირდით ამ უსახელო საფლავს, რომელსაც საქართველოსავით სამ ნაწილად დაჩეხილი თეთრი ჯვარი აძევს... ვინმე უბირისა და გლახაკის უკანასკნელი განსასვენებელი ნუ გეგონებათ იგი... მართალია, საფლავი უპატრონოა, მიტოვებული, უძეგლო, უწარწერო, არც ყვავილები ალამაზებს მის მდუმარებას და არც ქალის ცრემლები ეპკურება მიწას, მაგრამ მთელი საქართველოა ამ წმიდა სამარის პატრონი...***

აქ განისვენებს თავადი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი, საქართველოს ეროვნული გმირი!

მისი ძვლები უკანასკნელად მიხეილ სააკაშვილმა შეაშფოთა, როცა საკონცერტოდ, სალაღობოდ, სატელევიზიოდ და სამთელქვეყნოდ თავლაფდასხმული და გამოჭენებული **„ნაცმოძრაობის“ „დასაპიარებლად“,** ლევილიდან მთაწმინდაზე გადმოასვენა ამაყი და ქედუხრელი ჩოლოყაშვილი... მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, 365 დღე და **საქართველოს სამარცხვინო ხელისუფლებას 365 წამიც კი არ უფიქრია გმირთაგმირი ქაქუცას უკანასკნელი ნავსაყუდელის კეთილმოსაწყობად...**

ანდა ვის სჭირდება იგი, მისი საფლავი, მისი სახელი, ან სადღაა მისი დროშა, რომელსაც ჯერ კიდევ თბილისის მერიის სახურავზე აფრიალებულს გამოუტანეს „ნაციონალებმა“ სასტიკი განაჩენი და „კრიშაზე“ იმდენი ირბინეს, ვიდრე კათოლიკე მისიონერების, ტამპლიერებისა თუ როზენკროიცერების ხუთჯვრიანი ალამი არ ანაცვალეს საქართველოს თავისუფლების „შვინდისფერ“ ბაირაღს.

**როცა სააკაშვილი ატყდა და ქაქუცას ნეშტის სამშობლოში გადმოსვენება მოინდომა, ქართული საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო. საფრანგეთის ქართული ემიგრაცია ჩოლოყაშვილის მთაწმინდაზე აბრძანებას ცრემლნარევი სიხარულითა და ჩუმი პროტესტით ხვდებოდა, ხოლო ჩვენ, საქართველოში მცხოვრებნი სუნთქვაშეკრულნი ველოდით იმ დღის გათენებას, თუ როდის ჩაიხუტებდა მშობლიური მიწა თავისი გაზრდილის ძვლებს.**

მართალია ჩვენ ვგრძნობდით, რომ ერთი წლის წინ, 2005 წლის 26 მაისს, მთელი ეს პომპეზურობა, რომელიც ქაქუცას ნამდვილად ეკუთვნოდა, ყოველმხრივ გაკოტრებულ ხელისუფლებას სატაშფანდუროდ და ავადსახსენებელი რეიტინგის ასამაღლებლად სჭირდებოდა. მაგრამ ყველა პატრიოტის სული შინაგანად მაინც თრთოდა, — **რაგინდ მთხლეც გინდა იყოს ხელისუფლება, ეროვნული გმირების სამშობლოში დაბრუნებას ჭკუათმყოფელი კაცი ვერ გააპროტესტებს!..**

ახლა, ამ ერთი წლის თავზე, როცა საზღვარგარეთულ სექსვიზიტებში მილიონებს ხარჯავენ, როცა მთელი ქვეყნის ბიუჯეტი თავზე წამოიცვეს, როცა ჩამორთმეული სახლებით ვაჭრობენ და მთელი საქართველო დუქნად აქციეს, **ახალ 26 მაისს** ქაქუცა ჩოლოყაშვილი ყველასაგან მიტოვებული და საფლავმოოხრებული ხვდება!

ვინ იტყვის იმას და ვინ დაიჯერებს, რომ ჩვენი დროის ჟამმა და სახადმა, განახლებულმა „მოქკავშირმა“, ანუ დღევანდელმა „ნაცმოძრაობამ“, დრო და ფული ვერ გამონახა საქართველოს ეროვნული გმირის საფლავის კეთილმოსაწყობად? **ვერავინ!..**

ვისაც სინდის-ნამუსის ნატამალი მაინც შერჩენია, ამის თქმას ვერავინ გაბედავს!

მაშ, რაშია საქმე, რა გვჭირს, რა უბედურება შეგვეყარა ასეთი, რომ **ტელეშოუებმა, ტელეკაცებმა, ტელეპიარმა, ტელემანიამ** და ერთდღიანმა **ტელეეფექტებმა** ეს ქვეყანაც **ტელესახელმწიფოდ** აქცია, ჩვენი გული გაყინა, ხოლო პატრიოტიზმი და დიდი წინაპრების პატივისცემა „პატრიოტების ბუჩქებში“ მიჩურთა?..

როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხედარს პარიზის ქუჩაში, სენტ-უანის სასაფლაოსკენ მიასვენებდნენ, მოძრაობა შეწყდა, თურმე, იმდენად დიადი, მრავალრიცხოვანი და დაუსრულებელი ყოფილა სამგლოვიარო პროცესია. რიგითი ფრანგები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, — ვის ასაფლავებენ, საფრანგეთის პრეზიდენტი ან რომელიმე ქვეყნის მეფე ხომ არ გარდაიცვალაო?..

**რა იცოდნენ იმ უბრალო პარიზელებმა მაშინ, 1930 წელს, რომ სამშობლოში გადასვენებულ ქაქუცა ჩოლოყაშვილს თავისუფალი საქართველოს ხელისუფლება მოკრძალებულ საფლავსაც კი არ აღირსებდა და სამად დამსხვრეულ ჯვარს დაადებდა (ჯვარს ვცემ პატივს და სხვა სიტყვას აქ საგანგებოდ არ ვიყენებ. — დ. ჩ.) იმ მოუსწორებელ, ჩაზნექილ და აჩიჩქნილ მიწას, რომლის ქვეშაც სამშობლო ქვეყნის სიყვარულში ჩაფერფლილი ძვლები განისვენებს...**

მე არ გახლავართ და არც არასოდეს ვყოფილვარ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას პოლიტიკური თანამოაზრე და მეხოტბე, მაგრამ **განა ცამდე მართალი არ არის ქალბატონი მანანა, როცა მიხეილ სააკაშვილს ზვიად გამსახურდიას ცხედრით სპეკულაციის საშუალებას არ აძლევს და საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს პირველი პრეზიდენტის სამშობლოში გადმოსვენებაზე არ თანხმდება?**

**როდის იყვნენ სააკაშვილი, ბოკერია, კოტე გაბაშვილი, გია ხევიაშვილი ან სხვა ბანდიტი და პუტჩისტი მინისტრები ზვიადისტები, — გამსახურდიას ნეშტი ჩეჩნეთიდან საქართველოში უნდა ჩამოვასვენოთო! — შიგადაშიგ რომ გაჰკივიან?**

სჯობს უცხო მიწაში ლპებოდეს ძვალი და ხორცი, სჯობს უცხო მიწაზე იყოს საფლავი, — უჩინო და უსახელო, ვიდრე სამშობლოში ყველაზე უფრო აღმატებულ ადგილას დაგმარხონ და კაცი პატრონი და მომხედავი არ გყავდეს!..

**არ უყვარს ამ ხელისუფლებას არც ქაქუცა ჩოლოყაშვილი, არც ქაქუცას დროშა და სამთავრობო ლოჟაში, დარწმუნებული ვარ, ერთი-ორი თუ იქნება ისეთი, რომელიც „შპარგალკის“ გარეშე იტყვის, რა დამსახურება მიუძღვის თავად ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს სამშობლოს წინაშე, ან რატომ გადახვეწა უკუღმართმა ბედმა იგი საფრანგეთს!..**

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ევროპაში ღვინით სავსე ბოთლებით არ წასულა, როგორც სარეკლამო აგენტი, მან ხმლით ხელში დატოვა საქართველო და თან წაიღო დროშა, რომელიც ჩვენი დროის ჰეროსტრატეებმა თბილისის ომის დროს ცეცხლში ჩაფერფლეს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილს მოქანდაკე გუჯი ამაშუკელმა ლევილის ქართველთა საძვალეში ბრწყინვალე ძეგლი დაუდგა, ხოლო სააკაშვილის ხელისუფლებამ მთაწმინდაზე მისი საფლავი ღორების საშლიგინო ლაფაროს დაამსგავსა!

**ამის შემდეგ ღირს საქართველოში სულხან-საბას, ვახტანგ მეექვსის, ზვიად გამსახურდიასა და სხვა ცნობილი მამულიშვილების გადმოსვენება? ჯერჯერობით არ ღირს!..**

საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს **ეროვნულმა ხელისუფლებამ** უნდა მიხედოს და არა **ტელეხელისუფლებამ!**

**დიტო ჩუბინიძე**

# უკვე დაგვავიწყდა ქაქუცა?!





**2005 წლის მაისი, საფრანგეთი, ლევილი. ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავი საქართველოში გადმოსვენებამდე რამდენიმე დღით ადრე. პარიზში მოღვაწე მღვდელი მამა გიორგი მსხილაძე ქართველ მრევლთან ერთად**



# ნავთი

ვალერი კვარაცხელია



მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო.

თბილისი ენერგეტიკულ კრიზისს მოეცვა. ეზოებში დილიდანვე შედიოდნენ ნავთით მოვაჭრენი და ათასგვარ შეძახილებს - რძე, მაწონი, მწვანილი, მწვანილი! - მათი ომახიანი ხმაც ერთვოდა.

- ნავთი, ნავთი!

ყველა ოჯახში შიშინებდა ძველებური, საბჭოური ნავთქურა. შავად იბოლებოდა ჭერი. კედლები, მაგრამ ამას არავინ დაგიდევდა, მთავარი ის იყო, რომ ენერგიის წყარო არსებობდა. ნავთი ყველას სჭირდებოდა, ნავთი ლამის სიცოცხლის წყაროდ იყო ქცეული, მას ზოგჯერ წამლადაც იყენებდნენ - ყელკატარიანებს, ჭლექიანებს და ფილტვებისანთებიანებს ასმევდნენ დილა-საღამოს ორმოცდაათ-ორმოცდაათ გრამს და, როგორც მაშინ სჯეროდათ, საკმაოდ კარგ შედეგებსაც აღწევდნენ. მიუხედავად ამისა, ნავთი მაინც ნავთი იყო და სხვა არაფერი - სუნიანი, ჭუჭყიანი სითხე, რომელიც ყველაფერს აბინძურებდა...

იაფი იყო ნავთი. იმ გაჭირვებისა და უფულობის ფონზეც იაფი იყო.

მერე შეიცვალა დრო.

კომუნისტებმა ომით დანგრეული ორ წელიწადში აღადგინეს. მთელი ის უზარმაზარი საბჭოეთი ელექტრონით გააკაშკაშეს და ნავთის სახსენებელი დედაქალაქებში კი არა, ყველაზე მიყრუებულ სოფლებში და მიუვალ ადგილებშიც კი დაავიწყეს ხალხს.

მხოლოდ მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა და ხალხმა „თავისუფლების ჰაერი ჩაისუნთქა", ერთბაშად ელექტრონიც გაქრა და ენერგიის ყველა სხვა წყაროც. ჰოდა, ვიღაცამ ბიზნესს მოჰკიდა ხელი - ნავთისა და ბენზინის ბიზნესს. რაღა ვიღაცამ, თავად პრეზიდენტ შევარდნაძის ოჯახი ჩაუდგა ამ საქმეს სათავეში და მისმა ძმისშვილმა ბაქოდან თუ ტუაფსედან ნავთით და ბენზინით დატვირთული ეშელონები შემოაგრიალა საქართველოში. გერმანიაში, ჩინეთში, იაპონიასა და კორეაში ერთდროულად დაიწყეს ნავთქურების დიდი პარტიების დამზადება საქართველოსნაირ მდგომარეობაში აღმოჩენილი ქვეყნებისათვის.

როდესაც შევარდნაძე უმცროსის ნავთით დატვირთული ეშელონი თბილისს მოადგებოდა, შევარდნაძე უფროსი ქალაქს დენსა და ბუნებრივ აირს გამოურთავდა და გაიწელებოდა რიგები ნავთსა და თხევად აირზე, რომელიც ასევე შევარდნაძე უმცროსს შემოჰქონდა საქართველოში. ჩინეთში, იაპონიაში თუ კორეაში დამზადებულ ნავთქურებსაც შევარდნაძე და მისი კლანი ეზიდებოდა დუბაიდან. თორმეტი წელი ამყოფეს ხალხი ამ მდგომარეობაში. მიეჩვია ხალხი ნავთსა და მჭვარტლს. რაც მთავარია, მის ფასსაც მიეჩვია. კომუნისტების დროს ორ კაპიკად ღირებული ნავთის ფასმა „დემოკრატების" დროს თითქმის დოლარს მიაღწია...

ქართველებს უმტკიცებდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ნავთზე იყო დამოკიდებული.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ის ახალი მარშრუტი იყო, რომლითაც ბაქოს ნავთი დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში რუსეთის გვერდის ავლით ივლიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კავკასია ერთხელ და სამუდამოდ ჩამოსცილდებოდა რუსეთს და ევროპის ნაწილად გამოცხადდებოდა. ამ პოლიტიკურ პოზიციას კავკასიის ქვეყნების ევრო-ატლანტიკურ სამხედრო ბლოკში გაწევრიანება საბოლოოდ განამტკიცებდა და ბეჭედსაც დაუსვამდა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობმაგისტრალმა უზარმაზარი იდეოლოგიური ფუნქციაც იტვირთა. აბრეშუმის გზა, ევრაზიის ხიდი და სხვა ამგვარი სინონიმებით მოიხსენიებდნენ მას და ეფერებოდნენ, ეფერებოდნენ...

საერთოდ, ნავთზე ლაპარაკს, ნავთზე ფიქრს, ნავთზე ოცნებას შეაჩვიეს ხალხი.

მას ნავთი კი არა, ნავთობი ერქვა, დიდი ნავთობი, მას უკვე მოფერებითი სახელით, ლამაზი ეპითეტით მოიხსენიებდნენ - შავი ოქრო.

ნავთის შესახებ, ნავთის გამო და ნავთთან დაკავშირებით იმდენს ლაპარაკობდნენ მთელ მსოფლიოში, რომ ნავთი ახალ სახეს, ახალ შინაარსს, ახალ თვისებას იძენდა...

2004 წლის აგვისტოში ისედაც უცნაურად გაძვირებული ნავთობის ფასმა სარეკორდო ციფრს მიაღწია - ერთი ბარელი 40 დოლარი. ეს ერაყთან უმძიმეს ომში ჩათრეული ამერიკისთვის და, საერთოდ, დასავლეთის სამყაროსათვის კატასტროფას ნიშნავდა. აწრიალდნენ, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ. „ოპეკას" (ნავთობმომპოვებელ სახელმწიფოთა ალიანსი) ქვეყნებს ნავთობის ამოღების გაზრდა უბრძანეს, რათა ფასი როგორმე დაწეულიყო, მაგრამ ერთ კვირაში ფასმა ორი დოლარით და ათი ცენტით აიწია. დასავლეთის წრიალი პანიკაში გადაიზარდა.

- ყველა ღონე იხმარეთ ნავთობის ფასის დასაწევად! - მთელ დასავლეთს ეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების რეპუტაციაშერყეული პრეზიდენტის ბრძანება. რუსეთის პრეზიდენტ პუტინსაც შეჰკადრეს მორიდებული თხოვნა.

- იქნებ ოდნავ გაგეზარდათ ნავთობის მრეწველობის მოცულობა, გვიჭირს ძალიან, - იხვეწებოდნენ ისინი. რუსული ბუნებისათვის შეუფერებლად ეშმაკმა პუტინმა თითქოს გულთან მიიტანა დასავლეთის გასაჭირი, მაგრამ პასუხი დამაიმედებელი არ აღმოჩნდა.

- ყველა ღონეს ვიხმართ, რომ დაგეხმაროთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მოძველებული ტექნიკით ვმუშაობთ და ამ პირობებში მრეწველობის გაზრდა შეუძლებელია - თითქოს მოუბოდიშა მან დასავლეთს. ამასობაში ლონდონის ბირჟაზე ნავთობის ფასმა 43 დოლარს მიაღწია.

- კატასტროფა ახლოვდება, - ყვიროდა მოახლოებულ არჩევნებში მარცხისთვის განწირული ბუში თეთრ სახლში გამართულ საიდუმლო თათბირზე, - ერთ კვირაში თუ ნავთობის ფასი 40 დოლარს არ ჩამოსცდა, ერაყის ომში ენერგეტიკული პრობლემა შეგვექმნება - უმტკიცებდა იგი აშშ-ს მაღალჩინოსნებს, რომლებიც ბუშის მტკიცების გარეშეც შესანიშნავად აცნობიერებდნენ შექმნილი ვითარების მთელ სიმძიმეს.

- ამას მხოლოდ მუსლიმანური სამყარო ვერ შეძლებდა. მე ვფიქრობ, რომ ამ საქმეში თქვენი მეგობრის ხელი ურევია - გაუბედა ისედაც გაცეცხლებულ ბუშს მისმა მარჯვენა ხელმა კონდოლიზა რაისმა. ბუშმა გაკვირვებით გადახედა თანაშემწეს, რომელიც უფრო მეტი დაკონკრეტებისგან თავს იკავებდა.

- რუსეთის პრეზიდენტს გულისხმობს, - მიეშველა თანაშემწეს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი.

დაბნეული ბუში უმცროსი ქურდობაზე წასწრებულ კატასავით აცეცებდა პითეკანთროპის თვალებს.

- უკვე საჭიროზე მეტი არგუმენტი და დოკუმენტი დაგვიგროვდა იმის დასადასტურებლად, რომ პრეზიდენტი პუტინი გვატყუებს, - ჩაერია საუბარში „ფბრ"-ის აქამდე უხმოდ მჯდომი დირექტორი.

- ჩვენ უკვე ყველა გვატყუებს, ჩვენ წინააღმდეგ მთელმა მსოფლიომ შეკრა პირი, - შუბლზე ხელები აიფარა და თითები მარწუხებივით შემოიჭირა ჩიხში მოქცეულმა პრეზიდენტმა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, ეს თავი უძლური იყო საიმისოდ, რომ ნათელი აზრი ეშვა. ერთადერთი, რაც მოიფიქრა, „ცრუ"-ს დირექტორ ტენეტის სამსახურიდან დათხოვნა იყო, მაგრამ ეს აზრი ხმამაღლა არ გამოუთქვამს.

- ოპეკას ქვეყნების ხელმძღვანელებს უბრძანეთ, შეიკრიბონ და ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მიიღონ საიმისოდ, რომ ნავთობის ფასმა დაიწიოს! - ბრძანა ბოლოს.

იმ საღამოს პრეზიდენტის კაბინეტში კოლინ პაუელმა დარეკა.

- საუდის არაბეთი უკვე დავითანხმე, რომ ნავთობის ამოღება ოცი პროცენტით გაზარდოს, - ახარა მან სიმწრისგან ტირილამდე მისულ პრეზიდენტს. - რაც შეეხება „ოპეკას" ქვეყნების თათბირს, იგი ზეგ დილას, ათ საათზე დაიწყება ვენაში.

- როგორ შედეგს გეგმავთ? - უკიდურეს დაინტერესებას არც მალავდა პრეზიდენტი.

- ყველა ქვეყანასთან ვიმუშავეთ, ბევრ რამეს დავპირდით, „ცრუ"-მაც კარგად იმუშავა, მუქარის, შანტაჟის და დაშინების საჭირო დოზა ყველა მათგანმა მიიღო. თითქმის გამოვრიცხავ, რომ შედეგი სასურველი არ იყოს.

- როგორ ფიქრობთ, როდის და რა ნიშნულზე ჩამოვა ფასი?

- ჩემი გათვლებით, მაქსიმუმ ერთ კვირაში ორმოც დოლარზე დაბალი უნდა იყოს როგორც ნიუ-იორკის, ასევე ლონდონის ბირჟაზე.

- შემდეგ?

- მთავარია, ტენდენცია გაჩნდეს, დანარჩენი უკვე მართვადი იქნება. პუტინს თავად უნდა ელაპარაკოთ. - პუტინმა მტკიცე უარი გვითხრა, ნავთობის ამოღებას ვერ გავზრდიო, მოძველებული ტექნოლოგიები მოიშველია...

- არა, ჩვენ არ გვაინტერესებს მათი მხრიდან ნავთობის ამოღების მოცულობის გაზრდა. მთავარია, მან არ წააქეზოს არაბული და მუსლიმანური სამყარო. მათ თუ რუსეთის ზურგი არ ექნებათ, ისევე დაიჩოქებენ ჩვენ წინაშე, როგორც აქამდე იყვნენ დაჩოქილები.

- ჰო, მაგრამ, პუტინი როგორ შემოვაბრუნოთ, ამ ბოლო დროს არ მომწონს მისი საქციელი.

- მისი საქციელი არასოდეს მომწონდა. ხანდახან კი ვფიქრობდი, ზოგიერთ რამეს შიდა რეაქციული ძალების მოსატყუებლად თუ აკეთებს-მეთქი, მაგრამ ახლა ვრწმუნდები, რომ იგი ჩვენ გვატყუებს.

- ჰოდა, როგორ შემოვაბრუნოთ?

- ეს თქვენ უკეთესად მოგეხსენებათ, მაგრამ ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მასთან მე მაინც კავკასიის საკითხებით ვაჭრობას გირჩევდით. კავკასია მათთვის ძალიან მტკივნეულია.

- კონკრეტულად?

- ბაქოს ნავთობის ნოვოროსიისკის მიმართულებით ტრანზიტის კვოტა გავზარდოთ, სომხეთის საკითხთან დაკავშირებით დავას ჯერჯერობით ნუ დავუწყებთ და საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებშიც გარკვეულ დათმობაზე წავიდეთ.

- ეს შესაძლებელია, მაგრამ საქართველო გაგვინაწყენდება, მათი პრეზიდენტი... რა გვარია?

- სააკაშვილი.

- ჰო, სააკაშვილი რას იყვირებს და რას მოიმოქმედებს, კაცმა არ იცის.

- საქართველო პრობლემებს ვერ შეგვიქმნის, რაც შეეხება სააკაშვილს, ძნელი სამართავი კი არის, მაგრამ მასზე მაილსი და ჰოლანდიელი ქალბატონი იმუშავებენ, - ჩაიხითხითა პაუელმა.

- მაილსი ვინ არის?

- რიჩარდი, ჩვენი ელჩი საქართველოში.

- ჰო, სულ დამავიწყდა, - ჩაფიქრდა პრეზიდენტი - კარგი, თქვენი იმედი მაქვს - დაამატა შემდეგ და ყურმილი დადო.

მესამე დღეს „ოპეკას" ქვეყნების თათბირის დაწყების შესახებ ინფორმაციას ტელეარხები ნავთობის ფასის სენსაციური ზრდით იწყებენ, მან ორმოცდაოთხ დოლარს და 77 ცენტს მიაღწია. „ოპეკას" თათბირის პერიპეტიების მიმოხილვის შემდეგ კი ნავთობის ექსპერტების პროგნოზს აქვეყნებდნენ. ორსამ კვირაში ისინი ნავთობის ფასის 57 დოლარამდე გაზრდას ვარაუდობდნენ.

ბუში ცოფებს ყრიდა.

- ამერიკა ინგრევა!

- ამერიკა ინგრევა! - ყვიროდა იგი და მის წინ ბავშვივით თავდახრილ კოლინ პაუელს ცხვირწინ მუშტებს უტრიალებდა. დარცხვენილი კოლინ პაუელი კვლავ რუსეთისკენ იშვერდა ხელს და უთავბოლოდ ლუღლუღებდა.

- გვატყუებს, გვატყუებს!

პრეზიდენტმა მისკენ გადადგა ნაბიჯი, თვალებში ჩახედა. ასე ახლოს არასოდეს ენახა ეს ბრტყელი სახე და დაბერილი ნესტოები. უცებ გულისრევა იგრძნო - გორილას ჰგავს, - გაიფიქრა, - ნამდვილი გორილაა!

- აქამდე ნატოს გაძლიერება და გაფართოება როგორ ვერ შეძელით?! - მარტო პაუელზე კი არა, მთელ ისტებლიშმენტზე გაბრაზდა ერთბაშად - ჩვენ რუსეთთან სათხოვარი რა უნდა გვქონდეს, ჩვენ უნდა ვუბრძანოთ მაგ... მაგ... - ეტყობა, რომელიღაც სალანძღავი სიტყვა უტრიალებდა ენის წვერზე, მაგრამ თავი შეიკავა, რითაც კოლინ პაუელი გააოცა კიდეც.

მეორე დილას ლონდონის ბირჟაზე ბარელი ნავთობის ფასმა კიდევ ათი ცენტით აიწია, ხოლო ერაყიდან, რომელიც ხელახლა გაეხვია ცეცხლის ალში, საწვავის ნაკლებობის საგანგაშო სიგნალი მოვიდა.

პრეზიდენტმა ბუშმა უკვე აღარ იცოდა, რა წყალში ჩავარდნილიყო. იგი ხაფანგში გაბმულივით წრიალებდა, თავს ძალას ატანდა, მაგრამ ხელჩასაჭიდს ვერაფერს პოულობდა. უცებ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი ამოუტივტივდა გონებაში. გაახსენდა, რა დიდ იმედს ამყარებდნენ ამ პროექტზე მამამისი დ მისი შორეული მეგობარი შევარდნაძე. - სამწუხაროდ, ამ მაგისტრალის მშენებლობა დაგვიანდა, - ფიქრობდა იგი, - ჯერ მილებიც არ არის ჩალაგებული, სიტუაცია კი სწორედ ახლა, ამ წუთსაა გადასარჩენი. ისე, საკითხავია, ეს მაგისტრალი ხვალვე რომ ამუშავდეს, ფასებზე გავლენას მოახდენს? ამ წყეულ ფასს არაფერი ეშველა, სულ მაღლა და მაღლა მიცოცავს, არადა, ჩვენ ნავთობი ყველაზე დაბალ ფასებში გვჭირდება. განა ერაყში ომი ამისთვის არ წამოვიწყეთ, მაგრამ გავებით, თანაც, მაგრა გავებით, ორივე ფეხით...

პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი კერი ტელევიზიით მთელ მსოფლიოს ამცნობდა პრეზიდენტ ბუშის სავალალო შეცდომებს და, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ამერიკის მოსახლეობას ამ შეცდომების გასწორებას ჰპირდებოდა.

ბუშს გაეღიმა. მან, ვისაც, მისი კი არა, მამამისის წინასაარჩევნო კამპანია და დაპირებებიც ახსოვდა, კარგად იცოდა ამ დაპირებების ფასი...

იგი ახლა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა: ეს წყეული ნავთობი რაღა მაინცდამაინც ამ არაბთა და მუსლიმანთა ქვიშებშია ჩაღვრილი, ეს ევროპა რამ გამოხრა ისე, რომ მათ მიწაში სასარგებლო წიაღისეულის ნასახი არ მოიძებნება? ამერიკაში თითქოს არის ნავთობი, მაგრამ არ გვყოფნის. ვენესუელა, ეჰ, ვენესუელა. ეს წყეული უგო ჩავესი გამიხდა რა კომუნისტი. არა, ეგ კაცი ნამდვილად უნდა მოვაშოროთ ვენესუელას. აუჩემებია, ვენესუელას ნავთობი მშრომელ ხალხს და ღარიბთა მასებს უნდა მოხმარდესო. მგონი, რუსია ეგ შობელძაღლი, - დაასკვნა ბოლოს. შემდეგ პრეზიდენტის ამ პოლიტიკურ-გეოგრაფიულმა ფიქრმა, ცოტა არ იყოს, უტოპიური (მაგრამ - არასოციალისტური) ხასიათი მიიღო. - რა არის ეს ნავთობი, - ეკითხებოდა იგი თავის თავს. - ნუთუ არ შეიძლება მისი შეცვლა, ამ წყეულ არაბებზე და მუსლიმანებზე რომ არ ვიყოთ დამოკიდებული? რას აკეთებენ ჩვენი მეცნიერები, რას აკეთებენ? - თითებს იმტვრევდა. მერე რომელიღაც ღილაკს დააჭირა და ნავთობის დარგის წამყვანი სპეციალისტი გამოაძახებინა.

ერთ საათში მის კაბინეტში კოლინ პაუელი, კონდოლიზა რაისი და ნავთობის სპეციალისტი, თავის დროზე საბჭოთა კავშირიდან გაქცეული პროფესორი ჩერნიკინი ისხდნენ.

პრეზიდენტ ბუშის მიერ დასმულმა შეკითხვამ - რა არის ნავთობი? - არა მარტო მეცნიერულად, არამედ პოლიტიკურადაც გამოწრთობილი მოხუცი ჩერნიკინი დააბნია.

- დღეისათვის, გაბატონებული თეორიის მიხედვით, - ენის ბორძიკით დაიწყო ჩერნიკინმა და მელოტი თავი ოფლით დაენამა, - ნავთობი წარმოიქმნება ზღვის პლანქტონისა და საპროპელური ტიპის ორგანული მასალისაგან მრავალსტადიური, ხანგრძლივი და მეტად რთული გარდაქმნების შედეგად. ნავთობის წარმოშობის უმთავრესი ფაქტორებია ტემპერატურა და წნევა... საბოლოო ფაზაში ნავთობი წნევის გავლენით გამოიწურება პირველადი ქანებიდან და გადაადგილდება ფოროვან ქანებში...

პრეზიდენტი, სახელმწიფო მდივანი და პრეზიდენტის თანაშემწე ხმას არ იღებდნენ.

ჩერნიკინი ცოტათი შეეჭვდა, ვაითუ სხვა რამე მკითხესო, მაგრამ მასპინძელთა დუმილით გულმოცემულმა კვლავ განაგრძო.

- ქიმიური შემადგენლობით ნავთობი ალკანების, პარაფინული ანუ ციკლური ნაჯერი ნახშირწყალბადების, არომატული ნახშირწყალბადების და ციკლანების რთული ნარევია... იგი შეიცავს გოგირდოვან და აზოტოვან ნაერთებს, წყალს, აირებს და სხვადასხვა მინერალურ ნივთიერებებს, რომელთა შემადგენლობაში შედის მრავალი ქიმიური ელემენტი - Ca, Mg, Fe, Si, V, Na და მრავალი სხვა...

- საკმარისია, შეაწყვეტინა მას პრეზიდენტმა, - რით შეიძლება მისი შეცვლა?

- რა? - ვერ გაიგო შეკითხვა ჩერნიკინმა.

- ამ დამპალ დედამიწაში თუ არის რამე ისეთი, რაც ნავთობს შეცვლის და რომლის მოპოვებასაც ამერიკასა და ევროპაში შევძლებთ? - დაუკონკრეტა შეკითხვა ბუშმა.

ჩერნიკინს დაბნეულობისგან სასა გაუშრა. იგი საცოდავად შეჰყურებდა ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს და ხმას ვერ იღებდა.

- რუსეთს ბევრი აქვს მარაგი? - უცებ შეცვალა პრეზიდენტმა შეკითხვა. ჩერნიკინმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ესე იგი, რას ნიშნავს ნავთობის ფასის განუხრელი ზრდა? - კვლავ იკითხა ბუშმა.

- თავს თუ არ მოვიტყუებთ, - ალაპარაკდა უცებ კოლინ პაუელი, - ეს ამერიკის ეკონომიკის დაღმასვლას მოასწავებს.

- რუსეთის ეკონომიკის აღმასვლის პარალელურად? - ერთგვარი საზრიანობა გამოიჩინა ბუშმა.

- არა მარტო რუსეთის ეკონომიკის ზრდის პარალელურად, - დააზუსტა კონდოლიზა რაისმა, - არამედ მუსლიმანური სამყაროს გაძლიერების და მთელ მსოფლიოში ამერიკის საწინააღმდეგო განწყობილების აღმავლობის პარალელურად.

ბუშმა ერთბაშად იგრძნო, თუ როგორ სძულდა ეს ქალი, ნავთობს რომ ჰგავდა რაღაცით. მერე კი უხალისოდ, თითქოს ყასიდად იკითხა.

- რა მოჰყვება ამას?

- საერთოდ, რაოდენობრივი ცვლილება თვისებრივ ცვლილებაში გადადის და იწვევს რევოლუციურ ნახტომს, - გაახსენდა ჩერნიკინს საბჭოთა კავშირში ახალგაზრდობისას ნასწავლი დიალექტიკური მატერიალიზმის ცენტრალური კანონი.

- რას იწვევს? - საკუთარ ყურებს არ დაუჯერა პრეზიდენტმა.

- ნავთობის ფასის ზრდა გამოიწვევს ახალ თვისებრიობაში გადასვლას, ეს რევოლუცია იქნება, - დაადასტურა ჩერნიკინმა ზემოთ ნათქვამი.

- სად, ამერიკაში? - ოდნავ შეუთრთოლდა პრეზიდენტს ქვედა ყბა.

თანამოსაუბრეებმა კითხვა უპასუხოდ დატოვეს. კოლინ პაუელს და კონდოლიზა რაისს არათუ კითხვაზე პასუხის გაცემის, არამედ ფიქრის თავიც არ ჰქონდათ, თავში ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრები უთავბოლოდ უტრიალებდათ.

ჩერნიკინმა კი მტკიცედ გაიფიქრა:

- არა მარტო ამერიკაში, არა მარტო ამერიკაში! - თუმცა, ხმამაღლა არაფერი წამოსცდენია, ვიდრე თვალებჩაწითლებულმა და ტუჩებჩალურჯებულმა პრეზიდენტმა სამივენი კაბინეტიდან არ დაითხოვა.

*თბილისი.*
*2004 წლის აგვისტო*

**რედაქტორისაგან:**
ეს წერილი თითქმის ერთი წლის წინათ დაიწერა: ამ გაზეთის ბეჭდვის დროს ერთი ბარელი ნავთობის ფასმა სავაჭრო ბირჟაზე 67.73 დოლარი შეადგინა!

***ამერიკელი ჟურნალისტისა და მწერლის დენ ბრაუნის სენსაციური რომანი „და ვინჩის კოდი" გამოსვლის დღიდან იქცა ათწლეულის ბესტსელერად. მკითხველის და ქრისტიანული ეკლესიის დამოკიდებულება ამ წიგნისადმი არაერთგვაროვანია. სერიოზულად მიუთითებენ იმ საფრთხეზე, რომელიც მასშია დაშიფრული. და თუ „მამულმა" მაინც გადაწყვიტა „და ვინჩის კოდის" ბეჭდვა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოამზადოს საზოგადოება, რათა დენ ბრაუნის მიერ მოწოდებული თეზები არ მიიღოს აბსოლუტურ ჭეშმარიტებად.***





გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მამული" №24-26

## დენ ბრაუნი

# და ვინჩის

## VI თავი

რობერტ ლენგდონი ცხაურის ქვეშ გაძვრა და დიდი გალერეის შესასვლელთან აღმოჩნდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს გრძელი და ღრმა ხეობის ხახაში იყურებოდა. გალერეის ორივე მხარეს ოცდაათიოდე ფუტის სიმაღლის შიშველი კედლები აღმართულიყო, მათი ზედა ნაწილი წყვდიადში იკარგებოდა. პლინთუსებში ჩამონტაჟებული ღამის ლამპების მოწითალო ციაგი და ვინჩის, ტიციანისა და კარავაჯოს ტილოებზე ირეკლებოდა, რომლებიც კედლებზე საგანგებო მავთულებით ჩამოეკიდათ. ნატურმორტები, რელიგიური სცენები, პეიზაჟები, დიდგვაროვანთა პორტრეტები...

დიდ გალერეაში იტალიური ფერწერის მსოფლიოში საუკეთესო კოლექცია იყო თავმოყრილი, მაგრამ ბევრი დამთვალიერებლის აზრით, მან სახელი უწინარეს ყოვლისა თავისი უნიკალური იატაკით გაითქვა. დიაგონალური მუხის პარკეტი მარტოოდენ გასაოცარი გეომეტრიული ნახატით კი არ იტაცებდა თვალს, არამედ ოპტიკურ ილუზიასაც ქმნიდა: ის მრავალგანზომილებიან ბადეს ჰგავდა, რაც დამთვალიერებლებს შთაბეჭდილებას უქმნიდა, რომ გალერეაში მიცურავდნენ, მისი ზედაპირი კი ყოველ ნაბიჯზე იცვლებოდა.

ლენგდონი ღვლარჭნილ ნახატს თვალს აყოლებდა, მოულოდნელად მისი მზერა იქაურობისათვის სრულიად ზედმეტ საგანზე შეფერხდა, რომელიც მისგან რამდენიმე იარდის მოშორებით იატაკზე იდო. ის ადგილი პოლიციას საგანგებო ლენტით შემოესაზღვრა. ლენგდონი ფაშს მიუბრუნდა:

— ეს რა... კარავაჯოა? აი, იქ, იატაკზე?..

ფაშს იქით არც გაუხედავს, ისე დაუქნია თავი.

ლენგდონის აზრით, ნახატი ორ მილიონ დოლარზე ნაკლები არ ეღირებოდა, მაგრამ იატაკზე ისე ეგდო, როგორც სანაგვეზე მოსროლილი პლაკატი.

— კი მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, იატაკზე რა უნდა?

მის ხმაში გაჟღერებულმა აღშფოთებამ, როგორც ჩანს, ფაშზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

— ეს დანაშაულის ადგილია, მისტერ ლენგდონ. ჩვენ ხელი არაფრისთვის გვიხლია, ნახატი კედლიდან კურატორმა ჩამოაგდო. და ამით სიგნალიზაციის სისტემა აამოქმედა.

ლენგდონმა ცხაურისკენ გაიხედა, თან ცდილობდა, მოესაზრებინა, მაინც რა მოხდა აქ.

კურატორს, ალბათ, კაბინეტში დაესხნენ თავს. ის გამოიქცა, დიდ გალერეაში შემოირბინა, კედლიდან ტილო ჩამოგლიჯა და სიგნალიზაციის სისტემა ჩართო. ცხაური მაშინვე დაეშვა და გზა გადაკეტა. გალერეას სხვა შესასვლელ-გასასვლელი არ ჰქონდა.

ლენგდონი შეცბა:

— ესე იგი, კურატორმა თავდამსხმელი გალერეაში დაამწყვდია?

ფაშმა თავი გაიქნია:

— არა. ცხაურმა ის, უბრალოდ, სონიერს ჩამოაცილა. მკვლელი აქ, დერეფანში აღმოჩნდა, და სონიერს გისოსებიდან ესროლა, — მან ერთ-ერთ გისოსზე მიკრულ ნარინჯისფერ იარლიყზე მიუთითა, — სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების თანამშრომლებმა აქ დენთის ნაწილაკები აღმოაჩინეს. მან ცხაურიდან ისროლა. სონიერი აი ამ ადგილას მარტოობაში მოკვდა.

ლენგდონს ფოტო გაახსენდა, რომელიც მას აჩვენეს. ***მაგრამ ისინი ამბობდნენ, თითქოს კურატორმა ეს თვითონ ჩაიდინა.*** მან უზარმაზარ და უკაცრიელ დერეფანს მოავლო თვალი.

— ცხედარი სადღაა?

ფაშმა ჰალსტუხზე ჯვარცმის ფორმის სამაგრი შეისწორა და გზა განაგრძო.

— თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ გალერეა ძალიან გრძელია.

„თუ არ ვცდები, მისი სიგრძე თხუთმეტ ათას ფუტს შეადგენს, — გაიფიქრა ლენგდონმა, — ანუ ვაშინგტონის მემორიალის სამჯერ გამრავლებული სიმაღლის ტოლია" *(ჯორჯ ვაშინგტონის მემორიალი — 169 მ სიმაღლის ქვის ობელისკი ვაშინგტონის ცენტრში, რომელსაც ფორმის გამო „ფანქარს" უწოდებენ).* დერეფანს სიგანეც შთამბეჭდავი ჰქონდა, აქ სულ ადვილად დაიგებოდა რელსები სამგზავრო მატარებლების ორმხრივი მოძრაობისთვის. ცენტრში ერთმანეთისგან გარკვეული მანძილით დაშორებული ქანდაკებები ან ფაიფურის ლარნაკები იყო განლაგებული, რაც თემატური ექსპოზიციების გამიჯვნას და, აგრეთვე, დამთვალიერებელთა ნაკადის გაყოფას უწყობდა ხელს.

ფაში უხმოდ და სწრაფად მიაბიჯებდა დერეფნის მარჯვენა მხარეს. მზერა წინ ჰქონდა მიპყრობილი. ლენგდონს კი, უბრალოდ, უპატივცემულობად მიაჩნდა, მსოფლიოს უდიდესი შედევრების წინ ისე ჩაერბინა, რომ მათ სანახავად წამითაც არ შეჩერებულიყო.

***თუმცა, განა შეიძლება ამ განათებაში რამის გარჩევა,*** გაიფიქრა მან.

პირქუში მოწითალო შუქი ვატიკანის საიდუმლო არქივებში მუშაობას ახსენებდა, რომლის შედეგად კინაღამ სიცოცხლეს გამოეთხოვა. დღეს უკვე მეორედ მოაგონდა ვიტორია. თვეები ისე გადიოდა, მასზე არ ფიქრობდა — და უცებ აი, ინებეთ. ლენგდონს აღარც სჯეროდა, რომ რომში სულ რაღაც ერთი წლის წინ იყო; მას შემდეგ თითქოს ათწლეულებმა ჩაიქროლეს. ვიტორიასგან ბოლო ცნობა დეკემბერში მიიღო. ეს იყო ღია ბარათი, რომელშიც ქალი წერდა, რომ იავანის ზღვაში კუნძულზე მიფრინავს ფიზიკის დარგში თავისი გამოკვლევების გასაგრძელებლად... ეს დედამიწის მანტიის ფლუქტუაციაზე დაკვირვებისას თანამგზავრების გამოყენებას უკავშირდებოდა. ლენგდონს არასოდეს გასჩენია ილუზია, რომ ვიტორია ვეტრასნაირი ქალი უნივერსიტეტის კამპუსში მასთან ერთად ბედნიერად ცხოვრებას შეძლებდა. მაგრამ რომში მათმა შეხვედრამ სულისა და ხორცის ისეთი ჭმუნვა გაუღვიძა, როგორიც მანამდე არასოდეს განუცდია. ბერბიჭული ცხოვრების და მარტოხელა მამაკაცის თავისუფლების მარტივი ხიბლისადმი სიყვარული შეერყა. და მოულოდნელად მისი ადგილი სიცარიელის შეგრძნებამ დაიკავა, რომელიც გასულმა წელმა მხოლოდ გაამძაფრა.

ისინი სწრაფად მიაბიჯებდნენ გალერეაში, თუმცა, ლენგდონი გვამს ჯერ ვერსად ხედავდა.

— ნუთუ ჟაკ სონიერმა ამხე-

# ერთი წელი გავიდა ქართველი რაინდის მოსე დავარაშვილის გარდაცვალებიდან

***ბატონ მოსე დავარაშვილზე საუბარს საქართველოსთვის ღირსშესანიშნავი ერთი ზნეობრივი აქტის გახსენებით დავიწყებ: ახალი საქართველოს შენებისა და საქართველოს თავისუფლების აღდგენის, ქართული საზოგადოების მოქცევის მცდელობის, თავისუფლების ახალი ქართული იდეის წარმოჩენის, ადამიანობის დამკვიდრების იმ აქტის გახსენებით, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საბჭოთა დისიდენტური მოძრაობის კულტურაში სულიერი განწმენდის მორიგი მცდელობა იყო.***

70-იან წლებში საბჭოთა კავშირში დასრულდა ჰუმანიზაციის ხანა. ყველაფერი ისევ ძველ დროში, სამოქალაქო ცივი ომისა და ველური სტალინური გადარჩევის ეპოქაში დაბრუნებით იმუქრებოდა. ყველა შიშსა და ძრწოლას მოეცვა. ყველა ანტისაბჭოელად იყო ქცეული და უარესობის მოლოდინში საბჭოთა კავშირიდან გაქცევაზე ოცნებობდა. ახალი უბედურების მოლოდინში ყველა ცდილობდა კარგი და გარანტირებული ცხოვრებისთვის მიეღწია. საბჭოთა მთავრობას ერთობ აწყობდა ასეთი ადამიანი — მშიშარა ანტისაბჭოელი, დასავლური ცხოვრების მეხოტბე. ასეთი ადამიანი ხომ ყოველთვის იოლად სამართავია ტოტალიტარულ სახელმწიფოში.

დისიდენტები დაირაზმნენ გმირის სახელების მოსაპოვებლად, შორიდან მაცქერალი, უუნარო კაცობრიობა გარინდული მოელოდა საბჭოთა მოვლენების სეირს. ველური გადარჩევის ხანა მძაფრდებოდა და ავბედითად იმუქრებოდა. მე ამ დროს საბჭოთა არმიის რიგებში ვმსახურობდი და, როგორც ყველა, საბჭოთა კავშირიდან გაქცევაზე ვოცნებობდი.

**და მაშინ, როცა დისიდენტობა იყო გმირობისა და საზოგადოების აზრის გაუტეხლობის, ანტისაბჭოურობის სიმბოლო, ზვიად გამსახურდიამ დაარღვია ტრადიცია. მან სახალხოდ განაცხადა, რომ შეცდა და ინანიებს თავის ანტისაბჭოელობას, რჩება საბჭოთა კავშირში და აგრძელებს ჩვეულებრივ ცხოვრებას, როგორც რიგითი მოქალაქე. ზვიადი არც ციხეში წასულა გმირისა და შეწირულის სტატუსით.**

ეს იყო ყოვლად გაუგონარი და დაუჯერებელი საქციელი. მხოლოდ მერე, მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს იყო სწავლება; სწავლება იმისა, რომ აუცილებელი არ არის „საამური" ცხოვრება და გმირის გარანტირებული სახელი საიმისოდ, რომ ადამიანი იყო. ეს იყო სწავლება, რომ ადამიანობა საზოგადოებრივი აზრით არ განისაზღვრება, რომ არავის გაწირვა არ შეიძლება დასაღუპად, თვით ანტისაბჭოელი საბჭოელებისაც კი — არადა, რომ ველურ გადარჩევაში მოხვედრილი ყოველი ადამიანი ძვირფასია, როგორც ერთადერთი და განუმეორებელი მოვლენა. ზვიადმა იცოდა, რომ ხალხში ყოფნით, რიგით მოქალაქედ დარჩენით, უფრო მეტს გააკეთებდა განწირულთათვის, ვიდრე — ხალხს გარიდებული უკვდავი გმირი ან შორიდან დამკვირვებელი ემიგრანტი.

ეს იყო წარმოუდგენელი პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის ბედზე, უსახელოდ შეწირული ადამიანისა, რომელსაც სრულიად არ აღელვებდა საკუთარი თავი, ოღონდ ხალხში ეტრიალა და ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში დახმარების ვაჟკაცური ხელი გაეწოდებინა განწირულისთვის. დიახ, მხოლოდ გვიან მივხვდი, რომ ზვიადმა ველური გადარჩევის პოლიგონზე დარჩენა და სიველურის შემცირებისთვის ბრძოლა არჩია დიდებას.

ზვიად გამსახურდიას სატელევიზიო „მონანიების" შემდეგ, საბჭოთა კავშირიდან წასვლის სურვილი დავკარგე, ეს სურვილი ხალხისკენ შემობრუნებისა და საქართველოში დაბრუნების სურვილით შეიცვალა. ზვიად გამსახურდიას ამ ზნეობრივმა სწავლებამ აბსოლუტურად შეცვალა ჩემი პიროვნება.

**მოსე დავარაშვილმა, ერთი შეხედვით ათასობით სხვა ქართველი ებრაელივით საქართველოს შვილმა და საქართველოზე შეყვარებულმა ადამიანმა, ქვეყანა ყველაზე საშინელ პერიოდში არ დატოვა. მოსე დავარაშვილმა არ დატოვა საქართველო მაშინ, როცა საქართველოში ძმა ძმას არ ინდობდა და მეზობელი — მეზობელს; როცა ველური გადარჩევის პოლიგონი თითქმის ყველამ მიატოვა; როცა გაუტანლობისა და ურთიერთგაწირვის სტალინურმა წესმა თავის ზენიტს მიაღწია. კიდევ ერთხელ დავრჩი სახტად ზნეობრივი სწავლების აქტით. კიდევ ერთხელ შემოტრიალდა ჩემი დაშინებული და გადაღლილი გონება იმათკენ, ვინც არბევდა, ავიწროებდა და სასიკვდილოდ სწირავდა ერთმანეთს. კიდევ ერთხელ არ გავექეცი სინამდვილეს „თავის საშველად".**

**ახლა ნათლად ვხედავ, რომ ზნეობრივი სწავლებების გარეშე მე ვიქნებოდი აბსოლუტურად მარტოსული, მწარე რეალობის წინაშე განწირული და დაბნეული ადამიანი. ჩემთვის ასეთ ზნეობრივ სწავლებად იქცა ქართველი რაინდის მოსე დავარაშვილის ცხოვრება.**

როგორც კოლხური კოშკი იდგა თავისუფლების ბასტიონად წლების განმავლობაში საქართველოში, მოსე დავარაშვილის სახლიც იყო ისრაელის არალეგალური საელჩო და იმედი იმისა, რომ ბნელი ძალების დარტყმის ქვეშ აღმოჩენილი გონიერება საქართველოში დასაღუპად არ გაიწირებოდა.

**ბედნიერია ერი, რომლის წიაღშიც სულიერი გაჭირვების ჟამს გამოჩნდებიან უსახელო გმირები, რომლებიც თავის თავზე იღებენ მთელ ეროვნულ ჭირსა და ვარამს და, თავიანთი ზნეობრივი სწავლებით, ყველაზე გაუცხოებულ ადამიანსაც კი არ მისცემენ ზნეობრივი გადაცდომის უფლებას.**

**მოსე დავარაშვილს არავინ ეტყოდა საყვედურს საქართველოს დატოვებისთვის. პირიქით, გაამართლებდნენ კიდეც, მაგრამ მან შორეული „დამკვირვებლის" ამპლუას ახლობელი დამხმარის კაცობა არჩია: რთული, მეტად სარისკო და უმძიმესი, მაგრამ ერთადერთი ზუსტი და დროული საქციელი.**

მოსე დავარაშვილისთვის შორეული დამკვირვებლის საამური და მომხიბლავი სტატუსი ყოველთვის უცხო იყო. ყველას ეგონა, რომ იგი ქონებრივ თავშესაფარში გაექცეოდა თავისუფლებას, მაგრამ მწარედ შეცდნენ, რადგან მისთვის წლების განმავლობაში, ქონებრივი „დელეცის" ნიღაბი ისეთივე ფარი იყო სიკეთის საკეთებლად, როგორც ჟიული შარტავასთვის — კომკავშირის „ზნაჩოკი".

ორ შემთხვევას გავიხსენებ საიმისოდ, თუ როგორ გადამარჩინა მოსე დავარაშვილმა ლაქიაობასა და გაჭირვებული მოყვასის ღალატს. „სრულიად შემთხვევით" საუბრისას მომიყვა, თუ როგორ შეუკრა ხელები მილიციელს საკუთარი მამის გადასარჩენად და ციხეში წასვლა ამჯობინა მამის იქ გამომწყვდევას. მეორედ კი მომიყვა, თუ როგორ დაამხო თავზე მილიციის მაღალჩინოსანს გაჭრილი საზამთრო, როცა მან მოსეს შეურაცხყოფა მოინდომა.

ვინმე სხვა დაგაცდის შეცდომას და შემდეგ სიხარულისა და გამარჯვების დამცინავ ტაშს შემოკრავს, ბატონმა მოსემ კი არ მაცადა შეცდომის დაშვება, ზუსტად იმ დროს მიშველა, როცა ცდუნება ჩემგან სულ ახლოს იყო. ჭეშმარიტი რაინდობა ხომ სწორედ საკუთარი მაგალითებით მოკეთის აღზრდაა და უფრო ნაყოფიერიც არის, ვიდრე რომელიმე გენიოსი მწერლისა და ფილოსოფოსის აფორიზმები, რადგან სულ რომ ვარსკვლავებს წყვეტდნენ სიბრძნის ნობელიანტი მეხოტბეები, რაინდებს სიტყვისა და სწავლების დროულ შეშველებაში ვერასოდეს გაეჯიბრებიან.

**გიორგი ფერაძე**

ლა მანძილის გავლა შეძლო?

— სონიერს ტყვია მუცელში მოხვდა. ეს ნელი და მტანჯველი სიკვდილია. ის თხუთმეტი-ოცი წუთის განმავლობაში კვდებოდა. როგორც ჩანს, უჩვეულოდ ძლიერი სულის მქონე ადამიანი იყო.

ლენგდონი გაოცებისგან შეჩერდა კიდეც.

— თქვენ რა, გინდათ, თქვათ, რომ დაცვას აქამდე მოსაღწევად მთელი თხუთმეტი წუთი დასჭირდა?

— რა თქმა უნდა, არა. ლუვრის დაცვამ რეაგირება განგაშის სიგნალის მიღებისთანავე მოახდინა. მაგრამ დიდ გალერეაში შესვლა შეუძლებელი იყო. მცველები ცხაურთან იდგნენ და ესმოდათ, რომ დერეფნის შორეულ ბოლოში ვიღაც მოძრაობს, მაგრამ ვინ — ვერ ხედავდნენ. ისინი ყვიროდნენ, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. მცველებმა ივარაუდეს, რომ დამნაშავის გარდა იქ ვერავინ იქნებოდა და ინსტრუქციის თანახმად სასამართლო პოლიცია გამოიძახეს. ჩვენ თხუთმეტ წუთში მოვედით. მერე ცხაურის იმდენად აწევა მოხერხდა, რომ ქვეშ გაძრომა შეიძლებოდა, და თორმეტი შეიარაღებული აგენტი შევაგზავნე. მათ მძარცველის ძებნაში მთელი გალერეა გადაჩხრიკეს.

— და?..

— და ვერავინ იპოვეს... — ფაშმა წინ მიუთითა, — ამის გარდა...

ლენგდონმა ფაშის თითს თვალი გააყოლა. პირველ მომენტში მოეჩვენა, რომ კაპიტანი ცენტრში აღმართულ მარმარილოს დიდ ქანდაკებაზე მიანიშნებდა, მაგრამ მიახლოებისას მიხვდა, რომ შეცდა. წინ, ქანდაკებიდან ოცდაათიოდე იარდის მოშორებით, სინათლის კაშკაშა ლაქა მოჩანდა. იატაკზე დადგმული შტატივიანი ლამპა მოწითალო ბინდბუნდში ჩაძირულ გალერეაში შუქის ერთადერთ კუნძულს ქმნიდა. და ამ კუნძულის ცენტრში პარკეტის იატაკზე კურატორის შიშველი სხეული ისე გართხმულიყო, როგორც მწერი მიკროსკოპის მინაზე.

— ფოტო ხომ ნახეთ, — თქვა ფაშმა, — ასე რომ, აქ თქვენთვის მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს.

ისინი ახლოს მივიდნენ, და ლენგდონმა იგრძნო, რომ ჟრუანტელმა დაუარა. თვალწინ ყველაზე უცნაური და საშინელი სანახაობა გადაეშალა, რაც კი ოდესმე ენახა.

●

ჟაკ სონიერი იატაკზე ზუსტად ისე იწვა, როგორც ფოტოზე იყო ასახული. ლენგდონი თავთან ედგა, უჩვეულოდ მკვეთრი სინათლისგან თვალებს ჭუტავდა და ფიქრობდა, რომ კურატორმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები ასეთი უჩვეულო მდგომარეობის მიღებას შეალია.

სონიერი თავისი ასაკისათვის საოცრად ჯანმაგარი ჩანდა... ის გაშიშვლდა, ტანსაცმელი იქვე იატაკზე აკურატულად დააწყო, მერე კი ფართო დერეფნის ზუსტად ცენტრში ზურგზე დაწვა. ხელ-ფეხი ფართოდ ჰქონდა გაშლილი, ასე სასაცილოდ ხელები ზამთარში ბავშვების გაკეთებულ თოვლის კაცს აქვს ხოლმე გამოჩრილი... არა, უფრო იმ ადამიანს ჰგავდა, რომელიც რაღაც უხილავმა ძალამ გაჭიმა და ოთხად გაგლეჯას უპირებს.

მკერდზე სისხლის ლაქა იმ ადგილს მიუთითებდა, სადაც ტყვია შევიდა. სისხლი ძალიან ცოტა იყო, მხოლოდ პატარა მუქი გუბე.

მარცხენა ხელის საჩვენებელი თითიც სისხლიანი ჰქონდა, თითქოს ჭრილობაში ამოაწო. და ეს მნახველს კოშმარულ აზრს ჰგვრიდა, რომ მომაკვდავმა საკუთარი სისხლი მელნად ან საღებავად გამოიყენა, ხოლო საკუთარი შიშველი მუცელი — ტილოდ. მართლაც, სონიერმა მუცელზე მარტივი სიმბოლო დაიხატა: ხუთი სწორი ხაზი, რომლებიც იკვეთებოდნენ და ხუთქიმიან ვარსკვლავს ქმნიდნენ.

***პენტაკლი?..***

სისხლიანი ვარსკვლავი მუცლის ცენტრში გვამს მართლაც რომ ავბედით შესახედაობას აძლევდა. ლენგდონის ნანახი ფოტოც დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა, ძრწოლამ აიტანა.

***მან ეს თვითონ ჩაიდინა.***

— მისტერ ლენგდონ?! — ფაში შავი თვალებით ბურღავდა.

— ეს პენტაკლია, — თქვა ლენგდონმა და საკუთარი ხმა უცხოდ მოეჩვენა, ისე უცნაურად და ყრუდ გაისმა ის გალერეის თაღებქვეშ, — ერთ-ერთი უძველესი სიმბოლო დედამიწაზე. ის ქრისტეს დაბადებამდე ოთხი ათასი წლით ადრე გაჩნდა.

— და რას აღნიშნავს?

ლენგდონი ყოველთვის ყოყმანობდა, როდესაც ამ შეკითხვას უსვამდნენ. სიმბოლოს მნიშვნელობის ახსნა იგივეა, რომ განმარტო, რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე ესა თუ ის სიმღერა. ერთსა და იმავე სიმღერას ყველა ხომ თავისებურად აღიქვამს. კუ-კლუქს-კლანის თეთრი კაპიუშონი შეერთებულ შტატებში სიძულვილისა და რასიზმის სიმბოლოდ იქცა, ხოლო ესპანეთში ასეთი კოსტიუმი მხოლოდ ქრისტიანული რწმენის ურყევობას უსვამდა ხაზს.

— სხვადასხვა ვითარებაში ერთსა და იმავე სიმბოლოს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, — ფრთხილად უპასუხა ლენგდონმა, — საერთოდ, თავდაპირველად პენტაკლი წარმართების რელიგიური სიმბოლო იყო.

— ეშმაკის თაყვანისცემა, — თავი დაუქნია ფაშმა.

— არა, — თქვა ლენგდონმა და მაშინვე მიხვდა, რომ სიტყვები უფრო ფრთხილად უნდა შეერჩია.

ჩვენს დღეებში ხომ სიტყვა „წარმართი“ ან „წარმართული“ ლამის სატანიზმის სინონიმად იქცა, რაც აბსოლუტურად არასწორია. ამ სიტყვის ფესვები ლათინური pagan-დან მოდის, რაც „სოფლად მოსახლეებს“ ნიშნავს. წარმართები სოფლებში და ტყეებში ცხოვრობდნენ და თავიანთი რელიგიური შეხედულებებით პოლითეისტები იყვნენ, ბუნების ძალებსა და მოვლენებს აღმერთებდნენ. და ქრისტიანულ ეკლესიას სოფლებში მცხოვრები ამ მრავალღმერთიანების („villes“) იმდენად ეშინოდა, რომ წარმოებულმა „vilain“-მა, ანუ „სოფელში მცხოვრებმა“ „ბოროტმოქმედის“ მნიშვნელობა შეიძინა.

— ხუთქიმიანი ვარსკვლავი ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელი სიმბოლოა, რომელიც ბუნების თაყვანისცემასა და გაღმერთებას უკავშირდება, — დაუწყო ახსნა ლენგდონმა, — ძველი ადამიანები მთელ სამყაროს ორ ნაწილად — მამაკაცურ და ქალურ ნახევრებად ყოფდნენ. მათ ჰყავდათ ღმერთები და ქალღმერთები, რომლებიც ძალთა ბალანსს ინარჩუნებდნენ. ინი და იანი. როდესაც მამაკაცური და ქალური საწყისები დაბალანსებულია, სამყაროში ჰარმონია სუფევს. როდესაც ბალანსი ირღვევა, ქაოსი წარმოიშობა. — ლენგდონმა ცხედრის მუცელზე მიუთითა: — პენტაკლი ყოველივე დედამიწაზე არსებულის ქალური ნახევრის სიმბოლოა. რელიგიების შემსწავლელი ისტორიკოსები სიმბოლოს „წმიდა ქალურ საწყისს“ ან „წმიდა ქალღმერთს“ უწოდებენ. ვინვინ და სონიერმა ეს ბრწყინვალედ იცოდა.

— გამოდის, სონიერმა მუცელზე ქალღმერთის სიმბოლო დაიხატა?

ლენგდონი დაეთანხმა, რომ ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურია.

— კიდევ უფრო სპეციფიკური ინტერპრეტაციაც არსებობს. ხუთქიმიანი ვარსკვლავი სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთის — ვენერას სიმბოლოა.

ფაშმა იატაკზე უსიცოცხლოდ გართხმულ შიშველ კაცს დახედა და რაღაც ჩაიბურტყუნა.

— ადრეული რელიგიები ბუნების ღვთაებრივ საწყისს ეფუძნებოდნენ. ქალღმერთი ვენერა და პლანეტა ვენერა ერთი და იგივეა. ქალღმერთს ღამეულ ცაზე საკუთარი ადგილი უკავია და მრავალი სახელით არის ცნობილი — ვენერა, აღმოსავლეთის ვარსკვლავი, იშთარი, ასტარტე. და ყველა მათგანი ბუნებასთან და დედამიწასთან დაკავშირებული მძლავრი ქალური საწყისის სიმბოლოა.

ფაში რატომღაც აფორიაქდა. თითქოს ეშმაკის თაყვანისცემის იდეა ერჩივნა.

ლენგდონმა გადაწყვიტა, დეტალებს არ ჩაღრმავებოდა და აღარაფერი უთქვამს ვარსკვლავის, შესაძლოა, ყველაზე საოცარ თვისებაზე — ვენერასთან მისი კავშირის გრაფიკულ მტკიცებულებაზე. ჯერ კიდევ ასტრონომიის ფაკულტეტის სტუდენტობისას ლენგდონმა შეიტყო, რომ რვა წელიწადში ერთხელ პლანეტა ვენერა ცის თაღის დიდ წრეზე აბსოლუტურად სწორი ფორმის პენტაკლს შემოწერს. ძველმა ადამიანებმა ეს მოვლენა შენიშნეს და ამან ისე შეძრა, რომ ვენერა და მისი პენტაკლი სრულყოფილების, სილამაზისა და სექსუალური ცხოვრების ციკლურობის სიმბოლოებად იქცნენ. თითქოსდა ამ მოვლენისადმი ხარკის გასაღებად ძველი ბერძნები რვა წელიწადში ერთხელ ოლიმპიურ თამაშებს აწყობდნენ. დღეს ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ თანამედროვე ოლიმპიადები ვენერას სანახევრო ციკლს მისდევენ. კიდევ უფრო ნაკლებმა უწყის, რომ ხუთქიმიანი ვარსკვლავი ლამის ოლიმპიური თამაშების სიმბოლო გახდა, მაგრამ ბოლო მომენტში მისი მოდიფიცირება მოხდა: ვარსკვლავის ხუთი მახვილი ბოლო ხუთი რგოლით შეცვალეს, რომლებიც, ორგანიზატორთა აზრით, უკეთ ასახავდნენ თამაშების ჰარმონიას და მათში მონაწილეობის სულისკვეთებას.

— მისტერ ლენგდონ, — თქვა ფაშმა, — როგორც ჩანს, ამ თქვენს პენტაკლს მაინც შეიძლება ეშმაკთან კავშირი ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, თქვენებურ საშინელებათა ფილმებში მას სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს.

ლენგდონი მოიღუშა. ***დიდი მადლობა, ჰოლივუდო.*** მკვლელ სატანისტებზე შექმნილ საშინელებათა სერიალებში ხუთქიმიანი ვარსკვლავი ვირტუალურ კლიშედ გადაიქცა. ასეთი ვარსკვლავებით იყო მოხატული სატანისტების საცხოვრებლის კედლები, იქ ისინი სხვა დემონური სიმბოლიკის გვერდით იწონებდნენ თავს. ლენგდონს სასოწარკვეთა იპყრობდა, როცა ხედავდა, რომ სიმბოლოს სწორედ ამ კონტექსტით იყენებენ, რადგან თავდაპირველად ხუთქიმიანი ვარსკვლავი მხოლოდ სიკეთის სიმბოლიზებას ახდენდა.

— გარწმუნებთ, — უპასუხა მან, — მიუხედავად იმისა, რაც კინოში გინახავთ, ვარსკვლავის დემონური ინტერპრეტაცია ისტორიული თვალსაზრისით აბსოლუტურად არასწორია. ძველთაგანვე ის ქალური საწყისის სიმბოლოს წარმოადგენდა, მაგრამ ათასწლეულების განმავლობაში სიმბოლოს მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, დამახინჯდა. მოცემულ შემთხვევაში — სისხლისღვრის მეშვეობით.

— ვერ გავიგე...

ლენგდონმა ფაშის ჰალსტუხის სამაგრს გადახედა და შიში შეეპარა, რომ სწორად ვერ გაუგებდნენ.

— ეკლესია, სერ. როგორც წესი, სიმბოლოები ძალზე მყარები არიან, მაგრამ პენტაკლი შეცვალეს — რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მისი განვითარების ადრეულ სტადიაზე. ეს წარმართული რელიგიების განადგურების და მასების გაქრისტიანების ვატიკანისეული კამპანიის ნაწილი გახლდათ. ეკლესია აქტიურად ებრძოდა წარმართულ ღმერთებსა და ქალღმერთებს და მათ წმინდა სიმბოლოებს ბოროტების სიმბოლოებად წარმოადგენდა.

— განაგრძეთ.

— დიადი ძვრების დროს ეს საკმაოდ ხშირად ხდება, — თქვა ლენგდონმა, — ნებისმიერი ახალი ძალა არსებული სიმბოლოების გადაკეთებას, მათ კომპრომეტირებას, განადგურებას ან მათი საწყისი მნიშვნელობის დამახინჯებას ცდილობს. წარმართული და ქრისტიანული სიმბოლოების ბრძოლაში პირველები დამარცხდნენ. პოსეიდონის სამკბილა ეშმაკის ორთითად გადაიქცა, ბრძენის წვეტიანი ჩაჩი — კუდიანის თავსაბურავად. ხოლო ვენერას ხუთქიმიანი ვარსკვლავი სატანის ნიშანი გახდა, — ლენგდონი განზრახ შეყოვნდა, — სამწუხაროდ, ხუთკუთხედი აშშ-ის სამხედრო უწყებამაც კი გამოიყენა: ახლა ის ომის მთავარი სიმბოლოა. ამ ვარსკვლავს ჩვენს გამანადგურებლებს ვახატავთ, გენერლების სამხრეებს ვამშვენებთ. ***— და მშვიდობით, სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთო.***

— საინტერესოა, — გააგრძელა ფაშმა და პარკეტზე გართხმულ გვამს შეხედა, — სხეულის მდებარეობა? რამეს გეუბნებათ?

ლენგდონმა მხრები აიჩეჩა:

— მსგავსი მდებარეობა, უბრალოდ, ხუთკუთხედთან და წმიდა ქალურ საწყისთან კავშირს უსვამს ხაზს.

— მომიტევეთ, ვერ გავიგე...

— ამას რეპლიკაცია ჰქვია. სიმბოლოს გამეორება მისი მნიშვნელობის გაძლიერების უმარტივესი საშუალებაა. ჟაკ სონიერს სურდა, მისი სხეული ხუთქიმიან ვარსკვლავს დამსგავსებოდა. — ***ერთი პენტაკლი კარგია, ორი კი — უკეთესი.***

ფაში დიდხანს უყურებდა სონიერის ხელებს, ფეხებს და თავს, მერე კი ისედაც გადასლექილი თმა ხელით გადაივარცხნა.

— საინტერესო ანალიზია, — წარმოთქვა მან, პაუზის შემდეგ კი დაამატა, — შიშველი რომ არის? — ამ სიტყვების წარმოთქმისას ფაში ოდნავ შეიჭმუხნა, თითქოს ხნიერი შიშველი მამაკაცის სხეული მასში ზიზღს იწვევდა, — რატომ გაიხადა ტანსაცმელი?

***რა კარგი შეკითხვაა,*** გაიფიქრა ლენგდონმა. როგორც კი ფოტო დაინახა, თვითონაც ეს გაუკვირდა. ალბათ, ადამიანის შიშველი სხეული სექსუალურობის ქალღმერთ ვენერასთან სიახლოვის ხაზგასმისთვის იყო მოწოდებული. და თუმცა თანამედროვე ხელოვნებამ ვენერასთან ასოციაციები ქალისა და მამაკაცის ფიზიკური სიახლოვიდან უხვად ამოკრიბა, ლინგვისტ-ეტიმოლოგობა სულაც არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ძირი „ვენერა“, მაგალითად, დაავადებების აღმნიშვნელ სიტყვა „ვენერიულშიც“ გვხვდება. მაგრამ ლენგდონმა ამჯობინა, ამ თემას აღარ ჩაღრმავებოდა.

— მისტერ ფაშ, ვერ გეტყვით, რატომ დაიხატა ჟაკ სონიერმა ეს სიმბოლო მუცელზე, ვერც იმას აგიხსნით, რატომ მიიღო ასეთი უცნაური პოზა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისეთ ადამიანს, როგორიც სონიერი იყო, თავისუფლად შეეძლო ხუთქიმიანი ვარსკვლავი ღვთაებრივი ქალური საწყისის სიმბოლოდ მიეჩნია. ამ სიმბოლოსა და ღვთაებრივ ქალურობას შორის კავშირი ისტორიკოსების და სიმბოლოების შემსწავლელი მეცნიერებისათვის კარგად არის ცნობილი.

— შესანიშნავია. და მელნის ნაცვლად საკუთარი სისხლის გამოყენება?

— როგორც ჩანს, უბრალოდ, საწერად სხვა არაფერი გააჩნდა.

ფაში ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე კი შენიშნა:

— პირადად ჩემი აზრით, სისხლი იმიტომ გამოიყენა, რომ პოლიცია ეიძულებინა, გარკვეული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაეტარებინა.

— რა ბრძანეთ?

— მის მარცხენა ხელს შეხედეთ.

ლენგდონმა თეთრი ხელი მხრიდან მტევნამდე დაათვალიერა, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი შენიშნა. მაშინ სხეულს გვერდიდან მოუარა, დაიხარა და გაოცებულმა დაინახა, რომ კურატორს ფეტრისწვერიანი დიდი მარკერი ჰქონდა ჩაბღუჯული.

ფაში დასაკეც მაგიდასთან მივიდა, რომელზეც ინსტრუმენტები, სადენები, ელექტრო რამე-რუმეები ეწყო. როგორც უკვე გითხარით, — თქვა მან და მაგიდაზე საგნების გადარჩევა დაიწყო, — დანაშაულის ადგილზე ხელი არაფრისთვის გვიხლია. კალმისტრის ეს ტიპი თქვენთვის ნაცნობია?

ლენგდონი უფრო დაბლა დაიხარა და მარკერზე წარწერას დააკვირდა — *STYLO DE LUMIERE NOIRE.*

მან გაოცებულმა ახედა ფაშს.

ფეტრის საგანგებო წვერით აღჭურვილ ასეთ მარკერებს, ჩვეულებრივ, მუზეუმის თანამშრომლები, რესტავრატორები და პოლიცია იყენებენ საგნებზე უხილავი აღნიშვნების დასატანად. ეს კალმისტარი ფლუორესცენციური მელნით წერდა და ნაწერის წაკითხვა მხოლოდ სიბნელეში შეიძლებოდა. კერძოდ, მუზეუმის თანამშრომლები ასეთი მარკერებით იმ ტილოებს ნიშნავენ, რომლებსაც რესტავრაცია ესაჭიროება.

ლენგდონი გასწორდა, ფაში კი ლამპასთან მივიდა და გამორთო. გალერეა სრულ წყვდიადში ჩაიძირა.

მყისვე „დაბრმავებული“ ლენგდონი მოუსვენრობამ შეიპყრო. მაგრამ სიბნელეს თვალი თანდათან მიაჩვია და ფაშის სილუეტი გაარჩია. ის მისკენ მოდიოდა, ხელში კი სინათლის რაღაც განსაკუთრებული წყარო ეკავა, რომელიც მოწითალო-იასამნისფერი ნისლით ბურავდა.

— შესაძლოა, იცით, — უთხრა ფაშმა, — რომ პოლიციაში ასეთ განათებას დანაშაულის ადგილზე იყენებენ, როდესაც სისხლის კვალს ან ექსპერტიზისათვის სხვა სამხილებს ეძებენ. ასე რომ, წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება... — და მან ლამპა გვამს მიანათა.

ლენგდონმა შეხედა და მოულოდნელობისგან შეკრთა.

გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. პარკეტზე გვამის გვერდით მანათობელი მეწამული ასოები გამოიკვეთა. კურატორის უკანასკნელი სიტყვები. ლენგდონი ნიშნებს დააკვირდა და იგრძნო, რომ ბურუსი, რომლითაც ეს ამბავი თავიდანვე იყო მოცული, კიდევ უფრო ჩამოწვა.

მან ნაწერი გადაიკითხა და ფაშს შეხედა.

— ეშმაკმა დალახვროს, ეს რას ნიშნავს?

ფაშს თვალები თეთრად უელავდა.

— სწორედ ამ კითხვაზე უნდა გვიპასუხოთ, მესიე.

●

შორიახლოს, კურატორის კაბინეტში, ლუვრში ახლახან დაბრუნებული ლეიტენანტი კოლე მასიურ საწერ მაგიდაში ჩამონტაჟებული მოსასმენი მოწყობილობისკენ დაიხარა. რომ არა შუა საუკუნეების რაინდის ფიგურა, რომელსაც მისთვის ავი და ეჭვიანი მზერა მიეპყრო, კოლე თავს სავსებით კომფორტულად იგრძნობდა. მან საყურისები გაიკეთა და კიდევ ერთხელ შეამოწმა ჩაწერის სისტემაში მაგარ დისკზე შესვლის დონე. ყველაფერი კარგად მუშაობდა. მიკროფონები უზადოდ მოქმედებდნენ.

Le moment de vérité (*ჭეშმარიტების მომენტი. — ფრ.*), გაიფიქრა მან.

კოლემ ღიმილით დახუჭა თვალები და დიდი გალერეის კედლებში შემდგარი უკანასკნელი საუბრით დასატკბობად მოემზადა.

***თარგმნა***

**მარინე კიკნაძემ**

**გაგრძელება იქნება**

# კოდი



### კარი მეორე

# კარიბჭენი

### აზმა მეორე

# ქართველები, რომაელები, ერანელები

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მამული“, 14-17, 22-28*

არავითარ შემთხვევაში იბერიაში მისვლა არ იყო საჭირო, ამ შორეულ და უცხო ქვეყანაში, სადაც მტრებად თვლიან არა მარტო რომაელთა მტრებს, არამედ თვით რომაელებსაც.

*გიორგი კედრენე*

## „ეს კედლები განუმტკიცეს“

68-69 წლებში რომში საშინელი ხოცვა-ჟლეტა ატყდა კეისარ-იმპერატორის ტახტ-გვირგვინისათვის. გამარჯვება წილად ხვდა ფლავიუსების გლეხურ, მდაბიურ საგვარეულოს.

ფლავიუსების დინასტიას სამი იმპერატორი განეკუთვნება: ვესპასიანე (69-79 წ.წ.) და მისი შვილები — ტიტე (79-81 წ.წ.) და დომიციანე (81-96 წ.წ.). ესენი უკვე აღარ ჰგავდნენ წინარე შეშლილ კეისრებს. განსაკუთრებით ვესპასიანე და ტიტე გამოირჩეოდნენ ჭკვიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკითა და კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობით.

ფლავიუსების ხანაში იბერიის სამეფო ტახტზე იჯდა ფარსმანის მეორე ვაჟი (რადამისტის შემდგომ), მირდატ მეორე.

რომაელ კეისრებს ქართველ მეფესთან მაშინ „დიდი მეგობრობა“ ჰქონდათ და ქართველ ხალხსაც „რომაელთა მოყვარე ერს“ უწოდებდნენ. ამაზე მეტყველებს მცხეთა-არმაზში აღმოჩენილი დიდად საინტერესო ძეგლი ბერძნული წარწერით.

75 წლის მახლობლად რომაელ კეისრებს მირდატ ფარსმანის ძისათვის მცხეთაში ქვის კედელი გაუმაგრებიათ და ზედაც ასეთი წარწერა ამოუკვეთიათ:

„იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტუსმა, უმაღლესმა ქურუმმა, შვიდჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ იმპერატორად გამოცხადებულმა, ექვსჯერ კონსულმა, მეშვიდეჯერ დეზიგნირებულმა, მამამ მამულისამ, ცენზორმა.

„და იმპერატორმა ტიტე კეისარმა, ავგუსტუსის ძემ, ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ კონსულმა, მეხუთეჯერ დეზიგნირებულმა, ცენზორმა,

„და დომიციანე კეისარმა, ავგუსტუსის ძემ, სამჯერ კონსულმა, მეოთხეჯერ დეზიგნირებულმა,

„იბერთა მეფეს მირდატს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარე ერს, ეს კედლები განუმტკიცეს“.

ფლავიუსები იძულებული ყოფილან, ანგარიში გაეწიათ მირდატის სიძლიერისთვის და ცდილობდნენ, მასთან „მეგობრობა“ მტრობად არ გადაქცეოდათ.

რომსა და იბერიას შორის განხეთქილების ვაშლად ისევ სომხეთი იყო. მირდატმა ცოტა ადრე, 70 წლის მახლობლად, სომხეთში ძლევამოსილად ილაშქრა და, როგორც ეტყობა, იმპერატორმა ვესპასიანემ დიპლომატიური არხებით მოახერხა იბერიელთა სამხრეთული იერიშების შეკავება. რომის ხელისუფლებას იბერიასთან ასეთი ალერსიანი პოლიტიკა უჯობდა, რადგან მას იმ ხანებში ისედაც დიდი ბრძოლები ჰქონდა ებრაელებთან პალესტინაში, კოლხებთან ტრაპეზუნტში, სარმატებთან დუნაიზე, გერმანელებთან გერმანიაში და ბრიტანელებთან ბრიტანიაში.

იბერიასთან ასეთი „დამეგობრების“ გამოხატულება ყოფილა კიდეც რომის ხელმწიფე-კეისართა თავაზიანი „მიძღვნა“: მცხეთის თავდაცვით ზღუდეთა განმტკიცება.

## ფარსმან ქველი

ფლავიუსების შემდგომ რომში გაბატონდა ანტონინუსების დინასტია, რომელთაგან ყველაზე დიდი კეისრები იყვნენ: ტრაიანე (98-117 წ.წ.), ადრიანე (117-138 წ.წ.), ანტონინუს პიუსი (138-161 წ.წ.) და მარკუს ავრელიუსი (161-180 წ.წ.).

ამ დროს იბერიის ტახტზე უძლიერესი ხელმწიფე იჯდა — ფარმან მეორე, სიკეთისა და სივაჟკაცისთვის ქველად წოდებული, „კაცი კეთილი და უხუად მიმნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში, ვითარცა უხორცო“.

ფარსმან ქველის გამეფებისთანავე რომის, პართიისა და იბერიის გზაკვანძზე კვლავ გამწვავდა სომხეთის საკითხი. 113 წელს მოკვდა სომხეთის მმართველი, რომის კლიენტი (ქვეშევრდომი) ტირიდატი და მაშინვე პართიის მეფემ ხოსრო პირველმა, სომხეთის ტახტზე თავისი კაცი დასვა. ეს ომის საბაბი შეიქნა რომსა და პართიას შორის.

114 წელს ტრაიანემ, რომის უსაჩინოესმა იმპერატორმა, ლეგიონები შემოუსია აზიას, ხოლო წინასწარ იბერიის მეფეს დიდძალი ძღვენი გამოუგზავნა, მეგობრობა შეახსენა და ამით აგრძნობინა: კარგი იქნება, თუ ქართლის მეფე მარადიული მტრის, პართიის წინააღმდეგ ჯარებს დასძრავსო.

იბერიელმა მეფემ მართლაც გაუგზავნა დამხმარე ჯარები იმპერატორს. ისევ იწირებოდნენ ქართველები უცხოეთში უცხოელთა ინტერესებისთვის. მათგან მხოლოდ ერთის სახელმა მოიტანა სული ჩვენამდე. ესაა ამაზასპ, ჯარის მეთაური, ქართლის სამეფო საგვარეულოდან. ქალაქ ნიზიბისთან გამართულ ფიცხელ ბრძოლაში შეკვდომია იგი მოპირდაპირეს. იქვე დაუკრძალავთ. საფლავის ქვაზე ლექსური ეპიტაფია ამოუკვეთიათ:

**მეფის დიდებული**
**შთამომავალი ამაზასპ,**
**ძმა ხელმწიფისა მირდატისა,**
**სამშობლო ჩემი —**
**არაგვის კართასა,**
**იბერია, ძე იბერისა,**
**აქ ვმარხივარ**
**მახლობლად წმინდა ქალაქისა,**
**რომელიც აღაშენა ნიკატორმა.**
**მახლობლად წმინდა ქალაქისა,**
**ზეთისხილის მომრწყველისა,**
**თანამგზავრი ავზონთა**
**ბელადისა,**
**მოსული საომრად პართელთასა.**
**დავეც მანამ,**
**სანამ მტრის სისხლში**
**გავისვრიდი ამ ჩემ მარჯვენას!**
**ვაი, მძლავრ მარჯვენას!**
**მე —**
**შუბოსანი,**
**მშვილდოსანი,**
**მახვილოსანი,**
**მეომარი,**
**მხედარი,**
**გარნა, კრძალვით მსგავსი**
**ქალწულთა!**

ტრაიანემ სომხეთიც დაიპყრო და მთელი მესოპოტამიაც. მან ზედიზედ დაამარცხა პართიელთა არმიები, აიღო მათი სატახტო ქალაქი ქტესიფონი და ტახტიდან გადააგდო თვით მეფე ხოსრო პირველი.

აქედან ტრაიანე, ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად, ინდოეთში სალაშქროდ ემზადებოდა, მაგრამ ზურგში აჯანყებამ მოუსწრო. იგი შემობრუნდა, აჯანყება ჩააქრო, მაგრამ თვითონაც მალე გარდაიცვალა.

მას მოჰყვა ახალი იმპერატორი ადრიანე, რომელმაც მთელი რომის იმპერია, ესპანეთიდან მესოპოტამიამდე და შოტლანდიიდან ეგვიპტემდე, ფეხით შემოიარა. მასთან ფარსმან იბერიელს პირველად განხეთქილება ჰქონდა. ფარსმანი უკმაყოფილო იყო რომაელთაგან სომხეთის სრული დაპყრობით. ამიტომ მან ჩრდილოეთიდან ალანოსები გადმოიყვანა, ქართველთა ლაშქარს შეუერთა და სამხრეთისაკენ დაიძრა.

ჯერ სომხეთში შევიდა და იქიდან რომაელები განდევნა, მერე დიდის წარმატებით ილაშქრა პართიაში.

ამას მოჰყვა ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრობანი ალბანეთსა და კაპადოკიაში. აქაურმა მმართველებმა დიდი ძღვენითა და დიპლომატიური არხებით ძლივს დაიხსნეს თავიანთი სამფლობელონი.

განრისხებულმა ადრიანემ იბერიაში მალემსრბოლნი აფრინა და ფარსმანს რომში გამოცხადება უბრძანა.

ქართველმა მეფემ ცივი უარი შეუთვალა.

რომაელი იძულებული გახდა, რისხვა დაეცხრო და ისევ ნაძალადევი „მეგობრობა-მოკავშირეობის“ გზას შესდგომოდა.

და აი, ადრიანე იმპერატორი იბერიის ამაყ ხელმწიფეს უგზავნის იმდენ ძღვენს, რამდენიც მას არავისთვის არასოდეს უბოძებია. ამ საგანგებო ძღვენს რომაელმა კეისარმა საჩუქრად მოაყოლა ორმოცდაათი ლეგიონერი და ერთი სპილო.

რომაელთა ელჩობას მცხეთაში მოუძღვა ადრიანეს სასახლის კარზე გაშინაურებული კაცი, ცნობილი მწერალი, მეცნიერი, დიპლომატი და პოლიტიკოსი, აზიურ საქმეთა ლეგატიგამგებელი, ფლავიუს არიანე.

ფარსმანმა დიდი პატივით მიიღო სტუმრები.

მაგრამ რამდენიმე დღის დიპლომატიური „განბრჭობანი“ ქართველთა მეფემ მაინც ასეთი ირონიული წიაღსვლით განასრულა:

ჯერ, საზეიმო ვითარებაში რომაელ ელჩთა მეთაურს იმპერატორ ადრიანესათვის ოქრომკედით ნაქარგი რამდენიმე ქლამიდა (წამოსასხამი) გადასცა, ხოლო ამის მომდევნოდ, მოედანზე სამასი დაბორკილი დამნაშავე გამოატარა სწორედ ისეთსავე ოქრონემსულ ქლამიდებში გამოწყობილნი.

გულზვიად რომაელ იმპერატორს ქართველი მეფის ჯავრი სამარეში ჩაჰყვა.

გამოხდა ხანი. ადრიანეს ნაცვლად რომის კეისრულ ტახტზე იჯდა ანტონინუს პიუსი, რომელსაც თავის ჭკვიან და დაკვირვებულ პოლიტიკაში იბერიასთან კავშირ-მეგობრობა განსაკუთრებული მოვლა-მოფერებით ჰქონდა მოხაზული.

სწორედ მაშინ მოხდა დიდმნიშვნელოვანი სტუმარმასპინძლობა რომში, „მსოფლიოს ცენტრში“. რომაელი კეისარი დიდად გულუხვი მასპინძლობით ეგებებოდა აღმოსავლეთიდან ჩამოსულ უაღრესად საპატიო სტუმრებს:

ქართლის მეფე ფარსმან ქველს.

მის მეუღლე-დედოფალ ღადანას.

ვაჟიშვილ-ტახტისმემკვიდრე ადამს.

ქართველ სეფეწულთა და არისტოკრატთა ბრწყინვალე ამალას.

ნადიმ-ღრეობა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. მერე საასპარეზო სანახაობაზე გავიდნენ რომის დიდ ცირკში, კოლიზეუმში, გლადიატორთა ხოცვაჟლეტითა და სისხლით გალეშილმა მსოფლიოს მბრძანებელმა რომაელმა ხალხმა იმ დღეს იხილა უცხო და უმშვენიერესი სანახაობა: მხედრული ჯირითი, საომარი როკვა-ვარჯიში და ვაჟკაცური შემმართებლობა ქართველი ხელმწიფისა და მისი მხლებლებისა.

შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ქართველები შეიქნენ იმ დღეთა გმირნი მსოფლიოს მპყრობელ „მარადიულ ქალაქში“. ფარსმანს ნება მიეცა უცხოელთათვის იშვიათი პატივისა: კაპიტოლიუმში ზორვა გაემართა იუპიტერის სადიდებლად.

იმ წლის „საგანგებო ამბავთა“ ნუსხის თავში რომაელებმა სწორედ იბერიის ხელმწიფისა და მისი სახლეულის სტუმრობა ჩაწერეს.

ბოლოს, მარსის ველზე კეისარ ანტონინუს პიუსის საგანგებო ბრძანებით, აღმართეს დიდებული ქანდაკება ცხენზე ამხედრებული, მოჯირითე ქართველი ხელმწიფისა.

რაც მთავარია, კეისარმა დასტური დასცა ფარსმან ქველის სახელმწიფო სამანთა სისრულეს: ტრაპეზუნდ-ლაზეთის ხაზიდან მტკვრის ქვემო წელამდე და კავკასიონიდან არაქსამდე.

ქართლი წინა აზიაში სიმძლავრით პირველი სახელმწიფო იყო.

პართია კი ვერ ურიგდებოდა პირველობის წართმევას. მეფე ვოლოგეზ III ფარსმანის წინააღმდეგ საჩივარს საჩივარზე აგზავნიდა რომში. მაგრამ იმპერატორი ანტონინუს პიუსი არ ჰღალატობდა ქართველთა მეგობრობას.

მაშინ ვოლოგეზმა ციხის შიგნიდან გატეხვა მოინდომა. მან იცოდა, რომ ქართველთა მეფეს ქვეყნის შიგნით, „წვრილ ერზე“ ზრუნვისათვის, ბევრი წარჩინებული აზნაური მტრად ჰყავდა გადაკიდებული.

ფარსმანს ბიძაშვილი ჰყავდა, სახელად მირდატი, „კაცი ურვილი და მოსისხლე“. მირდატი ქართლის მეფობაზე ოცნებობდა და მეფე-ბიძაშვილს სასიკვდილო მახესაც უგებდა. თან პართელთა დიდი იმედი ჰქონდა, ვოლოგეზს დაუმოყვრდა, — მისი ახლო ნათესავი შეირთო ცოლად. პართიის მეფეც ყოველნაირად აქეზებდა ტახტის მაძიებელ სიძეს.

მირდატმა ერთხელ ფარსმანს ნადიმი გაუმართა. მაგრამ მეფეს წინასწარ აცნობეს, ნადიმზე სიკვდილი გელოდებაო და ისიც არ მივიდა ნადიმად. მირდატს მცხეთაში აღარ დაედგომებოდა და პართიაში გაიქცა.

მალე იგი დიდძალი პართიული არმიებით მოადგა ქართლს.

გაეგება ფარსმან მეფე ქართველთა და სომხეთიდან გამოხმობილი ჯარებით.

ბრძოლის დაწყებამდე „ბუმბერაზთა“ ორთაბრძოლები გაიმართა.

ტოლი არავინ გამოუჩნდა თვითონ ხელმწიფეს. საკუთარი ხელით განგმირა რამდენიმე პართიელი „ბუმბერაზი“, მათ შორის „გოლიათი, სახელით ჯუმბერ, რომელი ლომსა ხელით შეიპყრობდა... აჯობა ფარსმან, ჩამოაგდო და მოკლა, და მოიქცა სპისა თვისისა კერძო, და ხმაყო ხმითა მაღლითა და რქუა მათ: „აჰა, ლომნო მძვინვარენო, ცხოვარნი დასეტყვილნი!

ქართველები და სომხები მტერს მიესივნენ, „აოტნეს და მოსწყვიდნეს და ტყუე ყვნეს ურიცხვნი“. მირდატმა ძლივს გაასწრო პართიას.

მირდატი მაინც არ ცხრებოდა. ხელმეორედ მოვიდა იგი ურიცხვი ჯარით პართიიდან. ფარსმანს „არა ჰყვნეს სპანი მირდატის სპათა ოდენნი“. მაგრამ მაინც გავიდა ფარსმან გულფიცხელად; დილით, რიჟრაჟზე შეება მტერს. კვლავ დამარცხდნენ პართიელები. ფარსმანმა კვლავ „აოტა ბანაკი მათი და მოსწყვიდნა ურიცხუნი“. ძლეულმა მირდატმა ისევ გაქუსლა პართიისაკენ.

ფარსმანმა გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ აღეკვეთა პართელთათვის ქართლზე ლაშქრობის სურვილი. ამიტომ მან ერთხელ კიდევ ძლევამოსილად ილაშქრა თვითონ პართიაში. შესაძლოა, ქტესიფონიც აიღეს ქართველებმა. ისინი დიდი ნადავლითა და სახელით დაბრუნდნენ უკან.

ყველასათვის საცნაურ იქნა — იარაღის ძალით არვის ძალუძდა ძლევა ფარსმანისა. ხოლო მტერი არ ისვენებდა, არც შინაური, არც გარეული.

ისევ დაუგეს სასიკვდილო ხვანჯები მეფეს.

პართიელები და მცხეთელი დიდკაცები მოქმედებდნენ ერთად, შეფარვით, იდუმალი მზაკვრობით.

მკვლელობა მოხდა უბრალოდ.

მზარეული მოისყიდეს და შეუჩინეს.

იმ მზარეულმა საწამლავი შეაყოლა საჭმელს.

და მოკვდა ფარსმან ქველი.

„მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახათმდე. და იტყებდეს ყოველნი თავთა თვისთა ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა, რამეთუ დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმხნესა და სიქუელესა, და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა“.

მოვიდა მირდატ პართიელთა ლაშქრით და დაჯდა მცხეთას.

არმაზ-ციხეში პართიელი პიტიახში ჩადგა ჯარით.

მაგრამ ქართველებმა არ გაიმეფეს მოძალადე.

დასავლეთ საქართველოდან ეგრთა (მეგრელთა) ძლიერი ჯარი გადმოვიდა.

სომხეთიდანაც ჩამოიყვანეს დამხმარე ძალა.

ლიახვზე მომხდარ დიდ ბრძოლაში პართიელები განადგურდნენ. მირდატი და პართიელი პიტიახში ბრძოლაში დაეცნენ.

ქართლის ტახტზე ავიდა ქსეფარნუგ.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***




ტურისტული აგენტი
მაია ნინოშვილი
დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
ფაქსი: 718-621-6846
ელ.ფოსტა: mnc7@earthlink.net
1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214
გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას




## ქეთევან ხამიცაშვილის საავტორო ჩანართი

# გუგული მგელაძე: ფილმის გადაღება რეჟისორის გარეშეც შეიძლება!

***კინორეჟისორი გუგული მგელაძე სიამოვნებით იხსენებს ფილმს — „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“ ახალგაზრდა სერგო ორჯონიკიძის მონაწილეობით.***



***„სიამოვნებით ვუცქერ ჩემს ფილმებს. მეუბნებიან — მაინც ხომ ვერაფერს შეცვლი, რას უყურებო. დიახ, ვერ შევცვლი, მაგრამ, აბა, მიჩვენეთ ის კაცი, რომელსაც თავისი ნაშრომის ცქერა არ სიამოვნებს?!“***

— „ბოდიში, თქვენ გელით“ სიკვდილი 1965 წელს გადავიღე. სანამ მე მოვკიდებდი ხელს ამ ფილმის სცენარს, მანამდე ის უნდა გადაეღო თამაზ მელიავას (სცენარის ავტორები იყვნენ არლი თაყაიშვილი და ზურაბ ჯაფარიძე). რატომღაც თამაზმა უარი თქვა, ამიტომ მე შემომთავაზეს. სიამოვნებით დავთანხმდი. ტრაგიკომედიის გადაღება ჩემი ოცნება იყო. აქამდე მხოლოდ „ბურთი და მოედანი“ მქონდა გადაღებული.

**— კომედიას უპირატესობას ანიჭებთ?**

— მაშინ რთული იყო ტრაგიკომედიის გადაღება. ამ ფილმის სცენარის დამტკიცებაც დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. სცენარიდან ბევრი ეპიზოდი ამოიღეს. დიდი დახმარება გაგვიწია ლევ კულიჯანოვმა, რომელიც იმხანად სსრკ-ის კინოკავშირის თავმჯდომარე გახლდათ. ლევა თბილისელი კაცი იყო, ერთ უბანში ვიზრდებოდით, მოსკოვშიც ერთ ინსტიტუტში ვსწავლობდით. მოვაგონე ჩვენი წარსული, სტუდენტობის წლები — მახსოვს, ძალიან ზარმაცი იყო, ცნობილმა რეჟისორმა გერასიმოვმა უთხრა — ხვალ თუ არ მოიტან მასალის ეპიზოდებს, ინსტიტუტიდან გაგაგდებო („ჰაჯი მურატს“ იღებდა. ამ ფილმის ეპიზოდებში მეც მათამაშა და რეზო ჩხეიძეც).

**— ვის როლს ასრულებდით?**

— ჰაჯი მურატის შვილს ვთამაშობდი. მახსოვს, რეპეტიციაზე ერთი ეპიზოდი მქონდა შესასრულებელი — მუხლებზე უნდა დავცემულიყავი. იმდენჯერ გამამეორებინეს ეს სცენა, რომ შარვალი მუხლებზე სულ გაიცრიცა. თეთრი ძაფით მოვკერე, შემდეგ ეს ძაფი ლურჯი მელნით შევღებე. მეორე დღეს ამ შარვლით გამოცდაზე გამოვცხადდი. ლევამ მაშინ მითხრა — „Гугули, когда я стану режиссером, куплю тебе новые брюки“. მერე, როცა უკვე ცნობილი რეჟისორი გახდა და თბილისში ჩამოვიდა, შარვალი არ უყიდია, მაგრამ მეგობრებთან ერთად კარგად გვაქეიფა *(იცინის)*... აი, ამ ლევასთან მოხვდა ჩვენი სცენარი — „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“. ჩვენი შეხვედრის შემდეგ მითხრა — „Дорогой Гугули, возьми тот сценарий, работай“. — ჩამოვედი, დავიწყეთ მუშაობა.

**— მოიწვიეთ შესანიშნავი მსახიობების ანსამბლი...**

— სინჯები გადავიღეთ. იმათთან ერთად, ვინც ფილმში მონაწილეობს, კაკო კვანტალიანიც მოვიწვიეთ, მაგრამ ბოლოს იპოლიტე ხვიჩია დავამტკიცეთ. სხვათაშორის, კაკო ისეთი დიდსულოვანი ადამიანი იყო, არ ეწყინა, ბოლოს, როდესაც დასრულებული ფილმი ნახა, თითქმის ნახევარი საათი ტელეფონით მელაპარაკა, ისე მოეწონა.

**— სესილია თაყაიშვილი ადვილად დაითანხმეთ?**

— უჰ, სესილია საოცარი ქალი იყო. ცოტა არ იყოს, მკაცრი კი ჩანდა, მაგრამ თუ დაგიახლოვდებოდა, თუ უფლებას მოგცემდა გაშინაურებოდი, მასზე რბილი და თბილი აღარავინ გეგონებოდა. მის რჩეულებს შორის მეც მოვხვდი. სესილიას როლზე სხვა მსახიობისთვის სინჯი არ გადაგვიღია, პირდაპირ დავამტკიცეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, საერთო ეპიზოდების იმდენი სინჯი გადავიღეთ, უკვე ფილმი გეგონებოდათ... დოდო აბაშიძეს იქაც ვერ ვუღალატე, პატარა ეპიზოდში დოდომაც ითამაშა.



იპოლიტე ხვიჩია

**— ახალგაზრდები?**

— მსახიობთა კარგი ანსამბლი შეიქმნა. ძალიან მომწონდა სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა. მართალია სახელი და გვარი ცოტა არ იყოს არასასიამოვნო მოვლენებს გვაგონებს, მაგრამ ის რა შუაშია, ჩვენი სერგო წესიერი ადამიანია, ნიჭიერი. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ უკვე ნათამაშევი იყო, მაღალ შეფასებას ვაძლევდი. აქაც მშვენივრად ითამაშა. მთავარი როლის შემსრულებელი გოგონაც საკმაოდ ახალგაზრდა იყო, 15 წლის. ლომთან სცენა გახსოვთ? ამ ლომის დასაშოშმინებლად მწვრთნელებიც იყვნენ, იარაღიანი დაცვაც — კამერის უკან მეც კი მეშინოდა, რაღაც არ მოხდეს, ლომი არ გაავდეს-მეთქი. ამ პატარა გოგომ კი თამამად მითხრა — არ მეშინია, მე ხომ ჯერ კიდევ პატარა ვარ, შიშს ვერ ვიაზრებო *(იცინის)*.

**— გადაღებები სად მიმდინარეობდა?**

— თბილისში, ქალაქგარეთ არ გავსულვართ. სხვათაშორის,



დალი რატიანი და სერგო ორჯონიკიძე ფილმში „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“

ეროსი მანჯგალაძე სწორედ ამ ფილმის გადაღების დროს გავიცანი. გაგახსენებთ ერთ ეპიზოდს — ეროსის გმირს მაგნიტი ზემოთ იტაცებს. ეროსი მაგნიტს მივაბით — მაღლა ასწიეს, ქვემოთ ლეიბები გავშალეთ. ჩამოვარდნის რამდენიმე კადრი გადავიღეთ. შუა მუშაობაში დაცვის უფროსი მოვიდა, რას აკეთებთ, ელექტრობა რომ გამოირთოს, მაგნიტი ადგილს მოსწყდება და ქვემოთ ადამიანს დაეცემა — დაცემა და სიკვდილი ერთი იქნებაო! არიქა, დავამთავროთ გადაღება! — დავიძახე. ეროსიმ დაიჩემა — კიდევ ერთი კადრი გადავიღოთო. აღარ გავაგრძელე. ეროსის რაიმე რომ მოსვლოდა, მეც ხომ თავი მოსაკლავი მექნებოდა... აი, ასეთ ადამიანებთან ერთად მიწევდა მუშაობა, — ეროსისთან, სესილიასთან, საოცარი პიროვნებები იყვნენ, გული მტკივა, რომ ისინი აღარ არიან ამ ქვეყანაზე.

**— ფილმის სათაური ცოტა არ იყოს, დამაფიქრებელია.**

— სხვათაშორის, სსრკ-ის კინემატოგრაფიის მინისტრმა რომანოვმა დამიბარა — კარგი ფილმი გადაგიღიათ, მაგრამ სათაური უნდა შეცვალოთ, სათაურში ეს „სიკვდილი“ არვარგაო! ეშინოდათ ყველაფრის. ცნობილმა რეჟისორმა რომმა თქვა — ამიხსენით, რატომ უნდა იყოს გარდაცვლილი საბჭოთა ადამიანის კანი ვარდისფერი? — აი, ასეთი გაგება ჰქონდათ — ყველაფერი წითელი და ვარდისფერი უნდა ყოფილიყო... რომანოვმა შემომთავაზა — ან „სიკვდილი“ მოვაშოროთ, ან „ბოდიში“. არ დავეთანხმე, სასწაული მოხდა — აღარც თვითონ შეცვალეს.

**— ფილმმა რა პრიზები მიიღო?**

— ჩემი ბრალია, რომ ამ ფილმმა პრიზები არ მიიღო. არ ვიყავი აქტიური. მახსოვს, ჩვენ მინისტრს — აკაკი დვალიშვილს დავურეკე — სულ სხვის ფილმებს რომ აგზავნით ფესტივალებზე, ჩემმა ფილმმა არაფერი დაიმსახურა-მეთქი? პირდაპირ მითხრა — შენ რომ გძინავს, სხვები აქ არიან კონიაკებით *(იცინის)*. „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ სახელმწიფო პრემიაზე უნდა წარედგინათ, იმდენად ვიზარმაცე, დავაგვიანე.

**— რამდენად იოლია რეჟისორისთვის ფილმის გადაღება, როცა ნიჭიერი მსახიობები ჰყავს მოწვეული?**

— დიახ, თუ ნიჭიერი ჯგუფია, ფილმის გადაღება, რა თქმა უნდა, იოლია. იცით, გია დანელია როგორ გახდა რეჟისორი? — თავიდან არქიტექტურულზე სწავლობდა, შემდეგ სწავლას თავი დაანება. შემთხვევით სადღაც გაზეთის ნაგლეჯზე ამოიკითხა — მსურველებს იწვევდნენ „მოსფილმის“ სარეჟისორო კურსებზე. დედისთვის უთქვამს „მოსფილმის“ კურსებზე ხომ არ შევსულიყავიო. ქალბატონ მერის მეუღლისთვის უკითხავს (მაღალი თანამდებობის პირი იყო) — იქნებ გიამ სარეჟისოროზე სცადოს ბედიო?! მეუღლეს უპასუხია — მეტი რა გზა აქვსო... აი, ასე მოხვდა გია დანელია „მოსფილმის“ კურსებზე და არაჩვეულებრივი რეჟისორი გახდა. დიახ, როდესაც ფილმს აქვს კარგი სცენარი, სასიამოვნო მუსიკა, ნიჭიერი მსახიობები და ოპერატორი გყავს მოწვეული, მაშინ ფილმსაც ადვილად გადაიღებ. რა თქმა უნდა, შეიძლება შედევრი ვერ შექმნა და ფელინის ვერ შეედარო, მაგრამ საშუალო დონის ფილმი ხომ გამოგივა?! როგორ გგონიათ, საშუალო დონის ფილმებს მაყურებელი არ ჰყავს?! მაგრამ, რა თქმა უნდა, თუ პროფესიად რეჟისურას აირჩევ, ყველანაირად უნდა ეცადო, ღირებული ფილმები გადაიღო, რომლებსაც ათეული წლების შემდეგაც ეყოლება მაყურებელი. სიამოვნებით ვუყურებ დღეს ჩემს ფილმებს. მეუბნებიან ხოლმე, რატომ უყურებ, თუ რაღაც არ მოგწონს, მაინც ხომ ვერაფერს შეცვლი! დიახ, ვერ შევცვლი, მაგრამ აბა, მიჩვენეთ ის კაცი, რომელსაც თავისი ნაშრომის ცქერა არ სიამოვნებს?! მით უმეტეს, ფილმს ხომ ერთი ადამიანი არ ქმნის?! „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“ კარგი ფილმი გამოვიდა და ეს არა მარტო ჩემი დამსახურებაა! მთელმა გადამღებმა ჯგუფმა დიდი მონდომებით ვიმუშავეთ.

*ესაუბრა*
**ქეთევან ხამიცაშვილი**



ეროსი მანჯგალაძე



კადრი ფილმიდან



სესილია თაყაიშვილი



კადრი ფილმიდან

*კინომოყვარულებს კარგად ახსოვთ იაკობ გოგებაშვილის უკვდავი მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმი „იავნანა“, სადაც კიდევ ერთხელ გაცოცხლდა ქართული ოჯახის ტრადიციები, ევროპული კულტურა; ყურადღებას იპყრობს არაჩვეულებრივი მუსიკა, ეკრანიდან იღვრება სითბო, სიკეთე და სიყვარული. ზურაბ ქართველაძის ოჯახი — მეუღლე მაგდანი და პატარა ქეთო ხომ ყველა ჩვენგანის საყვარელი გმირები არიან, მათ შემხედვარეს, გვახსენდება ჩვენი ბავშვობა, უზრუნველი და საოცარი, როგორც ზღაპარი...*

## ნანა ჯანელიძე:

# იაკობ გოგებაშვილის უკვდავ მოთხრობაში ისეთი სიუჟეტებია,

## რომლებიც კინოსცენა-რისთვის რომ დაამ-ზადებდა



**ნანა ჯანელიძე, *ფილმის რეჟისორი, რეჟისორ თენგიზ აბულაძის რძალი:*** — დავიწყებ თავიდან, იმ პერიოდის აღწერით, ვიდრე „იავნანას“ გადაღებას გადავწყვეტდით. დავამთავრეთ „მონანიებაზე“ მუშაობა. ფილმი რაღაც გარკვეული პერიოდი დაპატიმრებული იყო. 1987 წელს გადავიღე მხატვრული ფილმი „ოჯახი“. მასზე მუშაობის პარალელურად, მე და ბატონ თენგიზს დაგვიგროვდა იდეები, მოსაზრებები ახალ ფილმებთან დაკავშირებით და გადავწყვიტეთ, ერთად გვემუშავა. ბევრი შემოთავაზება ჰქონდა. მაგალითად, ცნობილმა გერმანელმა მწერალმა გიუნტერ გრასმა (ნობელის პრემიის ლაურეატია) ბატონ თენგიზს თავისი რომანის — „დედალი ვირთხას“ ეკრანიზაცია შესთავაზა. გამოგზავნა წიგნი, ვთარგმნეთ, დაიწერა სცენარი, გვქონდა შეხვედრები მწერალთან, ვემზადებოდით გადაღებისთვის. გარდა ამისა, შემოთავაზება იყო ერიხ მარია მაკდაუელისაგან ფილმის გადაღების თაობაზე. პარალელურად, ვიღებდით ფილმს ილია ჭავჭავაძის შესახებ (მაშინ ბატონი თენგიზი პარლამენტის წევრი იყო და საქართველოში განვითარებულ მოვლენებს მტკივნეულად აღიქვამდა), ბატონ თენგიზს ასევე გადაწყვეტილი ჰქონდა, გადაეღო „მონანიება-2“, რომელშიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან დაწყებული გალაკტიონ ტაბიძის თვითმკვლელობამდე პერიოდი უნდა ასახულიყო.. სამწუხაროდ, საქმე წინ ვერ წავიდა — ქვეყანაში მდგომარეობა აირია, ბატონი თენგიზიც ავად გახდა... მაგრამ იმ პერიოდში ერთი სასიხარულო რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში — შემეძინა მეორე შვილი, გოგონა — ნინო აბულაძე. მთელი არსებით გადავერთე პატარას მოვლა-მზრუნველობაზე. ერთხელ ჩემმა მეგობარმა ნინო ნატროშვილმა (კინოსტუდიაში მუშაობდა) მითხრა, — იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ არავის გადაუღია, არადა, რა საინტერესო სიუჟეტია, უცხოეთში ამას უყურადღებოდ ხომ არავინ დატოვებდა, შენ უნდა გადაიღო — ხარ რეჟისორი ქალი, ორი პატარა შვილი გყავსო...

**— „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ბავშვობაში თქვენი საყვარელი მოთხრობა იყო?**

— არა, ამ ნაწარმოების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება არ მქონია, მაგრამ ამის შემდეგ გადავწყვიტე, თავიდან გადამეკითხა. ნინოს შევთავაზე, თუ ერთად ვიმუშავებთ, დავიწყოთ გადაღება-მეთქი. მოვიძიეთ ლიტერატურა — გოგებაშვილის შემოქმედება, დიუმას „მოგზაურობა საქართველოში“ და ა. შ. დაიწერა სამი თუ ოთხი სცენარი. წავაკითხე ბატონ თენგიზს და დავიწყეთ მუშაობა... გადაღება დავიწყეთ საბჭოთა კავშირში, დავასრულეთ — დამოუკიდებელ საქართველოში. 1994 წელს. ფილმი სვენებ-სვენებით გადავიღეთ, დაფინანსება ხან იყო, ხან — არა. როდესაც ფილმის გადაღების იდეა გაჩნდა, ჩემი პატარა შვილი 9 თვის იყო, გადაღება კი მაშინ დავიწყეთ, როცა 4 წელი შეუსრულდა.

**— პატარა ქეთოს როლი თქვენმა ქალიშვილმა შეასრულა?**

— დიახ. მაგრამ ფილმში მისი გადაღება, საერთოდ, არ გვქონდა დაგეგმილი. ოთხასამდე ბავშვი გავსინჯეთ ამ როლზე. ბევრმა მშობელმა არ მოისურვა თავისი შვილის ფილმში გადაღება — სცენარში იყო ავადმყოფობა, მოტაცება, ამიტომ თავი შეიკავეს. არჩევანი ნინოზე შევაჩერეთ. გადაღების დროს ჩემი შვილი გვერდიდან არ მომცილებია. ხანდახან შუაღამისას ვიღებდით. სხვის ბავშვს, ალბათ, ასე არ გავიმეტებდი. გარდა ამისა, ამ ფილმისთვის თავიდან სხვა მსახიობები შევარჩიეთ, ბოლოს კი სულ სხვები გადავიღეთ. ასეთი ცვლილებები შეეხო გადამღებ ჯგუფსაც — მხატვრებს, ოპერატორებს... რთული დრო იყო, ფილმს ომის დროს ვიღებდი, გადაღებებზე წასვლაც კი საშიში იყო, შეიძლება მანქანებიც კი გაეტაცათ.



ნინო აბულაძე 4 წლის



კადრი ფილმიდან „იავნანა“

**— ძირითადი გადაღებები სად მიმდინარეობდა?**

— საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში და მის შემოგარენში. მუზეუმი ჩვენი მეორე სახლი გახდა, დირექცია არაჩვეულებრივად გვეპყრობოდა. მართალია, ფილმში ილია არ ჩანს, მაგრამ თითქოს ილიას სული გვიფარავდა და გვეხმარებოდა... ცალკე საუბრის თემაა ბატონ ჯანსუღ კახიძისა და მისი ვაჟის — ვატოს დამსახურება. არაჩვეულებრივი მუსიკა დაწერეს, ვატომ პირველად ამ ფილმისთვის დაწერა „შობის გალობა“. ბევრი მთავაზობდა ფილმისთვის „იავნანას“ ხალხური ვარიანტი ამეღჩია, მაგრამ მსურდა, კომპოზიტორს სიმღერა სპეციალურად შეექმნა.

**— ფილმში თავისებური ხედვაა, მაყურებელი თითქოს ძველ ალბომს ფურცლავს...**

— მინდოდა, მეჩვენებინა ევროპული ყაიდის ქართული ოჯახი, მაღალი საზოგადოება ხომ ევროპულად ცხოვრობდა. ეს ასახული უნდა ყოფილიყო ჩაცმულობაში, მიხვრა-მოხვრაში, მანერებში, სახლის მოწყობაში, ბავშვთან ურთიერთობაში, ამასთანავე, ქართულ-ევროპული მუსიკაც უნდა აჟღერებულიყო.

**— ნატა მურვანიძემ დედის — მაგდანის როლი შეასრულა, 22 წლის ახალგაზრდისთვის რთული ხომ არ აღმოჩნდა ამ დრამატული როლის განსახიერება?**

— დედის როლის შემსრულებელს დიდხანს ვეძებდით. მიუხედავად იმისა, რომ ნატას ბავშვობიდან ვიცნობდი, — ჩემი მეგობრების შვილია, — თავიდან არც მიფიქრია, ეს როლი მისთვის შემეთავაზებინა. ერთ მშვენიერ დღეს თეატრალურ ინსტიტუტში ერთ-ერთ სადიპლომო სპექტაკლში ვნახე. მაშინვე გადავწყვიტე, ამ გოგონას მოვიწვევ-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ეს არაჩვეულებრივი არსება ნატა მურვანიძე იყო, რომელიც კარგა ხნის უნახავი მყავდა. მამის — ზურაბის როლში ლევან აბაშიძე უნდა გადაგვეღო, მაგრამ ლევანი აფხაზეთის ომში წავიდა და დაიღუპა... ნიკა თავაძემ ეს როლი არაჩვეულებრივად განასახიერა. სამწუხაროდ, ამ ფილმის გადაღების შემდეგ ქართული კინოინდუსტრია გაჩერდა, შეწყდა გადაღებები. თორემ ის მსახიობები, რომლებიც „იავნანაში“ მონაწილეობენ, თავიანთი ნიჭიერებითა და მშვენიერი გარეგნობით მსოფლიო დონის ვარსკვლავები იქნებოდნენ.

**— ფილმისთვის კოსტიუმები ვინ შეარჩია?**

— გადაღებამდე ხშირად დავდიოდით კოსტიუმების მხატვართან — მადლენ ყუშიტაშვილთან. მან შემოსა მსახიობები. მახსოვს, როდესაც ნატას ფილმისთვის საჭირო კაბა ჩააცვა, საოცარი განცდა დაეუფლა, თითქოს XIX საუკუნეში აღმოვჩნდიო, — თქვა.



ნატა მურვანიძე და მაია ბაგრატიონი



ნინო აბულაძე და ნატა მურვანიძე

**— ცალკე აღსანიშნავია პეიზაჟები...**

— ასე მქონდა ჩაფიქრებული — უნდა მეჩვენებინა წელიწადის ყველა დრო — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნების დახასიათებას. მაგალითად, ქეთის მობრუნება ხდება გვიან შემოდგომაზე — შესაბამისად, ყვლაფერი წითელი უნდა ყოფილიყო... ფერს, ესთეტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— მაია ბაგრატიონი როგორ შეარჩიეთ როლისათვის?**

— გავიხსენე თბილისელი ლამაზი ქალები, რატომღაც ყურადღება გავამახვილე ლეილა ყიფიანზე. დავურეკე. მისი ქალიშვილი მაია ზუსტად ისეთი გარეგნობის აღმოჩნდა, როგორსაც ვეძებდით. ფილმში მშვენიერი ქალბატონების გალერეაა, ნაჩვენებია დედაშვილობა, მშვენიერება... ბავშვი როცა იბადება, მას მხოლოდ მშვენიერება უნდა შესთავაზო, ამქვეყნიური სამოთხე. ცხოვრება მშვენიერია — მამას დედა უყვარს, დედას მამა, ჩიტი ჭიკჭიკებს და ა. შ. ამ ფილმით შევეცადეთ, თითოეული ჩვენგანისთვის გაგვეხსენებინა საკუთარი ბავშვობა.



ნინო აბულაძე 18 წლის

**— შთამბეჭდავია ეპიზოდი, როცა უკვე სასოწარკვეთილი მაგდანი აივანზე იავნანას მღერის, სულისშემძვრელია ის გატეხილი ხმა...**

— დიახ, ამ ეპიზოდის გადაღებისას იქით ნატა და მაია ტიროდნენ, აქეთ — ჩვენ, გადამღები ჯგუფი. ძნელი იყო გახმოვანებაც — ჩვენი ტექნიკური აღჭურვილობით ვერ ვახერხებდით ტუჩის მოძრაობის დამთხვევას ტექსტთან. თანაც იმ დროისთვის თამრიკო ჭოხონელიძეც გაციებული იყო, ხმა არ ჰქონდა, ვნახოთ, რა გამოვაო თქვა, მაინც ჩავწერეთ. როგორც აღმოჩნდა, იმ დრამატულ ეპიზოდს სწორედ ის გატეხილი ხმა მოუხდა, როგორიც ფილმში ჟღერს, ხაზი გაუსვა გმირის სულიერ მდგომარეობას. ამ ეპიზოდის გახმოვანებისას დიდი დახმარება გაგვიწია არაჩვეულებრივმა პიროვნებამ, ოპერატორმა გარი კუნცევმა. ფილმის პრემიერა 1994 წლის 6 იანვარს გაიმართა, ეს ის პერიოდი იყო, როცა ჩვენში ჯერ კიდევ არ აღნიშნავდნენ შობის დღესასწაულს. ამ ფილმმა თითქოს გამოაფხიზლა საზოგადოება, იწერება უკვე „შობის გალობა“. მირეკავდნენ უცხო ადამიანები, დედები, რომლებიც მეუბნებოდნენ, — ჩემი შვილი მთხოვს, ისე მესაუბრე, როგორც „იავნანაში“ მაგდანი ქეთოს ესაუბრებაო...

**— საგურამოს გარდა გადაღებები სხვაგან არ მიმდინარეობდა?**

— დაღესტანში უნდა გადაღებულიყო ნაიბის ოჯახის კარ-მიდამო, მაგრამ ჩეჩნეთში ომი დაიწყო და იქ ჩასვლა ვეღარ მოვახერხეთ. რა თქმა უნდა, წინასწარ შერჩეული გვქონდა ადგილები. ნაიბის ცოლის როლი მანანა აბაზაძეს უნდა შეესრულებინა.

**— ცალკე აღსანიშნავია კახი კავსაძის გმირი, თბილი ბაბუა...**

— დიახ, ბატონმა კახიმ შესანიშნავად ითამაშა. ის არის მამა, ბაბუა, მისი დამოკიდებულება ფილმის გმირის — ქეთოსადმი ორგანული იყო. საერთოდ, ბებია-ბაბუის ინსტიტუტი საქართველოში ცალკე საუბრის თემაა. ისინი იყვნენ წარსულის ცოცხალი მემატიანენი. ტკივილიან წარსულზე შვილებთან არ საუბრობდნენ, მაგრამ შვილიშვილებთან გულახდილნი იყვნენ. ოჯახი, სადაც უფროსებს პატივს სცემენ, მოხუცი უყვართ, უფრო სრულყოფილია. ასეთ ოჯახში აღზრდილი ბავშვი პიროვნებად ყალიბდება.

**— ოჯახის კეთილდღეობა ქალზეა დამოკიდებული?**

— მაქსიმ გორკის უთქვამს — „Дайте нам лучших матерей, и мы станем лучшими мужьями“. ქალზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული, მის გვერდით რომ ღირსეული პიროვნებაა, ესეც მისი დამსახურებაა. ქართველი ქალები მძიმე წლებში ჭაპანს შეებნენ, თავისი ზურგითა და დიდი ოპტიმიზმით, შრომისმოყვარეობით გადაარჩინეს ოჯახები. წლების წინაც ასე მოხდა — რეპრესიების შემდეგ გულაგგამოვლილი ქალები დეპრესიაში კი არ ჩავარდნენ, პირიქით, ცხოვრების ინტერესი მიეცათ, შვილებზე ზრუნვამ გადაარჩინათ. მამაკაცები დათრგუნვილები იყვნენ, დარდს ვერ გაუძლეს... სუსტი სქესი იმაზე უფრო ძლიერია, ვიდრე გვგონია....

*1958 წელს გადასახლებიდან დაბრუნებულმა ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „ოთარაანთ ქვრივის“ ეკრანიზაცია განახორციელა. მთავარი როლები შეასრულეს ლეგენდარულმა ვერიკო ანჯაფარიძემ და ახალგაზრდა რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ. ფილმის გადაღებიდან თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. მონაწილე მსახიობთა უმრავლესობა გარდაცვლილია, მხოლოდ გიორგი და კესო — იგივე გიორგი შენგელაია და დინარა ჟორჟოლიანი არიან ამ ფილმის ცოცხალი მემატიანენი.*

# „ოთარაანთ ქვრივი“ ოთარაანთ კარში გადაიღეს!

**გიორგი შენგელაია**, *რეჟისორი, გიორგი ფილმიდან „ოთარაანთ ქვრივი“:* — ფილმში მონაწილე მსახიობთა უმრავლესობა გარდაცვლილია, მე და დინარაღა შევრჩით ამ წუთისოფელს, მაგრამ დინარა მრავალი წელია, რაც ამერიკაში ცხოვრობს. ულამაზესი გოგო იყო, ნიჭიერი, მიხეილ ჭიაურელმა ამიტომაც შეარჩია ის კესოს როლზე (დინარა სანდრო ჟორჟოლიანის ქალიშვილი გახლავთ). ბორის ანდრონიკაშვილსაც (არჩილის როლის შემსრულებელი) განსაკუთრებულად გამორჩეული არისტოკრატიული გარეგნობა ჰქონდა. შესანიშნავად განასახიერეს ილიას გმირები. სხვათაშორის, ბორის ანდრონიკაშვილი ჩემი დეიდაშვილი იყო — დედაჩემის დის — კირას ვაჟი. კირას მეუღლე გახლდათ მწერალი ბორის სპილნიაკი (წარმოშობით გერმანელი), რომელიც 1937 წელს სხვა ცნობილ მწერლებთან და პოეტებთან ერთად დაიჭირეს და დახვრიტეს. ამის გამო დეიდაჩემმა შვილი თავის გვარზე — ანდრონიკაშვილზე დაწერა. ილიას პოზიციას, მის პრინციპებს, შეხედულებას საზოგადოებისა და ცხოვრების მიმართ „ოთარაანთ ქვრივის“ ეს პერსონაჟი — არჩილი გამოხატავს.

**— ვერიკო ანჯაფარიძის მიერ შექმნილი ოთარაანთ ქვრივის სახე ერთ-ერთი უძლიერესია მის შემოქმედებაში...**

— ვერიკო იყო არა მარტო დიდი მსახიობი, არამედ დიდი პიროვნება. ეს ძლიერი პიროვნება ძალიან კარგად ჩანს ოთარაანთ ქვრივში. როდესაც დიდი მსახიობი თამაშობს, თავის გარშემო მომნუსხველ აურას ქმნის, ეს მოქმედებს პარტნიორზე, გაძლევს საშუალებას, თავადაც გაითავისო იმ გმირის თვისებები, რომლის განსახიერებაც გიწევს... — თუ გახსოვთ მომაკვდავი გიორგისა და ოთარაანთ ქვრივის სცენა — მეტად შთამბეჭდავი და ამაღელვებელი — შეუძლებელია, ამას მაყურებელზე დიდი ზეგავლენა არ მოეხდინა. ვერიკოსთან მუშაობა ერთი სიამოვნება იყო. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძის ცხოვრების მოდელი იყო სწორედ „ოთარაანთ ქვრივი“ — ბანკს ხელმძღვანელობდა, ამავე დროს, უძღვებოდა მეურნეობას საგურამოში, ჰქონდა დიდი სკივრი, როგორიც მის გმირს, შემოსავალსაც ისევე ანაწილებდა. ოთარაანთ ქვრივი ბევრი ისეთი პიროვნული თვისებით ხასიათდებოდა, როგორითაც ილია. ილია დემოკრატი იყო. მართალია, თავადაზნაურობა გლეხობაზე გაცილებით განათლებული იყო, მაგრამ „წოდების“ ხალხში სულიერებას ვერ ხედავდა. გიორგი და ოთარაანთ ქვრივი მისთვის მისაბაძი პიროვნებები გახდნენ. ვერიკო კარგად იცნობდა ილიას შემოქმედებას. მისი სწრაფვა, მიზანი, ის, თუ რა ახალი სიტყვა უნდა ეთქვა მწერალს „ოთარაანთ ქვრივის“ მეშვეობით, კარგად შეიმეცნა და გაითავისა. დედაშვილობა ილიამ სხვა სიმაღლეზე აიყვანა. ვერიკომ ეკრანზე ილიას სათქმელი თქვა.



**ვერიკო ანჯაფარიძე – ოთარაანთ ქვრივი**

**გიორგი შენგელაია:** *ვერიკომ ეკრანზე ილიას სათქმელი თქვა!*



**ვერიკო ანჯაფარიძე და გიორგი შენგელაია**

**გიორგი შენგელაია:** *ბანალურია ვერიკოსა და ოთარაანთ ქვრივის ბედისწერის შედარება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ტრაგედია მოხდა მის ცხოვრებაში, შვილის სიკვდილს მოესწრო...*

**— თქვენთვის, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამდით კინოში, რამდენად ძნელი იყო ლეგენდარული მსახიობის გვერდით თამაში?**

— არავითარი სირთულე. ახალგაზრდა და დამოუკიდებელი ვიყავი. ჩემი გადასაწყვეტი არაფერი იყო. თვითონ მიხეილ ჭიაურელი იმდენად დიდი ოსტატი გახლდათ, ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, დახატული სცენები, ესკიზები (სანამ რეჟისორი გახდებოდა, მოქანდაკე იყო). რეჟისორის გადაწყვეტილებას მე არ ვეწინააღმდეგებოდი. მან ჩათვალა საჭიროდ, მე მეთამაშა ეს როლი. მიიჩნია, რომ ფიზიკურადაც ვგავდი ილიას გმირს. საგანგებოდ წვერი მოვუშვი, ჩამაცვეს გლეხი ბიჭის სამოსი (მაშინ კინოსტუდიის სამკერვალო არაჩვეულებრივად მუშაობდა, მთელი კოსტიუმები იქ შეიკერა).

**— სად მიმდინარეობდა გადაღებები?**

— ნატურის გადაღებები მიმდინარეობდა გომბორთან ახლოს, სოფელ ოთარაანთკარში. ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამო, ძველებური სახლი იქ არის გადაღებული (ეს სოფელი სპეციალურად არ შეურჩევიათ, უბრალოდ, ოთარაანთკარში იყო შენარჩუნებული ძველებური სახლები, რაც ფილმისთვის იყო საჭირო). თავადის სახლი გადაიღეს გურჯაანში, სადაც ახლა დედაჩემის სახლ-მუზეუმია. დანარჩენი სცენები კინოსტუდიის პავილიონშია გადაღებული.

**— იმ პერიოდში თქვენ ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის სიძე იყავით?**

— დიახ, მე და სოფიკოს უკვე ოჯახი გვქონდა. 19 წლისანი დავქორწინდით. ფილმში 20 წლისა ვარ.

**— ქალბატონი ვერიკოს ვაჟი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო?**

— არა, მისი ვაჟი მოგვიანებით გარდაიცვალა. რამაზ ჭიაურელი გახლდათ არაჩვეულებრივი კინორეჟისორი. ვერიკო იყო საოცრად მოსიყვარულე დედა, მზრუნველი. ბანალურია ვერიკოსა და ოთარაანთ ქვრივის ბედისწერის შედარება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ტრაგედია მოხდა მის ცხოვრებაში, შვილის სიკვდილს მოესწრო.

**— სად არის ფილმში ტრაგედიის სცენა გადაღებული?**

— წინანდლის ბაღის უკანა მხარეს (ფილმში გადაღებული ბაღი წინანდლის ცნობილი ულამაზესი ბაღია). იქ, ეზოში, რაღაც ქარხანა მდებარეობდა, ის ფასადია გადაღებული. სპეციალურად დადგმული თივის ზვინიდან ვვარდებოდი გაჭიმულ ბრეზენტზე.

**— მიხეილ ჭიაურელი სტალინის ფავორიტად ითვლებოდა. რა ბედი ეწია მას, როგორც რეჟისორს, ხრუშჩოვის დროს?**

— სტალინის გარდაცვალების შემდეგ მიხეილ ჭიაურელი სვერდლოვსკში გადაასახლეს, ამუშავებდნენ დოკუმენტურ ფილმებზე. მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა მოითხოვა ჭიაურელის დაბრუნება. გადასახლებიდან ჩამოსულმა „ოთარაანთ ქვრივი“ გადაიღო. თუმცა, როგორც თვითონ ამბობდა, ილიას ამ მოთხრობის ეკრანიზაცია ადრეც უფიქრია.



**დინარა ჟორჟოლიანი – კესო „ოთარაანთ ქვრივიდან“**

**— ფილმი რაიმე პრემიაზე თუ იყო წარდგენილი?**

— არა. იმ დროს ფესტივალები და კონფერენციები ნაკლებად იმართებოდა. ეს ყველაფერი მოგვიანებით დაიწყეს. ყოველ მორიგ ფილმს ჭიაურელი იღებდა როგორც პირველს. პრემიერის წინ ღელავდა. საერთოდ, ყოველი რეჟისორი ღელავს, როდესაც მის ნამუშევარს ფართო საზოგადოება პირველად ეცნობა. ხალხის აზრს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მეტად მოკრძალებული კაცი იყო მიხეილ ჭიაურელი, მორიდებული.

**— თქვენ, როგორც უკვე ცნობილი რეჟისორი, ფილმს როგორ შეაფასებდით?**

— ყველა ხელოვანს თავისი ხელწერა აქვს, თავისებურად ხედავს პერსონაჟებს. მე სულ სხვაგვარად გადავიღებდი, გარკვეულ ეპიზოდებს სხვა ფონს მოვუძებნიდი. ამ შემთხვევაში, შეიძლება სუბიექტური ვარ, მაგრამ ობიექტური შეფასებით, ფილმი მაყურებელს უყვარს, დღემდე დიდი ინტერესით უყურებს, სურათი დღემდე ცოცხლობს. ეს უკვე წარმატებაა.

---

*იაკობ ბობოხიძემ გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე 16-მდე სიმღერა შექმნა. ყველასათვის საყვარელი „ვერხვები“ კომპოზიტორმა 35 წლის წინ დაწერა. ეს სიმღერა პირველად ცნობილმა მეცნიერმა, ფიზიკოსმა ლევან ჯაფარიძემ შეასრულა.*

# „ვერხვები“ პირველად ფიზიკოსმა იმღერა!

**იაკობ ბობოხიძე**, *კომპოზიტორი:* — გალაკტიონის პოეზია ჩემი შთაგონების წყაროა, 16-მდე სიმღერა შევქმენი მისი ლექსების მიხედვით, მათ შორის „ვერხვები“. ტექსტში არის ასეთი სტრიქონები: „შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი, რისთვის ან ვისთან, არ ვიცი, არა“ — ეს მთავარი ფაბულაა, მთავარი აზრი, სულიერი საზრდოს მომცემი. რადგან ამ ლექსს მოვკიდე ხელი, მელოდიაც ისეთი უნდა შემექმნა, რომელიც გალაკტიონის პოეზიას არ დააკნინებდა... სიმღერა დაიწერა ფილმისთვის „მიზანი“, რომელსაც ჩემი მეგობარი გენო ხოჯავა იღებდა. ფილმში ორჯერ ჟღერს ეს სიმღერა — დასაწყისსა და დასკვნით ნაწილში.

**— მელოდიის შექმნას დიდხანს მოუნდით?**

— ერთ საათში დავწერე. მე პროფესიონალი ვარ, მუზას არ ველოდები. მუზა შემოქმედი ადამიანების მოგონილია. როცა რაღაცას ქმნის, მაშინ აქვს ხელოვანს შემოქმედებითი აღმაფრენა.

**— ვინ შეასრულა პირველად ეს სიმღერა?**

— „ვერხვები“ პირველად სცენაზე არ შესრულებულა. სალონური სიმღერაა, ვიწრო წრეში სამღერი. მომღერალი სპეციალურად არ მიძებნია... ჩემი მეგობრის ძმის დაბადების დღეზე გახლდით. ერთი ახალგაზრდა სუფრასთან მღეროდა. როდესაც ჩემზე უთხრეს, „ფიფქების“ ავტორი მობრძანდაო, ახლოს მომიჯდა და გიტარაზე „ფიფქების“ მელოდია დაუკრა, შესანიშნავად იმღერა. ისე გამოვიდა, რომ ის სიმღერა მე მომიძღვნა. რა თქმა უნდა, გამიხარდა. მაშინვე დავპირდი — ფილმისთვის სიმღერა დავწერე, უთუოდ შენ უნდა შეასრულო-მეთქი. იმღერა კიდეც. ეს გახლდათ ცნობილი მეცნიერი, ფიზიკოსი ლევან ჯაფარიძე. მოგვიანებით მისმა დამ — ქეთი ჯაფარიძემაც (ტრიო „ჰარმონია“) შეასრულა. შემდეგ, როდესაც ტრიო „ჰარმონიამ“ კასეტა გამოუშვა, სიმღერას „ვერხვები“ უწოდა.

**— დღესაც იმავე ინსტრუმენტზე ქმნით სიმღერებს, რომელზეც 35 წლის წინათ უკრავდით?**

— ინსტრუმენტს რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, შემოქმედი როგორ მიიტანს თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს ამ ინსტრუმენტთან, სულის ნაწილი უნდა ააჟღერო და არა — რაღაც საგნის ხმები. მაგალითად, გალაკტიონი ხომ მარტო სიტყვები არ არის, სულია, საზრდოს მომცემი. ვეცადე, ეს სულიერება არ დამეკარგა, თორემ კლავიშს როდის გამოვიყენებდი, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა...





**ლევან ჯაფარიძე**, *ფიზიკოსი:* — ჩემი მეგობრების ავთანდილ და დავით ქურხულების ოჯახში გავიცანი ბატონი იაკობ ბობოხიძე. სუფრა ორ ოთახში იყო გაშლილი, ერთში ახალგაზრდები ვისხედით, მეორეში — შედარებით უფროსები. ახალგაზრდები ვმხიარულობდით, ვმღეროდით. თურმე, ბატონი იაკობი ჩუმად გვისმენდა. ჩემი ნამღერი მოსწონებია. მითხრა, ფილმისთვის სიმღერა დავწერე და შენ უნდა შეასრულოო. თავიდან უარი განვუცხადე, სიმღერის ჩაწერა და სცენაზე გამოსვლა მერიდებოდა. მაგრამ შემდეგ ფილმის სიუჟეტი მიამბო: ყაჩაღები გარბიან, ისმის სროლა, ღამდება. ამ სიმღერას უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი მღერისო... დავთანხმდი... მეორე დილით მომაკითხა მანქანით, მოვისმინე სიმღერა, ჩავწერეთ ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ ხმის ჩამწერ სტუდიაში („მელოდია“), შემდეგ ეს სიმღერა ჩემმა დამ ქეთი ჯაფარიძემ ტრიო „ჰარმონიასთან“ ერთად შეასრულა. „ვერხვები“ სცენაზე არასოდეს მიმღერია, ხანდახან მეგობრებთან ერთად ვღიღინებ ხოლმე...





**ვერხვები**
**(ტექსტის ავტორი გალაკტიონ ტაბიძე)**

ყოველთვის, როცა
დაჰბერავს ქარი
და ნისლს მთებისას
გაიფენს აფრად,

**მისამღერი:**
*ვერხვის ფოთოლთა*
*თეთრი ლაშქარი*
*აშრიალდება*
*უშორეს ზღაპრად.*

ზღაპარი იგი
მათრობს და მხიბლავს
მველი ღვინის ხმით,
უღონოდ, მძაფრად,
სადღაც დაკარგულ
ვარდს და გვირილებს
მოგონებებში ვიჭერ თანაბრად.

**მისამღერი:**
*ვერხვის ფოთოლთა*
*თეთრი ლაშქარი*
*აშრიალდება*
*უშორეს ზღაპრად.*

მას შემდეგ ბედი და იალქანი
ქარის სიმძიმით გადაიხარა,
შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი?
რისთვის ან ვისთან?
არ ვიცი, არა!

**მისამღერი:**
*ვერხვის ფოთოლთა*
*თეთრი ლაშქარი,*
*აშრიალდება უშორეს ზღაპრად.*

*„სხვისი შვილები“ თენგიზ აბულაძის პირველი დამოუკიდებელი ფილმია, რომელიც 1957-58 წლებში გადაიღო. რეჟისორის ინტერესი გამოიწვია „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაბეჭდილმა ერთ-ერთმა სტატიამ, რომელიც მკითხველს ობლად დარჩენილი ორი პატარა ბავშვისა და ახალგაზრდა ქალის ურთიერთობის შესახებ მოუთხრობდა. ნიჭიერმა რეჟისორმა ნამდვილი ამბავი ეკრანზე გადმოიტანა, ხოლო მთავარი (დეიდა ნატოს) როლის შესასრულებლად უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი* ***ციცინო ციციშვილი*** *მოიწვია. მას შემდეგ 46 წელი გავიდა...*



# ციცინო ციციშვილი: „სხვისი შვილები“ ნამდვილი ამბის მიხედვით გადაიღეს...



— ამ ფილმში სრულიად შემთხვევით მოვხვდი. რუსთაველის თეატრში ჩემი ბავშვობის მეგობრის ნანი ბრეგვაძის კონცერტს ვესწრებოდი. კონცერტის მსვლელობისას ჩემმა მეგობარმა ჟურნალისტმა დათუნა მაჭავარიანმა დარბაზის კარი შემოაღო და ხელით მანიშნა, გარეთ გავსულიყავი. ფოიეში მან გამაცნო ახალგაზრდა რეჟისორი თენგიზ აბულაძე, რომელიც ფილმის მთავარი გმირის — ნატოს როლის შემსრულებელს ეძებდა. ალბათ, პარტერში შემამჩნია. მიწვევაზე უარი არ მითქვამს. შესაძლოა, ახალგაზრდობისთვის დამახასიათებელი ზედმეტი თავდაჯერების გამო. ასე იყო თუ ისე, შემდეგ არ მინანია... გადმომცეს სცენარი, რომელიც რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში მომხდარ ნამდვილ ამბავზე იყო აგებული (ეს ისტორია თენგიზმა „კომსომოლსკაია პრავდაში“ წაიკითხა).

**— მსახიობის ხელოვნების არმცოდნეს როლზე მუშაობა არ გაგიჭირდათ?**

— არაპროფესიონალიზმს აქვს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარე. შებოჭილი არ ვიყავი, თავისუფლად ვიქცეოდი, ბუნებრივად. რა თქმა უნდა, მუშაობის პროცესში შენიშვნაც მიმიღია, მაგრამ რეჟისორის ხელშეწყობითა და მთელი კოლექტივის თანადგომით დიდად არ გამჭირვებია. ეს იყო თენგიზ აბულაძის პირველი დამოუკიდებელი ფილმი (მანამდე მას რეზო ჩხეიძესთან ერთად გადაღებული ჰქონდა „მაგდანას ლურჯა“), ვიცნობდი ოპერატორს ლევან პაატაშვილს, მხატვრებს — გივი გიგაურსა და კახი ხუციშვილს. გადაღებების შემდეგ რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა კი მქონდა რამდენიმე ეპიზოდის მიმართ, მაგრამ დღეს სიამოვნებით ვუყურებ. მითუმეტეს ახლა, როცა ფეხი მტკივა, მიჭირს სიარული. ამ ფილმში კი ახალგაზრდა ვარ, მსუბუქად ვმოძრაობ. დიახ, ეს როლი ჩემთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ ბავშვობაში, 6-7 წლის ასაკში, დოდო ალექსიძის ფილმში („სამგორი“) უნდა მიმეღო მონაწილეობა, რომელიც რაღაც მიზეზების გამო ვერ გადაიღეს. მახსოვს, ფილმში ეროსი მანჯგალაძესაც უნდა ეთამაშა.

**— ბოლო კადრში მატარებლიდან გადმოხტომა არ გაგიჭირდათ?**

— მატარებლიდან მე არ ვხტები — სხვა გადმოხტა ჩემ მაგივრად *(იცინის)*. ეს კადრი თბილისის რკინიგზის სადგურთანაა გადაღებული.

**— რამდენი წლის ხართ ამ ფილმში?**

— 19 წლის, უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

**— როგორი დამოკიდებულება გქონდათ ოთარ კობერიძესთან, ბავშვებთან?**

— ოთარი უკვე გადაღებული იყო „ბაში-აჩუკში“, თამაშობდა თეატრში. ამ დროს მისი და ლიას რომანი ახალი დაწყებული იყო, სხვათაშორის ჩემი და ზურაბისაც (მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე). ბავშვები ყველაზე კარგად გრძნობდნენ თავს, უკვე გამოცდილები იყვნენ „მაგდანას ლურჯაში“, მაგრამ ძალიან იღლებოდნენ, ხანდახან ჭირვეულობდნენ კიდეც.

**— რამდენად გაითავისეთ როლი, თქვენს ხასიათსა და განწყობაზე როგორ იმოქმედა?**

— გადაღებების შემდეგ მაინცდამაინც ამ როლზე არ ვფიქრობდი. დასრულდებოდა თუ არა იმ დღის გადაღება, ზურასთან პაემანზე მიმეჩქარებოდა. ეს როლი თუკი მომერგო და კარგად შევასრულე, ბატონი თენგიზის დამსახურებაა.

**— სად მიმდინარეობდა გადაღებები?**

— თბილისის უბნებში — ავლაბარში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, სადაც კორპუსების მშენებლობა ახალი დაწყებული იყო, კინოსტუდიის პავილიონში... ის სახლი, სადაც დეიდა ნატო ცხოვრობს, მართლაც ჩემია — პეკინის №2 (ახლანდელი გამსახურდიას გამზირი). შესვენებაზე სახლში შევრბოდით, სადაც დედაჩემი გემრიელ სადილს გვახვედრებდა. თბილი ურთიერთობა მქონდა ქალბატონ სესილია თაყაიშვილთან (ფილმში ხომ ერთად ვცხოვრობთ).

**— თქვენი შვილების გარდა, ვისზე გქონიათ ისეთი ამაგი, როგორ მზრუნველობასაც თქვენი გმირი იჩენს სხვისი შვილების მიმართ?**

— ყველა ჩემი ახლობლის ბავშვს დედა ჰყავდა, ჩემი დახმარება არავის დასჭირვებია.

**— რეალურ ცხოვრებაში თქვენ თუ მოიქცეოდით ისევე, როგორც ნეტო მოიქცა?**

— ძალიან გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. დიდი დაფიქრებაა საჭირო. ადვილი გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის.

**— ვინ არის ის ქალბატონი, ფილმის გმირებს — ნატოსა და დათას შორის რომ დგება?**

— ეს სიმპათიური ქალბატონი ასმათ ქანდაურაშვილი გახლავთ. პროფესიით მსახიობი ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწეოდა, ხატავდა კიდეც, აწყობდა გამოფენებს. კარგი გარეგნობის იყო, მაგრამ როლი შეხვდა უარყოფითი.

**— გრიმს და ჩაცმულობას სპეციალურად თქვენთვის არჩევდნენ?**

— ყველგან ჩემი კაბები მაცვია, მხოლოდ ერთი სვიტრია სხვისი. ვარცხნილობაც ისეთივე მქონდა, როგორიც — ფილმში.

**— კინოში გადაღება მეუღლემ აგიკრძალათ?**

— დიდად აღფრთოვანებული არ ყოფილა კინოში ჩემი გადაღებით, მაგრამ არც დაუშლია, რადგან ირგვლივ ჩემი და ზურაბის ახლობლები იყვნენ. ამ ფილმის გადაღების შემდეგ მალევე გავთხოვდი. უფროსი ქალიშვილი ნინო უკვე მყავდა, როცა ლანა ღოღობერიძემ გადამიღო დაფინოს როლში („თავადის ქალი მაია“). მაგრამ ჩემი პროფესია ჯერ კიდევ კინომდე მქონდა არჩეული, მსახიობი კი მაინც სხვა ადამიანზეა დამოკიდებული. დავინტერესდი მედიცინით. 32 წელი ვიმუშავე ქირურგიის ინსტიტუტში, ვარ ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 10 წლის წინ მე და ჩემს მეუღლეს საქართველოდან წასვლა მოგვიხდა. ვცხოვრობდით ევროპაში, შემდეგ — რუსეთში, 2000 წელს დავბრუნდით.

**— ფილმის პრემიერა სად გაიმართა?**

— მოსკოვში, კინოს სახლში. მოსაწვევი კინემატოგრაფისტთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ სიკო დოლიძემ გადმომცა. ფილმს უდიდესი შეფასება მისცეს მიხეილ რომმა, იუტკევიჩმა... რუსეთიდან მიგზავნიდნენ უამრავ წერილს, ვინაიდან ფილმში გადმოცემული ამბავი იქ საკმაოდ გახმაურებული იყო.

„სხვისი შვილების“ გადაღებიდან თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა, ყველა ისევ ისე მიყვარს, ისევ ახლობლად ვთვლი მათ. ვუსურვებ, ბევრი ისეთი ლამაზი დღე ჰქონდეთ ცხოვრებაში, როგორიც მაშინ გვქონდა.

**— პასუხგაუცემელი შეკითხვა, რომელიც ფილმის დასრულების შემდეგ რჩება მაყურებელს...**

— დაუბრუნდება თუ არა დათა ოჯახს?!. პასუხი არ ვიცით... და ეს იყო, ალბათ, რეჟისორის ინტრიგაც.

კადრები ფილმიდან „სხვისი შვილები“



ნანი ჩიქვინიძე, მიხო ბორაშვილი



ციცინო ციციშვილი, ოთარ კობერიძე

## ნანი ჩიქვინიძე: მიხოს ვთხოვ, გამომეხმაუროს!



**ნანი ჩიქვინიძე,** ***ლია კინოფილმიდან „სხვისი შვილები“:*** — მოგონებები ორ ფილმზე — „მაგდანას ლურჯასა“ და „სხვის შვილებზე“ ჩემი ცხოვრების თანამდევია. ამდენი დრო გავიდა, მაგრამ ჩემი გმირების მიმართ გამოხატულ სიყვარულს ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ. მე და მიხო „მაგდანას ლურჯადან“ ერთად მოვდივართ. როდესაც ბატონმა თენგიზმა „სხვისი შვილებისთვის“ მსახიობების შერჩევა დაიწყო, ჩვენი ფუნქცია უკვე გადაწყვეტილი იყო — ძირითადი როლი ჩვენ უნდა შეგვესრულებინა. მაშინ 7 წლის ვიყავი, პირველი კლასის მოსწავლე.

**— თავადაც პატარა, რომელმაც ობოლი ბავშვის როლი განასახიერა, განიცდიდით თქვენი გმირის მდგომარეობას?**

— არა, რადგან ფილმში ტრაგედია სენტიმენტალურად ხაზგასმული არ არის. ბავშვები არიან ლაღები, თავისუფლები. რაც შეეხება სიკვდილს, უსიამოვნებას, სიმძიმეს, ბავშვი ამას თავიდან იშორებს, ამაზე არ ფიქრობს, ეს მისი თანდაყოლილი რეფლექსია. დეიდა ნატოს დედის სურათს აჩვენებენ, იციან, რომ ის აღარ არის, აღარ მოვა, მაგრამ განცდა ხაზგასმული არ არის. ცხოვრებაში ბავშვებმა თავად მოძებნეს დედა, რომელმაც ისინი დაიცვა, გამოექომაგა, მათ კი შეიყვარეს. მხოლოდ ერთ მომენტში იკვეთება „ნაპოვნი დედის“ დაკარგვის შიში — დეიდა ნატო, შეიძლება, დედა დაგიძახო?.. როდესაც წამოვიზარდე, წლების შემდეგ აღვიქვი ამ ფილმის დრამატული, ტრაგიკული მხარე, თორემ გადაღებების დროს ვთამაშობდით, ვიცინოდით, ვეშმაკობდით.

**— რომელი ეპიზოდი მოგწონთ?**

— ბოთლების გაყიდვის ეპიზოდი — ბავშვები ბოთლებს ყიდიან და დეიდა ნატოსთვის სუნამოს ყიდულობენ. ავტობუსის სცენა — დედის კალთის ქვეშ განებივრებულ ბავშვებს რომ უყურებენ... არაჩვეულებრივი პარტნიორი იყო მიხო. ერთმანეთის მიმართ სიმპათია და კეთილგანწყობა რომ არ გვქონოდა, არაფერი გამოვიდოდა. კარგად მახსოვს არაჩვეულებრივი ქალბატონი ციცინო ციციშვილი, ბატონი ოთარ კობერიძე. ისინი ჩემთვის თბილი და ძვირფასი ადამიანები არიან.

**— ფილმში გოგონას კაბები სპეციალურად თქვენთვის შეიკერა?**

— არა, ეს ჩემი კაბებია. მახსოვს, სარაფანი მეცვა. დედამ შიგნით მაისური ჩამაცვა, რომ არ გავციებულიყავი. მზეს რომ არ შევეწუხებინე და არ დავსიცხულიყავი, მამაჩემის ძველი შლაპა დამახურა. ძალიან სასაცილოდ გამოვიყურებოდი. ბატონმა თენგიზმა რომ დამინახა, ისე მოეწონა, კადრში იმ ქუდით გადამიღო.

ალბათ, 46 წელი გავიდა ფილმის გადაღებიდან, დეტალები კარგად არ მახსოვს, ორი წლის შემდეგ რომ დაგესვათ იგივე შეკითხვები, შეიძლება, ვეღარც გამეხსენებინა.

ბატონ ოთარ კობერიძეს ვუსურვებ, რაც შეიძლება დიდხანს იაროს ამ ქვეყანაზე, გვქონდეს საშუალება, დავტკბეთ მისი ხელოვნებითა და პიროვნებით. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დიდი ტკივილი გადაიტანა — ვიცი, რა ძნელია ცალუღელა დარჩენა, მაგრამ უნდა გაუძლოს, რადგან ხალხს ძალიან უყვარს. მივესალმები ქალბატონ ციცინოს, არაჩვეულებრივი ოჯახი აქვს, სიხარულსა და წარმატებას ვუსურვებ. მიხოს კი ვთხოვ, გამომეხმაუროს, დიდი ხანია, არ მინახავს, ვიცი, ჯანმრთელად არის, ფილმებს იღებს, მაგრამ მისი ხმის გაგონება გამიხარდება.

## მიხო ბორაშვილი: „სხვის შვილებზე“ საუბარი არ მსურს!



**მიხო ბორაშვილი,** ***რეჟისორი, გია კინოფილმიდან „სხვისი შვილები“:*** — რა გითხრათ, წარსულს არ ვიხსენებთ, სადღაც დაიკარგა... აღარც ტელევიზიაში ვარ... იქ სხვა ხალხი მივიდა. „სხვის შვილებსა“ და „მაგდანას ლურჯაზე“ საუბარი აღარ მსურს, ალბათ, არც არავის აინტერესებს, ვინ ვარ, რა გამიკეთებია...



# ამ სიმღერით იხსნება ჩვენი პარტნიორის გაზეთ "ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში

## ყური უგდე საქართველოს!

*კინოფილმიდან „ნინო“ (ტექსტის ავტორი პ. გრუზინსკი)*

**ყური უგდე საქართველოს მთებს და ლელიანს,**
**იავნანას დედასავით ტკბილად მღერიან.**
**ცელქი სიო სად არ მღერის, აქ სულ სხვა არის,**
**და სამშობლოს ჩურჩულიც ხომ, დედის, დედის ხმა არის.**

**მისამღერი:**
*გადახედე მთებს აზიდულს გოლიათებად*
*და ნაღველი ღრუბელივით გაიფანტება.*
*სიო გვიხმობს, თანაც ღელავს, თითქოს ზღვა არის,*
*საყვარელი სამშობლოა, დედის ხმა არის.*

**გადახედე ჯეჯილში რომ მორცხვობს ღიღილო,**
**თითქოს უნდა შენთან ერთად დაიღილინოს.**
**სალამურად გაითლება ლერწამის ღერო,**
**როგორ გაძლოს ამ ზეცის ქვეშ, რომ არ, რომ არ იმღეროს.**

**მისამღერი:**
*გადახედე მთებს აზიდულს გოლიათებად*
*და ნაღველი ღრუბელივით გაიფანტება.*
*სიო გვიხმობს, თანაც ღელავს, თითქოს ზღვა არის,*
*საყვარელი სამშობლოა, დედის ხმა არის.*





*„მამულის“ პარტნიორის „ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდის (www.asavali.ge) სტუმრებს საშუალება აქვთ, მასალების გაცნობის პარალელურად უკვე შედევრად ქცეულ სიმღერებს მოუსმინოს. საიტს ხსნის კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის სიმღერა **„ყური უგდე საქართველოს“**, რომელიც პირველად ახალგაზრდა მომღერალმა სულიკო კოროშინაძემ და მხატვარმა ზურაბ ლეჟავამ შეასრულეს. სიმღერა 1959 წელს სპეციალურად ქართული მხატვრული ფილმისთვის („ნინო“) დაიწერა.*

## სულიკო კოროშინაძე: თავისი სიმღერის დამახინჯებისათვის რეზო ლაღიძე თოფს დატენიდა









**სულიკო კოროშინაძე,** *მომღერალი:* — „ყური უგდე საქართველოს“ პირველად შევასრულეთ მე და ცნობილმა მხატვარმა, პროფესორმა ზურა ლეჟავამ. მაშინ ახალგაზრდები ვიყავით. მე უკვე ფილარმონიის სოლისტი გახლდით, ხოლო ზურა — არაჩვეულებრივი მხატვარი, რომელიც თავის მეგობრებთან ერთად შესანიშნავად მღეროდა. ზურა გადაღებულია მხატვრულ ფილმში „ქეთო და კოტე“ — თავადებთან ერთად მღერის.

**— ეს სიმღერა კინოფილმისთვის დაიწერა?**

— დიახ, ლეო ესაკიას ფილმ „ნინოსთვის“ დაწერა ცნობილმა კომპოზიტორმა რევაზ ლაღიძემ. ტექსტის ავტორია პეტრე გრუზინსკი. წინა თაობის კომპოზიტორები პროფესიონალები იყვნენ, ტალანტები, სიმღერას როცა წერდნენ, უკვე იცოდნენ, ვის უნდა ემღერა, ვის ჰქონდა შესაბამისი ტემბრი, ხმა. ძველი ფილარმონიის ბაღში ხშირად ვსეირნობდით, ხელოვანი ადამიანები იქ ვხვდებოდით ერთმანეთს. მახსოვს, ბატონი რეზო მოვიდა ჩემთან, მითხრა, — სულიკო, ეს სიმღერა შენ უნდა იმღერო. „ყური უგდე საქართველოს“ მე და ზურა ლეჟავამ დუეტში ჩავწერეთ, თავიდან მე ვიწყებდი — „ყური უგდე საქართველოს, მთებს და ლელიანს...“ შემდეგ ზურა ამყვებოდა — „გადახედე მთებს აზიდულს გოლიათებად...“ ნამდვილი ქართული სიმღერაა, ჰარმონიული, მელოდიური, დიდებული ტექსტით. ახლა, თუ გინდა, სიმღერის ტექსტში დედის გინება შეიტანე, ვინ არის განმკითხავი?! რაც კი გვიშრომია, ჩვენ, ძველებს, სულ წყალში ჩაგვიყარეს, მოშალეს ყველაფერი. ქართველმა მომღერალმა ქალმა იმისთვის, რომ ყურადღება მიიქციოს, ტანზე გაიხადა, ხოლო მომღერალმა ბიჭმა საყურე გაიკეთა, რას მღერიან, ვერ გაიგებ! ამ ახალ კომპოზიტორებს კი აბა, გაბედე და რამე უთხარი! რეზო ისეთი დიდი პიროვნება იყო, რაღაც დეტალზე რომ აზრი გეთქვა, გაითვალისწინებდა, გეტყოდა: „ვა, რა კარგია, რომ მითხარი!“ დღეს ცოცხალი რომ იყოს, ამ უნიჭობას, რაც დღეს ხდება, ვერ აიტანდა. მის „სიმღერას თბილისზე“ ოთხნაირი არანჟირება გაუკეთეს. რეზო ამას არავის აპატიებდა, თოფს დატენიდა და ვინმეს ესროდა, ციხეში ჩაჯდებოდა და თავისი შემოქმედების დამახინჯებას ვერ შეეგუებოდა. ამას როგორ დაუშვებდა! ბედნიერი ვარ, რომ რეზო ლაღიძეს ახლოს ვიცნობდი, ჩემი ქვეყნის ჰიმნადქცეული სიმღერა — „ჩემო კარგო ქვეყანავ“, რომელიც ასევე რეზო ლაღიძეს ეკუთვნის, მე და ჯანო ბაგრატიონმა შევასრულეთ ფილმში „გლახის ნაამბობი“.

**— პეტრე გრუზინსკისთანაც მეგობრობდით?**

— დიახ, არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, ყველაფერში ეტყობოდა თავადობა. ამიტომაც არის დაკრძალული სვეტიცხოველში, ერეკლე მეორის გვერდით, მისი პირდაპირი შთამომავალი იყო. საქართველოს სიყვარული ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი. უბრალო და მოკრძალებული ადამიანი იყო. ხშირად გვიქეიფია მე, რეზოს და პეტრეს. თუ კონცერტის წინ მოგვიხდებოდა ქეიფი და ვეტყოდი, რეზო, ვერ დავლევ-მეთქი, გაიცინებდა, — შენ ისეთი ვინმე ხარ, მაინც იმღერებო... მიხარია, რომ ეს სიმღერა გაიხსენეთ, გიყვართ, ბედნიერი ვარ, რომ უამრავი ადამიანი უსმენს, სამშობლოს სიყვარულს გაუღვივებთ, გამოაფხიზლებთ.

**ლია მგელაძე,** *პოეტ პეტრე გრუზინსკის ქვრივი:* — კომპოზიტორი რეზო ლაღიძე და ჩემი მეუღლე მეგობრები იყვნენ — ერთად ქმნიდნენ სიმღერებს, ერთად ქეიფობდნენ, ნადირობდნენ, თევზაობდნენ... რეზო მუსიკას შექმნიდა და პეტრე იმ მელოდიის მიხედვით წერდა ტექსტებს. თუ ფილმისთვის იყო საჭირო სიმღერის ტექსტის დაწერა, დაიბარებდნენ კინოსტუდიაში, თემას გააცნობდნენ. ხშირად კომპოზიტორები თვითონ ურეკავდნენ პეტრეს, მელოდიაზე ტექსტის დაწერას სთხოვდნენ. „ყური უგდე საქართველოს“ ცალკე, დამოუკიდებლად არ აჟღერებულა, საზოგადოებამ ფილმის მეშვეობით მოისმინა. მაშინვე პოპულარული გახდა. რეზოს და პეტრეს არაერთი ქართული მხატვრული ფილმისთვის შეუქმნიათ სიმღერები.

*ესაუბრა*
**ქეთევან ხამიცაშვილი**

# მკითხველის გვერდი



## ნანი ლეონიძე

* * *

ჩემი ტანჯული სულის ნაწილი
სამშობლოს ლამაზ ცაზე დაფრინავს,
მე ვხედავ როგორ აყვავდა ნუში,
და როგორ ფეთქავს გული არწივთა.

ქალაქი ვარდებს გადაუფარავს,
სოფელი ვაზის ბწკრებად გაშლილა,
მაისი მოდის ჩემს სამშობლოში
და გულში ცეცხლი უფრო გაღვივდა.

დაფრინავს სული, შფოთავს და დრტვინავს,
ზვარაკად ერგო იგი სამშობლოს,
ხატის წინ სანთლად იწვება მშვიდად
და დამზრალ სხეულს მხოლოდ ის ათბობს.

სხეული კვდება ნოსტალგიისგან,
სულია მისი სალბუნ-მალამო,
მთებს გადაიფრენს, და ოკეანეს,
და ქართულ ცაზე ისე ნავარდობს.

ხან ლურჯი ზღვა და მაზი მთები
ჩემს გულს საამოდ ეფინებიან,
ნარინჯის ველი, ბალჩა-ბაღები
მზეს სილამაზით ეცილებიან.

არ ვიცი, როგორ გაუძლებს გული,
როდემდე უნდა ვიფრინო ცაში,
როდის დადგება დრო საამური
და დავბრუნდები ჩემს ლამაზ ხალხში.

**თბილისელ სომეხ**
**ქალბატონს ოფელიას**

შენ საქართველოს სიამაყე ხარ,
არ დაუკარგე ამაგი არვის,
ქართველმა ერმა გულში ჩაგიკრა
ვით საკუთარი ნაშობი შვილი.
ბედმა სამშობლო შენ არ გაღირსა,
თუმც საქართველომ შენ შეგიკედლა,
ისევ ჩამოკრა ბედის ზარებმა,
და ამერიკას გამოგიყენა.
არ დაივიწყე შენი სამშობლო,
ქართველი ერი, ქართული ენა,
თუკი რამ შექმნა შენმა ხელებმა,
ყველას ,,ქართული“ უწოდე ხელად.
ეს ,,თბილისია“, ეს ,,საქართველო“,
ეს ,,იმერული“, ქართული ჩვენი,
ამერიკაში ისევ ქართველობ,
ვერ შეგედრება თავად ქართველი.
შეიყვარე და შეისისხლხორცე
თუ კი რამ იყო ქართული გენის,
ყოჩაღ! ქალობა დამილოცნია,
მრავალჟამიერ! დღე ბედნიერი!

**ჩემს მეგობარს**
**ნათელა მრელაშვილს**
**და ქართველ მანდილოსნებს**

ჟამთა ტრიალმა ოჯახს მოგწყვიტა,
ტვირთი გარგუნა შენ მამაკაცის,
არ შეუშინდი მზიმე ხვედრს, თუმცა
შენ ისეთი ხარ, ვით ნაზი ჩიტი.
თავჩაღუნული მუხლჩაუხრელი
შრომობ და იღწვი ოჯახისათვის,
გინდა შენს ჯიშს-მოდგმას და შვილებს
შეუმსუბუქო ის მძიმე ტვირთი.
გულით ატარებ სევდად უმძიმესს,
განშორებისას, სამშობლოს შენის,
ქართველი ქალის კდემოსილება
ამერიკაში შენ როგორ გშვენის.

**წუთისოფელი**

მიქრის წლები
რაშებით,
უკან არ
იყურება,
არაფერს
გვეკითხება,
არც არა
ეყურება.
მიაქვს
ახალგაზრდობა,
ის ლამაზი
ფერები,
უკან რჩება
დარდისგან
წარუშლელი
დღეები.
უდარდელი
დღეები
გაქრა,
როგორც
ღრუბელი,
დაღლილ
სხეულს
მიათრევს
გული
უბერებელი.
მოგონება
ლამაზი
ფრთაგაშლილი
დაფრინავს,
წამით
ახალგაზრდობა
მოდის
ტახტრევანითა.
გაიხარა,
გაშალა
ფრთები
გაინავარდა,
სულ ერთ
წუთში
დამთავრდა
თუ-რამ კარგი
გადამხდა.

## უსამშობლო მარიკა და საქართველო

იტყვიან, ჩიტსაც კი უყვარსო თავისი ბუდე, მერცხალი ათასობით კილომეტრს გადაიფრენს, რათა თავისი სამშობლო იხილოს და განა გასაკვირია, უყვარდეს ადამიანს თავისი კუთხე-კუნჭული, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც წინაპართა საფლავები ეგულება. ჯადოსნური ძალა აქვს მშობლიურ მიწას. რაა მიწა? რუხი მასაა და მეტი არაფერი, თითქოს, მაგრამ მისთვის წასულან სამზეოდან სიცოცხლით სავსე ვაჟკაცები, მისთვის სიმღერით შეჰგებებიან მომხვდურთ. ცხოვრების ჩარხი უკუღმა ბრუნავდა საქართველოსთვის და მისი შვილების გზები სამშობლოს გარეთ მიემართებოდა, უმეტესს შემთხვევაში მათი სურვილის გარეშე. საქართველოს დაკარგული შვილები ამშვენებდნენ ოსმალეთისა და სპარსეთის სასახლეებს, ბიზანტიისა და რუსეთის იმპერატორთა კარს. იყო ტკივილი, სევდა და უკურნებელი ნოსტალგია მიტოვებულ მამა-პაპათა მიწაზე. მშობლიურ სანახებს მონატრებულნი ჩადიოდნენ საფლავში, უცხო მიწა იყო მათი ძვლების თავშესაფარი. ,,მიწაც ტკბილია მშობლიური, გულს რომ ეყრება ფხვიერი“, მაგრამ რამდენი შვილი მოწყდა საქართველოს გულს სამუდამოდ და ვერ ეღირსა მამულის ცვარ-ნამს. სამშობლო იყო მათი სალოცავი ხატი, ის იყო მათი სიმდიდრე და მარადიული სისავსე სულისა. მისი სიყვარულით გულავსილნი ვიდოდნენ ცხოვრების ძნელ გზაზე და იწერებოდა ,,ქართლის ცხოვრების“ სისხლიანი მატიანე, შენდებოდა სვეტიცხოველი, ალავერდი, გელათი, ნიკორწმიდა,... ლეწავდნენ და არ იმსხვრეოდა, თელავდნენ და წელში იმართებოდა,კლავდნენ და არა კვდებოდა. მას აცოცხლებდა მისკენ მიპყრობილი ცოცხალ და მკვდარ შვილთა თვალები.

ჩემდა სამწუხაროდ, ,,მამულის“ ფურცლებიდან გავიცანი დედა-სამშობლოს უარმყოფელი და მოძულე ადამიანი მარიკა გორელაშვილი. გერმანულს ენას კი არა, მსოფლიოს ყველა ენას რომ დაეუფლოს, ნებისმიერ ტურში თუ ოლიმპიადაში რომ გაიმარჯვოს, მისი უსახური სახის გასალამაზებელ ერთ ქულასაც ვერ შეიმატებს. მინდა ვისურვო, რომ ,,წითელი ჯვრის“ ეგიდითაც არ ჩავიდეს საქართველოში, იქ თავისი ამპარტავნებით და უგულობით ადამიანებს კი არ მოარჩენს, დაასნებოვნებს. სამშობლოს ფენომენი, პატრიოტიზმი მისთვის უცხოა. მისი სამშობლო იქ არის, სადაც კარგად იგრძნობს თავს. 15 წლის განმავლობაში, მისი გულის ერთ პატარა კუნჭულშიც ვერ მოუნახია სამშობლოს სიყვარულს ადგილი. პროფესორი და აკადემიკოსი კი არა, ნობელის პრემიის ლაურეატიც რომ გახდეს, ადამიანობითა და ერთგულებით ვერ დაიკვეხნის. მისთვის მთავარი კარიერაა და მისი სამშობლოც იქ არის, სადაც მეტ ფულს გადაუხდიან, დარწმუნებული ვარ, მეგობრობაც ასეთი სამაგალითო ეცოდინება. არა მგონია, მის გერმანელ თუ ქართველ მეგობრებს ამ ინტერვიუს შემდეგ მისი მენტალიტეტისა და წარმოდგენების პატივისცემა შერჩეთ. მე იმ ჟურნალისტისაც გამკვირვებია, რომელმაც მარიკას ,,ნააზრევი მარგალიტები“ გამოაქვეყნა და თანაც დასძინა, რომ საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი შვილი. რატომ ჩათვალა მან მარიკა საქართველოს შვილად, მასში ხომ ერთი ძარღვიც კი არ ტოკავს ქართული. იქნებ საქართველოში დარჩენილი ბიძა, ბებია და რამოდენიმე არაჩვეულებრივი მეგობარი დამოძღვროს და დასავლეთში წაიყვანოს, თუნდაც იმიტომ, რომ მას ქართულ მიწაზე ფეხის დადგმის უფლებაც არ აქვს.

ქალბატონი ჟურნალისტის თინათინ (,,თინიკო“ სახლში დაუძახონ მოფერებით)ჩითინაშვილის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ინტერვიუს სათაურად ,,უსამშობლო ადამიანის ტრაგედიას“ წავუმძღვარებდი. სასწორის ერთ მხარეს დევს ოლიმპიადის დიპლომები,სტიპენდიები,მათემატიკური ფორმულების დაღარული თვინი,დაზეპირებული გერმანული სიტყვები, მეორე მხარეს კი სამშობლოს სიყვარულს გრძნობამოკლებული, ცივი, გაყინული და ამბიციური გული, რომელსაც არავითარი წონა არ გააჩნია.

იჩქარეთ, იჩქარეთ, იჩქარეთ! საქართველოს მოუშუშოთ იარა, მოურჩინოთ წყლული, მოვუაროთ საქართველოს! აქ მისი ერთგული შვილების ცრემლია, იქ მისი ერთგული შვილების სისხლი! საქართველო ცრემლსა და სისხლში იხრჩობა.

**ნანი ლეონიძე,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

## ბროლა ლორია

ასე ირხეოდა დრო და ასე მიდიოდა ხანი,
ასე დაგვიშორდა დრო და უეცრად მარტო დავრჩი,
ისევ გაიყინა თითქოს ჩვენი საუკუნე მდგარი,
ასე გაირინდა დრო და ასე შეიცვალა დარი.
ასე ითოვებდეს ნეტა, თოვლიც ძლიერი მოდის,
ისე ჩაგიხუტოთ მინდა, როგორც ყოველთვის მყავდით,
ისე მენატრებით ყველა , როგორც აქამდე მწვავდით,
მინდა აგიყვანოთ ხელში, როგორ ფერებაში მყავდით.
ნეტავ როდის მოვა ის დრო, წუთი შეხვედრის და წამი,
რომ ყველა ერთად ვიყოთ და გვქონდეს ერთი სახლი.
მალე გათენდება ალბათ, მოდის გაზაფხულის თალხი,
გარეთ გამოვდივარ მარტო, დრო კი წამებით გადის.
თოვლი მატულობს ისევ, ქარს მოაქვს სუსხი მდარი,
გათოშილი ვარ ძლიერ, დავდივარ ღმერთის მადლით,
ამ შეუპოვარ ყინვას გაადნობს ალბათ დარი,
ჩვენს ნაძვის ხესთან მოვალ, თქვენც ნაძვის ხესთან დამხვდით.

## შორენა დოლიძე

შემოძარცვია ხეებს ფოთლები,
ეს შემოდგომაც ჩაბარდა წარსულს,
მადლობელი ვარ ბედის და მაინც,
ვერ გამიგია, რა მინდა, რა მსურს.
ხმელი ფოთლები ქარს მიჰყვებიან,
მათი ფარფატი ჩემს მზერას ართობს,
სულის სიღრმემდე გამჯდარ სიცივეს
შენზე ფიქრი და ოცნება ათბობს.
დავხუჭავ თვალებს და წარმოვიდგენ,
რომ ჩემთანა ხარ, აქა ხარ თითქოს,
ვხედავ შენს თვალთა უძირო სიღრმეს,
ვგრძნობ შენი ნაზი ხელების სითბოს.
მომნატრებიხარ, როგორც არასდროს,
მიძინებული ნაღველი ბორგავს,
მალე ზამთარი კარზე მომდგარი
ხეებს ახალი სამოსით მორთავს.
მე კი კვლავ მარტო ვიქნები ალბათ,
წლები წლებს კეცავს, ცხოვრება მიჰქრის,
უშენოდ განვლილ დღეთა სიმრავლეს,
როგორ გავუძელ, თავადაც მიკვირს.
მოდი, სანამდე სიბერე მოვა,
და ახალგაზრდა სანამ გვერქმევა,
მოდი, გპირდები, ერთი აპრილი
დასასრულამდე კიდევ გვექნება.
მერცხლის ჭიკჭიკი კვლავ გაგვახარებს,
და მადლობელი დავრჩები ბედის,
ო, ჯერ მაცალეთ, ჯერ ჩემი დროა
და არ მამღეროთ სიმღერა გედის.
ეს ხვალე... დღეს კი გაყინულ ფანტელს,
გულში ჩავიკრავ, ნაზად გავათბობ,
მერე დავჯდები სადმე კუთხეში
და შენზე ფიქრებს ფურცლებს გავანდობ.

## ლუდა თაბაგარი

სადაც წავედი ჩემო ქვეყანავ,
ყველგან დამყვება შენზე ნაღველი,
წლები გავიდა და გავა კიდევ,
გავხდები ნეტავ შენი მნახველი?!
ოდითგან ქართველს ნოსტალგია ჰკლავს,
ქნარს ამღერებდა სევდიანს პაატა,
მამუქთ სიკვდილი სხვაგან ეწერათ,
სამშობლო მათთვის ხატება გახლდათ.
მაშინ დრო იყო ძალადობისა,
ერთ ხვედრს იყოფდა მეფე და გლეხი,
ოცნებად მხოლოდ რჩებოდათ ყველას,
მშობლიურ მიწას დაედგათ ფეხი.
წლები გავიდა... ყველა დაწყნარდა,
ცხოვრებამ მშვიდად დაიწყო დენა,
უცებ ჩამოწვა შავი აჩრდილი,
აჩრდილი, რამაც წაგვართვა ლხენა.
ოცნებად ისევ სამშობლო დარჩა,
ისევ განახლდა წარსულის წყლული,
გვმართებს მოთმენა, სულის სიმტკიცე,
არ გავიტეხოთ ქართველნო გული!

მკითხველის გვერდი

*აშშ-ში თებერვალი განსაკუთრებული თვეა — 12 რიცხვში აბრაამ ლინკოლნის დაბადების დღე აღინიშნება, 22-ში — ჯორჯ ვაშინგტონის, მათ შორის — 20-ში — კი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო დღესასწაული — პრეზიდენტების დღე. 22 თებერვალს, ჩვეულებისამებრ, დიდი ამერიკელი პრეზიდენტების დამსახურებებზე საუბრობენ. მაგრამ მიმდინარე წელს ეს ტრადიცია დაირღვა. წამყვანმა ისტორიკოსებმა, რომლებიც ამერიკელი პრეზიდენტების ცხოვრებასა და მოღვაწეობას იკვლევენ, ქვეყნის პირველი პირების მიერ დაშვებული ყველაზე საშინელი შეცდომების სია გამოაქვეყნეს.*

# 10 საშინელი შეცდომა, რომლებიც ამერიკის პრეზიდენტებმა დაუშვეს



## პრეზიდენტი, რომელსაც სურდა, ერწმუნა

ცუდის თქმა არც აშშ-ის 35-ე პრეზიდენტზე — **ჯონ ფ. კენედიზეა** (1961-1963) მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ მისი ინიციატივების (ისრაელსა და ჩინეთში ატომური იარაღის შექმნის პროგრამის აკრძალვის, სამხრეთ ვიეტნამში დემოკრატიის მხარდაჭერის მცდელობა და ა. შ.) უმეტესობას შედეგი არ მოჰქონდა, საზოგადოება მას ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს პრეზიდენტად მიიჩნევს. ამერიკელი ისტორიკოსების აზრით, **კენედის ინიციატივას 1961 წელს ფიდელ კასტროს რეჟიმის დასამხობად კუბელი ემიგრანტების გაგზავნის თაობაზე, პრეზიდენტების ყველაზე სერიოზული შეცდომების ჩამონათვალში მერვე ადგილი უნდა მიეკუთვნოს.** ფიდელის რეჟიმის დამხობის გეგმა კენედის გაპრეზიდენტებამდე მზადდებოდა, მაგრამ ოპერაციის დაწყების განკარგულება სწორედ მან გასცა. კენედის გულწრფელად სჯეროდა, რომ ღორების ყურეში კუბელი ემიგრანტების გადასხმა ფიდელ კასტროს წინააღმდეგ ამბოხების დასაწყისს საფუძველს ჩაუყრიდა.

**„ღორების ყურეში დესანტის წარუმატებელმა გადასხმამ კუბის გარშემო დაძაბულობის ესკალაცია გამოიწვია და კასტროსა და საბჭოთა კავშირის ალიანსი გააძლიერა, შედეგად, კუბაზე რაკეტების განლაგება შესაძლებელი გახდა. ამას კუბის კრიზისი მოჰყვა, რომელიც კინაღამ ატომურ ომში გადაიზარდა",** — ამბობს ისტორიკოსი შირლი უორში.



## პრეზიდენტი, რომელსაც ომი არ სურდა

ისტორიკოსთა აზრით, ყველაზე საშინელი შეცდომა, რომელიც ამერიკელ პრეზიდენტს ოდესმე დაუშვია, აშშ-ის ფარგლებს გარეთ თითქმის უცნობ **ჯეიმს ბიუკენენს** ეკუთვნის, რომელიც ქვეყანას 1857-1861 წლებში მართავდა. ისტორიკოსებმა სწორედ მას, ამერიკის **მე-15 პრეზიდენტს, დააკისრეს შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი დაპირისპირების — სამოქალაქო ომის — გაჩაღებაზე პასუხისმგებლობა.** ბიუკენენი, რომელიც მონათმფლობელობის მოწინააღმდეგე იყო, ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატების ურთიერთობაში წარმოქმნილ პრობლემებს უმნიშვნელოდ თვლიდა. მისი პრეზიდენტობის ისტორია სამხრეთის შტატებისთვის გამუდმებული დათმობების ისტორიაა. ამერიკელი ისტორიკოსი ჯინ ბეიკერი თვლის, რომ ბიუკენენი ღალატის გამო უნდა გასამართლდეს. სამხრეთელთა დაწყნარებას ბიუკენენი მას შემდეგაც კი ცდილობდა, როცა 1860 წლის მიწურულს კავშირიდან სამხრეთის რამდენიმე შტატი გავიდა. **ბიუკენენის განკარგულებით, ამბოხებულთა წინააღმდეგ კონტრღონისძიებები არ განხორციელებულა, რის გამოც სამხრეთელებს ძალების მოკრებისა და სამოქალაქო დაპირისპირების ახალი ძალით გაჩაღების საშუალება მიეცათ.**



## პრეზიდენტი, რომელსაც მშვიდობის დამყარება სურდა

**ვუდრო ვილსონის** — აშშ-ის 28-ე პრეზიდენტის (1913-1921) მოღვაწეობა, მიუხედავად იმისა, რომ მას 1919 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა, ამერიკელი ისტორიკოსების აზრით, **პირდაპირ იყო დაკავშირებული ნაციზმის აღმოცენებასთან, გერმანიის ხელისუფლების სათავეში ადოლფ ჰიტლერის მოსვლასა და მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან.** ვილსონმა მთავარი შეცდომა 1919 წელს დაუშვა, როცა პარიზში იმ მოლაპარაკებაზე ჩავიდა, რომელსაც პირველი მსოფლიო ომისთვის წერტილი უნდა დაესვა. იმხანად აშშ-ის კონგრესში უმრავლესობას პრეზიდენტის მოწინააღმდეგენი შეადგენდნენ, რომლებიც დელეგაციაში თავიანთი წარმომადგენლების ჩართვას მოითხოვდნენ. ვილსონმა მათ უარი განუცხადა. „ვერსალში რესპუბლიკელების არყოფნამ ერთა ლიგისა და ვერსალის ხელშეკრულების გერმანიის შეკავების მოკავშირეთა აპარატად გადაქცევას შეუწყო ხელი და არა მშვიდობის დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციად", — ამბობს პროფესორი ბენედიქტი. მას ბრაიან მარილოც ეთანხმება: **„ვილსონის გაჯიუტებამ ერთა ლიგის დამარცხება გამოიწვია, ამან კი, თავის მხრივ, ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლას შეუწყო ხელი".**



## პრეზიდენტი, რომელსაც ომი სურდა

აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი ომი ბრიტანეთთან ჰქონდა, რომელიც მეოთხე პრეზიდენტმა (1809-1817) **ჯეიმს მედისონმა** 1812 წელს გააჩაღა. **ომის დაწყების საბაბი ბრიტანელთა მიერ სხვა სახელმწიფოებისათვის დაწესებული სავაჭრო შეზღუდვები გახდა.** სინამდვილეში ამერიკელებს კანადაში ბრიტანელთა კოლონიების ხარჯზე თავიანთი ტერიტორიების გაფართოების იმედი ჰქონდათ. ბრიტანეთი, რომელიც ამ დროს ნაპოლეონს ეომებოდა, იძულებული იყო, ორ ფრონტზე ებრძოლა. მას, რა თქმა უნდა, გამარჯვების შანსი არ ჰქონდა, მაგრამ ომი კატასტროფად ამერიკისათვის იქცა. **მედისონმა თავი უნიჭო მთავარსარდლად გამოავლინა. ბრიტანელმა ჯარისკაცებმა აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპირო ბლოკადაში მოაქციეს, მერე კი რამდენიმე ქალაქი, მათ შორის ამერიკის ახალი დედაქალაქი — ვაშინგტონი, მიწასთან გაასწორეს.** ეს ომი გენტის შეთანხმებით დასრულდა, რომელმაც ომისწინა მდგომარეობა აღადგინა. ბრიტანელებმა დატოვეს აშშ-ის ოკუპირებული ტერიტორიები. ამერიკელებმა კი, თავის მხრივ, ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყეს კანადის ტერიტორიების მისამართით გამოთქმული პრეტენზიები.



## პრეზიდენტი, რომელსაც ომის დავიწყება სურდა

თუკი ბიუკენენის საკვანძო შეცდომა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ნებისმიერ ფასად ომის თავიდან აცილება იყო, მოკლული აბრაამ ლინკოლნის შემცვლელის, აშშ-ის მე-17 პრეზიდენტის **ენდრიუ ჯონსონის** (1865-1869) საბედისწერო შეცდომა ომის სწრაფად დავიწყების სურვილი აღმოჩნდა. ფედერალური ხელისუფლება ურთულესი ამოცანის წინაშე დადგა — თეთრკანიან სამხრეთელთა ნდობა და ლოიალურობაც უნდა დაებრუნებინა და, ამასთანავე, ყველა შტატში რასობრივი თანასწორობის დამყარებაზეც ეზრუნა. წარმოშობით სამხრეთელი **ჯონსონი, ამოცანის სირთულემ შეაშინა და მისი გადაწყვეტა ნაწილ-ნაწილ დაიწყო. თავდაპირველად — ლოიალურობა და ნდობა, მერე — თანასწორობა.** და სწორედ ეს იყო მისი მთავარი შეცდომა, რომლის სამწუხარო შედეგს, როგორც ისტორიკოსი მაიკლ ბენედიქტი ამბობს, ამერიკა დღემდე იმკის. ჩრდილოელთა პროტესტისა და კონგრესის წინააღმდეგობის მიუხედავად, სამხრეთელებს ისეთი კანონების მიღების უფლება მიეცათ, რომლებიც რასობრივ უთანასწორობას აწესებდა. **შედეგი: ზანგები 100 წელზე მეტი ხნით გამოემშვიდობნენ თანასწორობის იმედს; სამხრეთში მცხოვრებთ, რომლებიც დამარცხებას შეურიგდნენ, განუმტკიცდათ აზრი, რომ მათი საქმე სამართლიანია, ჩრდილოელებმა კი ისინი უფრო შეიძულეს.**



## პრეზიდენტი, რომელსაც ყველაფრის მოსმენა სურდა

აშშ-ის პრეზიდენტთა შეცდომების ჩამონათვალი უოტერგეიტის სკანდალის გარეშე სრული არ იქნებოდა. ისტორიკოსების აზრით, უოტერგეიტი ყველაზე სულელური შეცდომა იყო. **რიჩარდ ნიქსონს** — აშშ-ის 37-ე პრეზიდენტს (1969-1974), წესით, ეჭვის საფუძველი არ უნდა ჰქონოდა, რომ 1972 წელს პრეზიდენტის პოსტზე ხელმეორედ არ აირჩევდნენ. მის აქტივში იყო ამერიკელთა გადასხდომა მთვარეზე, ჩინეთთან ურთიერთობის აღდგენა და ვიეტნამში ომის ფაქტობრივი დასრულება. წინასაარჩევნო გამოსვლიდან მე-11 დღეს მან 49 შტატში გაიმარჯვა. ყველაფრის მიუხედავად, **ნიქსონის თანხმობით, მისი თანამოსაგრეები სასტუმრო „უოტერგეიტის" კომპლექსში განთავსებული დემოკრატების შტაბში შეიჭრნენ,** მაგრამ აქცია წარუმატებლად დასრულდა — ისინი პოლიციელებმა დააკავეს. ერთი თვის შემდეგ, როდესაც პრესა უოტერგეიტის საქმეში თეთრი სახლის მონაწილეობაზე ალაპარაკდა, **ნიქსონმა სიმართლის დასაფარავად ყველა ხერხს მიმართა, და სისხლის სამართლის დანაშაულის თანამონაწილე გახდა. აგორებულმა სკანდალმა ნიქსონს პრეზიდენტის პოსტი დააკარგვინა, ამერიკას კი სირცხვილი აჭამა.** „დაინგრა პოტენციურად უდიდესი პრეზიდენტობა", — ამბობს ისტორიკოსი რობერტ ლევი.



## პრეზიდენტი, რომელსაც ვაჭრობა არ სურდა

აშშ-ის მესამე პრეზიდენტის **თომას ჯეფერსონის** (1801-1809) სახელი შეცდომებთან იშვიათად ასოცირდება, უფრო — პირიქით. მან, აშშ-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორმა, 1803 წელს, უკვე პრეზიდენტის რანგში, ნაპოლეონისაგან ლუიზიანა შეისყიდა. ყველაფრის მიუხედავად, თომას ჯეფერსონს ისეთი შეცდომა აქვს დაშვებული, რომ პრეზიდენტების ყველაზე სერიოზული შეცდომების ჩამონათვალში მეშვიდე ადგილზე მოხვდა.

1807 წელს **ჯეფერსონმა ეგრეთ წოდებული ემბარგოს შესახებ კანონის მიღებას მიაღწია, რომელიც ამერიკული პროდუქციის უცხოურ პორტებში შეტანასა და უცხოური გემებით გადაზიდვას კრძალავდა,** ამით აშშ-ის პრეზიდენტს იმ ანალოგიური გადაწყვეტილების წინააღმდეგ გალაშქრება სურდა, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ერთმანეთთან დაპირისპირების დროს რომ მიიღეს. ბრიტანეთმა და საფრანგეთმა თავიანთი წესები მაინც არ გააუქმეს, **ამერიკის ეკონომიკას კი ამ კანონმა უდიდესი ზარალი მიაყენა — ქვეყანა კონტრაბანდული პროდუქციით გაავსო, ხოლო უმუშევრად დარჩენილი მეზღვაურები კანადაში გაიქცნენ და ბრიტანეთის ფლოტში ჩაეწერნენ.** „ეს კანონი რწყილის მიერ თავის მოკვლის მუქარით ძაღლების ბრძოლის შეჩერების მცდელობას ჰგავდა", — ამბობს ფორესტ მაკდონალდი თომას ჯეფერსონის მოღვაწეობის ამ პერიოდის შეფასებისას.



## პრეზიდენტი, რომელსაც ვაჭრობა სურდა

ამერიკის მე-40 პრეზიდენტის **რონალდ რეიგანის** (1981-1989) სურვილს ნიკარაგუაში ხელისუფლების შეცვლის თაობაზე ამერიკელი ისტორიკოსები შეცდომად არ თვლიან. მათთვის უფრო მნიშვნელოვანი ის მეთოდებია, რომლებითაც რეიგანს მიზნის მიღწევა სურდა. საუბარია ცნობილ სკანდალზე, რომელიც **ირან-კონტრასის**, ანუ, უბრალოდ, **ირან-გეიტის** სახელითაა ცნობილი. პრეზიდენტმა კანონი ორჯერ დაარღვია — თავდაპირველად აშშ-ის მიერვე დაწესებული სანქციების გვერდის ავლით ირანს იარაღის მსხვილი პარტია მიჰყიდა. შემდეგ განკარგულება გასცა, ამ ფულით ნიკარაგუელი ამბოხებულები დაეფინანსებინათ, რაც აგრეთვე აკრძალული იყო კონგრესის მიერ. „ირანგეიტს ისეთი ცვლილებები და პრეზიდენტის ძალაუფლების შეკვეცა არ გამოუწვევია, როგორც უოტერგეიტს, მაგრამ **სკანდალმა პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი საზოგადოებრიობის ნდობის აღდგენის პროცესი შეაფერხა",** — ამტკიცებს პროფესორი მეტიუ დიკინსონი. და, რა თქმა უნდა, აშშ-ის იმიჯიც ძლიერ შეილახა: **ტერორისტული სახელმწიფოსათვის იარაღის მიყიდვამ და მიღებული თანხის უკანონოდ გამოყენებამ ქვეყნის რეპუტაციას სერიოზული დარტყმა მიაყენა.**



## პრეზიდენტი, რომელსაც ომის დამთავრება სურდა

ჯონ ფ. კენედის მკვლელობის შემდეგ აშშ-ის 36-ე პრეზიდენტად (1963-1969) **ლინდონ ჯონსონი** აირჩიეს. მართალია, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ვიეტნამის საშინაო საქმეებში ჩარევას უარყოფითად აფასებდა, მაგრამ პრეზიდენტად გახდომის შემდეგ **ამ ქვეყნიდან ამერიკელი სამხედროები არათუ გამოიყვანა, არამედ იქ 200 ათასი სამხედრო მოსამსახურე მიავლინა და სისხლისმღვრელი ომი გააჩაღა.** ამასთანავე, ჯონსონმა ვიეტნამში ჯარის გაგზავნის გადაწყვეტილება მანამდე მიიღო, ვიდრე საზოგადოებას ამის საჭიროებაში დაარწმუნებდა. **შედეგი: პირადად ჯონსონისადმი ნდობის დაკარგვა და, რაც მთავარია, აშშ-ის ყველა მომდევნო პრეზიდენტისათვის „უდანაშაულობის პრეზუმფციის", ანუ „პატიოსნების პრეზუმფციის" ჩამორთმევა.** პროფესორ რიჩარდ პაიოსის აზრით, ჯონსონმა ცუდ ადგილას ცუდი ომი წამოიწყო და ამით აზიის, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების გონებისა და გულებისკენ მიმავალი გზა საბჭოთა და ჩინელ კომუნისტებს გაუხსნა.



## პრეზიდენტი, რომელსაც სიყვარული სურდა

აშშ-ის 42-ე პრეზიდენტის **ბილ კლინტონის** სექსუალურ თავგადასავლებს არა მარტო ისტორიკოსები, არამედ პოლიტიკოსები, იუმორისტები და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის რიგითი მოქალაქეები გაიხსენებენ. რა თქმა უნდა, უდიდესი შეცდომების სიაში მონიკაგეიტის არმოხსენიება შეუძლებელი იყო — თუმცა, მას ბოლო, მეათე ადგილი მიაკუთვნეს. **„მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებულ სკანდალს სამთავრობო პოლიტიკაზე გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ მან ჩვენი პრეზიდენტიც გააუფასურა და ჩვენი მორალიც",** — ამბობს ისტორიკოსი რიჩარდ პაიოსი. სხვა მეცნიერთა აზრით, **მონიკაგეიტმა** ამერიკაზე გაცილებით დიდი გავლენა იქონია. კლინტონი მთელი თავისი მეორე საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში გარდაუვალი იმპიჩმენტის შესახებ მოარული ხმებით იყო პარალიზებული. იმპიჩმენტის თავიდან აცილება მან მხოლოდ დემოკრატთა მკაცრი პარტიული დისციპლინის წყალობით შეძლო. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ კლინტონამდე არცერთ მმართველ პარტიას, რომელსაც შეეძლო ეკონომიკაში, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მიღწეული ასეთი წარმატებებით ეტრაბახა, საპრეზიდენტო არჩევნები არ წაუგია. ექსპერტები თვლიან, რომ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში უმცროსი ჯორჯ ბუშის გამარჯვების საქმეში კლინტონმა უდიდესი წვლილი შეიტანა.

# დაწყევლილი პრეზიდენტები

**1944 წლის ნოემბრის ადრიანი დილით ვაშინგტონელი მაღალი წრის ქალბატონის ჯინ დიქსონის ბინაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. რეკავდნენ თეთრი სახლიდან დიქსონს აცნობეს, რომ მასთან შეხვედრა სურდა პრეზიდენტ რუზველტს. ჯინ დიქსონის პროფესია წინასწარმეტყველება იყო. ლეგენდას თუ დავუჯერებთ, მას, სულ პატარა, 8 წლის გოგონას მკითხავმა ბოშა-ქალმა უთხრა, რომ დიდი წინასწარმეტყველი გახდებოდა, და არც შემცდარა. პირველი პოლიტიკური პროგნოზი დიქსონმა ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გააკეთა: მაშინ ჰუვერი პრეზიდენტად აირჩიეს.**

## დიდი ბელადის სიკვდილი

პრეზიდენტმა **რუზველტმა** დიქსონი თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მიიღო. მასპინძელი კარგ გუნებაზე იყო და, ჩვეულებისამებრ, გულგახსნილად დახვდა სტუმარს.

ყველამ, ვინც პრეზიდენტს ახლოს იცნობდა, იცოდა, რომ ეს გულგახსნილობა პროფესიული ოპტიმიზმის გამოვლენა იყო, რასაც დიდი ნებისყოფის შედეგად აღწევდა — ბოლო ხანს მას ჯანმრთელობა საგრძნობლად შეერყა. ექიმები ურჩევდნენ, თავი დაენებებინა სახელმწიფო მოღვაწეობისთვის და უფრო ზომიერი ჰავის მქონე რეგიონში გადასულიყო საცხოვრებლად. მაგრამ მათ რჩევას პრეზიდენტმა ყური არ ათხოვა, არც ამერიკის მოქალაქეებს წარმოედგინათ სხვა ვინმე რუზველტის თანამდებობაზე, რომელიც მეოთხე ვადით აირჩიეს.

საზოგადოებრიობამ არ იცოდა, რა მძიმე სენით იყო დაავადებული მათი ქვეყნის პრეზიდენტი. ეს დღესაც უცნობია. ცნობარებში მითითებულია, რომ ფეხების დამბლა მას 7 წლის ასაკში პოლიომიელიტით დაავადების შემდეგ დაემართა, რაც ტბაში ბანაობამ გამოიწვია. თუმცა, თანამედროვე ექიმები მიიჩნევენ, რომ რუზველტი იშვიათი დაავადებით — გიიენ-ბარის სინდრომით იტანჯებოდა. დღეს ეს სინდრომი განკურნებადია, გამორიცხული არ არის პაციენტის გამოჯანმრთელება იმდენად, რომ მან შეძლოს მისდიოს სპორტს.

ფრანკლინ რუზველტმა კი იცოდა, რომ მის ავადმყოფობას არაფერი ეშველებოდა, მაგრამ მაინც ცდილობდა, ჰიდროთერაპიით ემკურნალა და რეგულარულად ჩადიოდა ჯორჯიის წყლის კურორტზე ვორმ-სპრინგსში. ყოველი ასეთი ვიზიტის შემდეგ იგი ჟურნალისტებს და ფართო საზოგადოებრიობას არწმუნებდა, რომ თავს შესანიშნავად გრძნობდა. ნებისყოფის ზეადამიანური დაძაბვით, მათ თვალწინ რამდენიმე ნაბიჯის დამოუკიდებლად გადადგმას ახერხებდა. მხოლოდ მისმა უახლოესმა ადამიანებმა იცოდნენ, რომ საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის პრეზიდენტის ფეხები სპეციალური რკინის კავებით იყო შეჯავშნული. კინოკადრებსა და ფოტოსურათებში იგი ზოგჯერ ყავარჯნებზე დაყრდნობილია აღბეჭდილი, მაგრამ არასოდეს — ინვალიდის სავარძელში ჩამჯდარი. განსაკუთრებით პასუხსაგებ შემთხვევებში რუზველტი თავისი ერთ-ერთი ვაჟის ან რომელიმე თანაშემწის მხარს დაეყრდნობოდა ხოლმე.

პრეზიდენტის ავადმყოფობის ისტორიის გამოქვეყნება იმ დროს მიღებული არ იყო და ამიტომ ამერიკელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ რუზველტი მძიმედ ავად იყო.

ჯინ დიქსონთან შეხვედრის წინა პერიოდში ავადმყოფობამ უფრო დარია ხელი, იგი თვალშისაცემად გახდა, დასუსტდა. არადა, წინ დიდი საქმეები ედო: ამერიკა მაშინ ორ ფართომასშტაბიან ომს აწარმოებდა — წყნარ ოკეანესა და ევროპაში; მოსაგვარებელი იყო ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის, ომით დაზარალებული ქვეყნების აღდგენის და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები.

მაშ ასე: ერთმანეთს ხვდებიან პრეზიდენტი და მკითხავი. თეთრი სახლის მასპინძელი მისალმებისთანავე ეკითხება ჯინ დიქსონს:„რა დრო დამრჩა იმ საქმეებისთვის, რომლებიც უნდა მოვაგვარო?“ სტუმარმა ნებართვა სთხოვა, „ვიბრაციის“ გასაგებად ხელისგული მის ხელზე დაიდო. ამ გზით მიღებულმა ინფორმაციამ დააბნია წინასწარმეტყველი, მას აშკარად ნირი წაუხდა. მაგრამ პრეზიდენტმა დაჟინებით მოითხოვა



ჯინ დიქსონი



აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი



1961 წელი: პრეზიდენტი ჯონ კენედი (მარცხნივ), რომელიც მკვლელის ტყვიამ 1963 წელს განგმირა

პასუხი და მიიღო კიდეც: „არაუმეტეს ექვსი თვისა“.

რუზველტი შეძრა ამ ცნობამ. რამდენიმე წუთს ხმა არ გაუღია. შემდეგ მოერია სტრესს და **ჰკითხა, როგორ უნდა მოქცეოდა რუსეთს, რომელსაც „აღმოსავლეთის ტირანი“ განაგებდა? დიქსონმა უპასუხა, რომ ომის შემდეგ რუსეთი, სამწუხაროდ, აშშ-ის მოკავშირე აღარ იქნებოდა, მაგრამ უფრო შორეულ მომავალში ორი ერი დამეგობრდებოდა.**

**პრეზიდენტი, რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა მოახლოებულ აღსასრულზე ფიქრი, კვლავ შეეკითხა დიქსონს: „რამდენი წელიწადი დამრჩა საქმის დასამთავრებლად?“ „ბატონო პრეზიდენტო, ეს დრო წლებით არ განისაზღვრება. არაუმეტეს ექვსი თვისა“, — უპასუხა წინასწარმეტყველმა.**

მეორედ დიქსონი თეთრ სახლში 1945 წლის თებერვალში მიიწვიეს. როგორც კი პრეზიდენტს შეხედა, იგი მიხვდა, რომ სიკვდილს არცერთი ნაბიჯით უკან არ დაეხია. რუზველტმა პირდაპირ ჰკითხა: „აბა ახლა რამდენი დრო დამრჩა?“ დიქსონმა აღმართა ხელი და ორი თითით — ცერათი და საჩვენებლით დაანახა: „აი, ამდენი“. მანძილი თითებს შორის დიუმზე მეტი არ იყო.

რუზველტმა მწუხარებით დაუქნია თავი, — გავიგეო, მაგრამ ჩანდა, რომ მაინცდამაინც არ შეწუხებულა. „ცოტაა“, — აღმოხდა. „უფრო ცოტა, ვიდრე ჩვენ გვინდა“, — დაუდასტურა დიქსონმა. პრეზიდენტმა კვლავ ომის შემდგომ პოლიტიკაზე წამოიწყო ლაპარაკი, თანაც — კვლავ რუსეთზე. **დიქსონმა ურჩია, „არ დაეთმო სტალინისათვის, რისი არდათმობაც კი შეიძლებოდა“.**

თებერვალში რუზველტი იალტაში გაემგზავრა მოკავშირეთა კონფერენციაში მონაწილეობისათვის. **12 აპრილს კი ვორმ-სპრიგსში გარდაიცვალა, ჯინ დიქსონთან პირველი შეხვედრის შემდეგ ექვსი თვის თავზე.**

მისი სიკვდილი მოულოდნელი იყო აშშ-ის მოკავშირეებისთვის და მტრებისთვისაც.

ამერიკელთა ლიდერის გარდაცვალება ჰიტლერმა და გებელსმა, რომლებიც გარდუვალი კრახის მოლოდინში ბუნკერში იმალებოდნენ, კეთილ გამოცხადებად მიიღეს, იმის მანიშნებლად, რომ გამეორდებოდა „ბრანდენბურგის სახლის სასწაული“, და როგორც 1761 წლის 25 დეკემბერს რუსეთის იმპერატრიცა ელიზავეტას გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრემ პეტრე III გოლშტეინ-გოტოპმა დაუყოვნებლივ შეწყვიტა შვიდწლიანი ომი პრუსიის წინააღმდეგ, 1945 წლის აპრილშიც რუზველტის გარდაცვალებას გერმანიის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დამთავრება მოჰყვებოდა. „დიდი მისტიკოსები“ მწარედ შეცდნენ, სტალინის არმია აპრილის ბოლოს უკვე ბერლინის ცენტრში იყო და რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ფრიალებდა...

1940 წელს მესამე ვადით არჩეული პრეზიდენტი — „დიდი ბელადი“ — მოვალეობის შესრულებისას გარდაიცვალა. ასე ახდა ინდიელთა წყევლა მეექვსედ.

ამ წინადადების განმარტებისთვის სპეციალური ექსკურსის გაკეთება დაგვჭირდება.

1812 წელს ინდიელთა შაუნის ტომის შამანმა **ტენქსვატავამ** წარმოთქვა ავბედითი წინასწარმეტყველება, რომლის მიხედვით, ამერიკის პირველი პრეზიდენტი, რომელიც მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპებოდა, იქნებოდა **უილიამ ჰენრი ჰარისონი.** წინასწარმეტყველება ახდა: 1841 წლის 7 მარტს საინაუგურაციო სიტყვის წარმოთქმის დროს ჰარისონი გაცივდა და ზუსტად ერთი თვის თავზე — 7 აპრილს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.

ტენკსვატავამ იწინასწარმეტყველა, რომ ამერიკელთა ყველა „დიდი ბელადი“, რომლებიც ამის შემდეგ 20 წლის ინტერვალით იქნებოდნენ არჩეულნი, ასევე პრეზიდენტობისას დაიღუპებოდნენ.

1865 წლის 14 აპრილს, მსახიობმა ჯონ ბუტმა თეატრში ესროლა პრეზიდენტ **აბრაამ ლინკოლნს**, რომელიც მეორე დღეს გარდაიცვალა.

ლინკოლნის პირველად არჩევიდან 20 წლის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი გახდა **ჯეიმს გარფილდი**. 1881 წლის 2 ივლისს იგი სასიკდვილოდ დაჭრეს ვაშინგტონის რკინიგზის სადგურის ნახევრადცარიელ მოსაცდელ დარბაზში. იგი 19 აგვისტოს გარდაიცვალა.

1900 წელს მეორე ვადით არჩეული პრეზიდენტი **უილიამ მაკკინლი** შამანის დეფინიციაში მოხვდა. იგი 1901 წლის 14 სექტემბერს თავდასხმის დროს მიყენებული ჭრილობით გამოწვეული სისხლის მოწამვლისგან გარდაიცვალა.

1920 წელს არჩეული პრეზიდენტი **უორენ ჰარდინგი** 1923 წლის 2 აგვისტოს მოწამვლისგან დაიღუპა. სავარაუდო ვერსიებს შორის თვითმკვლელობასაც ასახელებდნენ. საბოლოო პასუხი დღემდე უცნობია.

## მეშვიდე მსხვერპლი

ჯინ დიქსონის ყველაზე ცნობილი წინასწარმეტყველება პრეზიდენტ **ჯონ კენედის** ეხება. 1952 წელს ჟურნალ Parade-ისთვის მიცემულ ინტერვიუში დიქსონმა განაცხადა, რომ 1960 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს ცისფერთვალება დემოკრატი, რომელსაც უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ან მოკლავენ, ან ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვლება. ცისფერთვალება დემოკრატი ჯონ კენედი იმ დროს სენატორიც კი არ იყო. ინტერვიუ გამოქვეყნდა 1956 წლის მაისში. მეორე ვერსიით, დიქსონს თეთრი სახლის ფონზე გამოეცხადა ჯონ კენედი, შენობის თავზე კი კიაფობდა რიცხვი — 1960. შემდეგ ცა შავმა ღრუბელმა დაფარა, რომლიდანაც გადმოიღვარა თქეში და წაშალა ციფრები.

დამაფიქრებელი დამთხვევებია. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ **დიქსონმა ბევრი შეცდომაც დაუშვა. მაგალითად, ის, რომ მთვარეზე პირველად საბჭოთა კოსმონავტები დაადგამდნენ ფეხს, რომ მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა 1958 წელს და სხვა...**

**1963 წლის დასაწყისში დიქსონი თავის მეგობრებს ეუბნებოდა, რომ ხედავს კუბოს თეთრ სახლში, რომ უბედურება სამხრეთში დატრიალდება და რომ მისი თავიდან აცილება შეუძლებელია.**

ერთხელ კინაღამ წამოსცდა თავისი ეს წინასწარმეტყველება რადიოში გადაცემული თოქ-შოუს დროს, მაგრამ წამყვანმა დაარწმუნა, რომ არაფერი ეთქვა. 22 ნოემბერს, როცა იგი მეგობრებთან ერთად სადილობდა, დალასიდან მოვიდა შემზარავი ცნობა ჯონ კენედიზე თავდასხმის შესახებ. ჟურნალისტები ამ ინფორმაციის გადმოცემისას იმედოვნებდნენ, რომ პრეზიდენტი შეიძლება გადარჩენილიყო. დიქსონმა ეს ამბავი რომ გაიგო, გაფითრდა და განაცხადა, რომ პრეზიდენტი მკვდარია.

დიქსონი ერთადერთი არ იყო, ვინც კენედის მკვლელობა იწინასწარმეტყველა. 1962 წელს ცნობილმა მედიუმმა **არტურ ფორდმა** სპირიტული სეანსის დროს გამოიხმო სახელგანთქმული ილუზიონისტის ჰარი გუდინის სული, რომელმაც მას ტრაგიკული ამბავი აცნობა. სეანსს ესწრებოდა სენატორი ჯონ მაკლეინი, რომელმაც ეს ფაქტი დაადასტურა.

ჯინ დიქსონმა მეორე ძმის სიკვდილიც იწინასწარმეტყველა. 1968 წლის დასაწყისში, მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობის შემდეგ, მან, როგორც ამბობენ, თქვა: „შემდეგი იქნება რობერტ კენედი“. 28 მაისს ლოს-ანჯელესის სასტუმრო „ამბასადორში“ გამართულ კონფერენციაზე მან გაიმეორა ეს წინასწარმეტყველება. ერთი კვირის შემდეგ **ამავე სასტუმროში მოკლეს რობერტ კენედი**. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც რობერტმა კალიფორნიაში პირველადი არჩევნები მოიგო.

ჯონ კენედი ინდიელი შამანის მეშვიდე მსხვერპლი იყო.

## მისტიკოსი პრეზიდენტი

ეს იყო **რონალდ რეიგანი**. მას სჯეროდა, არმაგედონი და განკითხვის დღე მოახლოებული იყო და საჯაროდ აცხადებდა, რომ მისი თაობა, ალბათ, უკანასკნელი იქნებოდა დედამიწაზე...

დღეს უკვე აღარ ახსოვთ, რომ საბჭოთა კავშირს მან „ბოროტების იმპერია“ პოლიტიკური მოტივით კი არ უწოდა, არამედ იმიტომ, რომ იქ ათეისტები განაგებდნენ ქვეყანას. ეს მოხდა ქრისტიანი ევანგელისტების ეროვნული ასოციაციის ყოველწლიურ ყრილობაზე, რომელიც 1983 წელს გაიმართა, სადაც იგი აბორტების წინააღმდეგ გამოვიდა. რეიგანს სჯეროდა, რომ მართლაც არსებობს „მფრინავი თეფშები“, ამბობენ, რომ მისი „ვარსკ-ვლავური ომების“ პროგრამა სინამდვილეში მიმართული იყო დედამიწის დასაცავად უცხოპლანეტელთა შემოჭრისაგან.

რეიგანის ადმინისტრაციის ჩინოვნიკების განცხადების თანახმად (მაგალითად, თეთრი სახლის აპარატის შეფის დონალდ რიგანის და სხვების), **რეიგანის დღის განრიგი ასტროლოგიური პროგნოზების საფუძველზე დგებოდა,** ხოლო მისი პირადი ასტროლოგი ჯოან კუიგლი ადასტურებს, რომ რთულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წინ პრეზიდენტი ყოველთვის კითხულობდა: „რას ამბობს ჯოანი?“ პრეზიდენტის გრაფიკის შედგენაზე პასუხისმგებელი ადამიანები ხელმძღვანელობდნენ კალენდრით, რომელზეც ჯოანის მიერ მწვანე ფერით კეთილსასურველი,



1981 წლის მარტი: თავდასხმა პრეზიდენტ რეიგანზე


პრეზიდენტი ჯორჯ ბუში; ფოტო გადაღებულია მაშინ, როცა იგი კინაღამ დაიხრჩო ყელში გადაცდენილი კრენდელით (2002 წლის 14 იანვარი)

ყვითლით — ნეიტრალური და წითლით — არაკეთილსასურველი დღეები იყო აღნიშნული. **1968 წელს რეიკიავიკში გორბაჩოვთან შეხვედრის წინ რეიგანმა ქალბატონ ჯოანს საბჭოთა ლიდერის ჰოროსკოპის შედგენა დაუკვეთა. ჯოანმა უწინასწარმეტყველა, რომ პრეზიდენტსა და გენერალურ მდივანს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდებოდა და ორივენი მსოფლიოს ბირთვული ომის კოშმარისგან იხსნიდნენ.**

რეიგანი ჯოანს განსაკუთრებით მას შემდეგ ენდობოდა, რაც ამ უკანასკნელმა გააფრთხილა, არ გასულიყო ხალხში 1981 წლის 30 მარტს, როცა მას თავს დაესხნენ. მაშინ წინასწარმეტყველებას, რომელიც პრეზიდენტს მესამე პირმა გადასცა, რეიგანმა ყურადღება არ მიაქცია. **თავდამსხმელის ნასროლი ტყვია პრეზიდენტის გულს მილიმეტრებით ასცდა.**

სიცოცხლის ბოლო წლებში რეიგანი საზოგადოებას განერიდა და მეუღლესთან, ნენსი რეიგანთან ერთად განმარტოებით ცხოვრობდა ლოს-ანჯელესში. აშშ-ის მე-40 პრეზიდენტი 2004 წლის 5 ივნისს გარდაიცვალა.

ერთი შეხედვით, რეიგანის ბედი თითქოს წყვეტს ინდიელი წინასწარმეტყველის მიერ მოხაზულ საბედისწერო წრეს, მაგრამ თავდასხმა მაინც იყო და პრეზიდენტი სასწაულებრივ გადარჩა. ამასთანავე, არის მოსაზრება, რომ ალცჰეიმერის განუკურნებელი სენით რეიგანი ჯერ კიდევ პრეზიდენტობის დროს დაავადდა (ამას ადასტურებს უამრავი ფაქტი, როცა ავიწყდებოდა, რა თქვა, ან ვის ელაპარაკებოდა. ერთხელ, მაგალითად, როცა ცნობილი საბჭოთა დისიდენტი ნათან შჩარანსკი მიიღო, რატომღაც იგი სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად ედუარდ შევარდნაძედ აღიქვა და სთხოვა, დისიდენტ შჩარანსკისთვის ისრაელში ჩასვლის ნება დაერთო. ამ ფაქტის შესახებ თავად შჩარანსკი მოუყვა ქართველ ჟურნალისტებს 1998 წლის 15 იანვარს იერუსალიმში, პრემიერმინისტრის კანცელარიაში სახელდახელოდ ჩამორთმეულ ინტერვიუში). ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეიგანის ბიოგრაფები ასკვნიან, რომ გონების დაკარგვით, მან გარდაცვალება თანამდებობაზე ყოფნის დროს დაიწყო

## წინ კიდევ სამი წელიწადია

**ჯორჯ ბუში**-უმცროსის გაპრეზიდენტების მე-18 დღეს, 2001 წლის 7 თებერვალს, თეთრი სახლის დაცვამ ძალის გამოყენებით (ფეხში დაჭრეს) სამხრეთ-დასავლეთ ჭიშკართან განაიარაღა 47 წლის რობერტ პიკეტი, ინდიანას შტატიდან, საგადასახადო საქმის სპეციალისტი, რომელიც სამსახურში შექმნილი პრობლემების გამო პრეზიდენტზე თავდასხმას აპირებდა. ინციდენტამდე საათ-ნახევრით ადრე პრეზიდენტმა თეთრი სახლის სწორედ სამხრეთის მდელოზე გამართა საგადასახადო გეგმის მორიგი პრეზენტაცია.

უცნაური დამთხვევაა.

შემდგომშიც ექვსჯერ დააპირეს თეთრ სახლში შეჭრა: 2003 წლის 10 ნოემბერს კერძო თვითმფრინავმა დაარღვია ვაშინგტონის თავზე ფრენისთვის აკრძალული ზონა; 2004 წლის 25 თებერვალს შავსათვალიანი მამაკაცი გადაახტა ღობეს და მოასწრო თეთრ სახლამდე ნახევარი მანძილის გარბენა, სანამ მოდარაჯე ძაღლმა მიწაზე არ დააგდო; იმავე წლის 15 ნოემბერს იემენელი **მოჰამედ ალანი** შეეცადა, თავი დაეწვა თეთრი სახლის ჭიშკართან; 2005 წლის 18 იანვარს თეთრი სახლის გარშემო უშიშროების რეჟიმის ზონა დაარღვია წითელმა მიკროავტობუსმა, რომლის საჭესთან იჯდა ოჯახური უსიამოვნებით გამწარებული კაცი, რომელიც პრეზიდენტის რეზიდენციისთვის ცეცხლის წაკიდებით იმუქრებოდა; დასასრულ, 2005 წლის 4 დეკემბერს თეთრი სახლის ღობეს გადაახტა 29 წლის **შაუნ კოქსი**. ამ სულელმა, თურმე, არც იცოდა, რომ აშშ პრეზიდენტი ბილ კლინტონი აღარ იყო, არადა, იგი სწორედ კლინტონის ქალიშვილისთვის — ჩელსი კლინტონისთვის აპირებდა ცოლობა ეთხოვა.

საქმეში ჩახედული სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ გამწარებული თუ არანორმალური ადამიანების მიერ თეთრ სახლში შეღწევის მცდელობა ადრეც უამრავი იყო, მაგრამ ასეთი შემთხვევების რიცხვმა განსაკუთრებით ბუშის პრეზიდენტობის პერიოდში იმატა.

მთავარი მოვლენა, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, 2001 წლის 11 სექტემბერს ალ-ქაიდას მიერ განხორციელებული ტერაქტია, რომლის ერთ-ერთი მიზანი პრეზიდენტ ბუშის ლიკვიდაცია იყო: პენსილვანიაში აფეთქებული თვითმფრინავი თეთრი სახლისკენ მიფრინავდა.

**ჯერჯერობით პრეზიდენტი ბუში ყველა უბედურებას გადაურჩა. მაგრამ წინ კიდევ 3 წელიწადია.**

*მოამზადა*
**არმაზ სანებლიძე**


ისინი თეთრ სახლში შეღწევას აპირებდნენ: ბრაიან პატერსონის (ზევით) და შაუნ კოქსის დაკავების მომენტები

# „რიკო ინტერნეშენელი" ქართველ ბიჭებს ამერიკაში მამლუქებად ყიდის!

<<< მე-6 გვერდიდან

მე კონფლიქტის შემდეგ, ლაშა ნიკოლაიშვილის ერთ-ერთ ხელქვეითს დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა, იგი საერთოდ გაუჩინარდა და მისი მობილური ტელეფონიც სამუდამოდ დადუმდა. **კრიმინალებმა სასტიკად სცემეს სამი ქართველი სტუდენტი... ლაშა ნიკოლაიშვილმა, რომელმაც საერთოდ აიღო ხელი მათზე, ბიჭებს ურჩია სამუშაოდ ნიუ-იორკში წასულიყვნენ, სადაც მათ დასაქმების მეტი შანსი ექნებოდათ. არადადგებზე, როცა მთელი მსოფლიო სტუდენტობა ნიუ-იორკს სამუშაოს შოვნის მიზნით აწყდება, ქართველები რას იზამდნენ, თანაც მცირე დროში? ჩვენთვის ნაცნობ სტუდენტს თვე-ნახევარიღა რჩებოდა. ნიკოლაიშვილი ნიუ-იორკის ერთ-ერთ გადამზიდავ კომპანიას დაუკავშირდა და სტუდენტს იქ ურჩია სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ფიზიკური შრომა და ტრაილერში ცხოვრება მოუწევდა, სტუდენტი მაინც გახარებული იყო, ფიქრობდა, ახლა მაინც შევძლებ „რიკოს" სესხისა და მშობლების მიერ ჩემთვის აღებული პროცენტიანი ვალების გადახდას, მაგრამ გაირკვა, რომ ლაშა ნიკოლაიშვილმა ატლანტიდან ბიჭი ტექნიკურად „მოტეხა". მან თავის ნაცნობს სთხოვა, რომ სტუდენტი კომპანიაში რამდენიმე დღით მიეღო... 7 დღის შემდეგ ბიჭს გასამრჯელო ქვითრებით კი არა, ქეშად (ნაღდი ფულით) გადაუხადეს, რამაც შემდგომში მას სამუშაოს პოვნისას დიდი პრობლემები შეუქმნა, რადგან ის აშშ-ის საგადასახადო სისტემასთან ანგარიშსწორებას ვერ აწარმოებდა და ყველა სამსახური ითხოვდა ცნობას, სადაც დაფიქსირებული ექნებოდა ან წინა სამსახური, ან ის ბინა, სადაც ის ლეგალურად ცხოვრობდა. გამოდის, რომ სახელმწიფოს გადასახადს ორივე ფირმა უმალავდა, ხოლო ბიჭი მათი წყალობით არალეგალურად ცხოვრობდა ნიუ-იორკში.** როდესაც სტუდენტმა კვლავ თხოვნით მიმართა ლაშა ნიკოლაიშვილს და თავისი მძიმე მდგომარეობა აუხსნა, ნიკოლაიშვილმა უპასუხა, რომ გადამზიდავ კომპანიაში მისთვის სამუშაო იმიტომ არ იყო, რომ მძღოლები უკმაყოფილონი იყვნენ ბიჭით; თუმცა, იმ 7 დღის მანძილზე, რაც სტუდენტმა იმუშავა, მხოლოდ 2 მძღოლი გაიცნო, - ერთი მათგანი ადრე წავიდა სამსახურიდან, ხოლო მეორესთან დღემდე შესანიშნავი ურთიერთობა აქვს. უბრალოდ, მათ თვითონვე ჰყავდათ საჭიროზე მეტი მუშახელი და კიდევ, თუნდაც ერთი ზედმეტი, არაფერში სჭირდებოდათ. ამის შემდეგ სტუდენტი კიდევ ერთხელ დაუკავშირდა ნიკოლაიშვილს, რომელსაც სრულიად დაავიწყდა თავისი მოვალეობა. ნიკოლაიშვილმა ახალგაზრდას ურჩია, გაზეთების საშუალებით ეძებნა სამუშაო, ან დაკავშირებოდა სპეციალურ ფირმებს, რომლებიც სამსახურით უზრუნველყოფდნენ. სპეცფირმების საფასურად პირველი თვის ხელფასს იღებდნენ. ბიჭი რომ დიდი ხნით დარჩენილიყო ნიუ-იორკში, მაშინ აზრი ჰქონდა პირველი თვის ხელფასის გადახდას, მაგრამ 45 დღით არც არავის უნდოდა მისი სამსახურში აყვანა; უბრალოდ, გამყიდველის ან მიმტანის ადგილზეც შესთავაზეს 10-14-დღიანი უხელფასო სამუშაო და სწავლება... როდესაც ლაშა ნიკოლაიშვილს მოახსენეს, რომ ნიუ-იორკში ასე მცირე დროით სამსახურის შოვნა გამორიცხული იყო, მან ჩამოსულ ბიჭებს ღია ტექსტით გამოუცხადა, - **რამდენი ხანიც გინდათ დარჩით, საკონსულოში და „რიკოში" ყველა საკითხს მე მოვაგვარებო. სტუდენტი ეჭვობს, რომ ესეც ეშმაკური შემოთავაზება იყო, რათა მას სავიზო რეჟიმი დაერღვია და მერე რაიმე პრეტენზიის უფლება არ ჰქონოდა. ამგვარად თურმე რამდენიმე მათგანი მოტყუვდა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დარჩა... ზოგს - „რიკოს" პრეზიდენტის მიერ გაცურებულს, ჰგონია, რომ სავიზო რეჟიმს არ არღვევს, ზოგს კი სხვა გზა არა აქვს, რადგან თბილისში „რიკო კრედიტის" ვალები აქვს გასასტუმრებელი.** „რიკო ინტერნეშენელის" მიერ აშშ-ში გაგზავნილი ახალგაზრდების ნაწილს იქ მცხოვრები ნაცნობები ეხმარებიან, ნაწილი კი უკან ბრუნდება დიდძალი ვალებით, მორალურად განადგურებული და შეურაცხყოფილი. **აშშ-ში დარჩენილებს „რიკო კრედიტი" ჯარიმის სახით 17 000 ლარს უწესებს,** ვისაც ეს თანხა არა აქვს, იძულებულია მათთანვე გირაოდ ჩადებული ბინა გაყიდოს და სესხი ისე გაისტუმროს. **მათ ჩივილის უფლებაც არ აქვთ, რადგან სავიზო რეჟიმი დაარღვიეს; ხოლო ახალგაზრდების ის ნაწილი, რომელსაც, მართალია, არა „რიკოს", არამედ აშშ-ში მცხოვრები ახლობლების დახმარებით იპოვა სამსახური, ერიდება „რიკო ინტერნეშენელთან" ბრძოლას, რადგან ფირმა მას ახლა 18-თვიან სამუშაო ვიზას გაუკეთებს აშშ-ში.** ცხადია, 18 თვეში ისინი „რიკო ინტერნეშენელის" დახმარების გარეშეც შეძლებენ ამერიკაში უკვე საკუთარი გაკვალული გზით სამსახურის შოვნას და ფულის დაგროვებას. ამიტომ ჯერჯერობით ჩუმად არიან.

„რიკო ინტერნეშენელი" გადასახადს ისედაც გაჭირვებულ მასაზე აკეთებს. აბა, მდიდარი და შეძლებული რატომ წავა აშშ-ში მუშად?

როდესაც ქართველმა სტუდენტმა საბოლოოდ დაკარგა აშშ-ში სამსახურის შოვნის იმედი, დოლარის ვალებით თბილისში ვადაზე ადრე დაბრუნდა, მაგრამ აქ მას კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდა... „რიკო ინტერნეშენელმა", რომელმაც ბილეთების დაჯავშნისთვისაც სოლიდური თანხა აიღო, განსაკუთრებული ფასდაკლებით დაჯავშნა ბილეთები, სადაც გამგზავრების ადგილად მკაცრად იყო მითითებული ამსტერდამი. სტუდენტის თხოვნაზე, რომ ატლანტა-ამსტერდამის ბილეთი გადაეცვალათ ნიუ-იორკ-ამსტერდამზე, საჭირო თანხის დამატებით, მას უპასუხეს, რომ ბილეთი ისეთი ფასდაკლებით იყო ნაყიდი, გადაცვლის შემთხვევაში უქმდებოდა!.. მას მოუწევდა ერთმხრივი ბილეთის აღება, მისი საფასური კი თითქმის ორმხრივი ბილეთის ტოლია... ამიტომ ბიჭს მოუწია ატლანტამდე 28 საათი ავტობუსით მგზავრობა, რათა თბილისში გამოფრენილიყო.

ამგვარად, **ნაცვლად იმისა, რომ აშშ-ში გამომუშავებითა და მუშაობით ქართველი სტუდენტი როგორმე დახმარებოდა ოჯახს, იგი კიდევ უფრო დიდ, პროცენტიან ვალში ჩაძირეს...**

ჯერ კიდევ სტუდენტის ატლანტაში ყოფნის დროს, როცა მშობლებმა „რიკოს" ქართველი ბიჭების გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ რამდენჯერმე მოახსენეს და ბოლოს იძულებული გახდნენ, ლაშა ნიკოლაიშვილისთვის წერილობითი განცხადებითაც კი მიემართათ, **„რიკოს" წარმომადგენლებმა სტუდენტის მშობლებს პრეტენზია იქით წაუყენეს,** თითქოს ბიჭი არასრულად მუშაობდა და ამერიკელ პარტნიორებს გამოაგზავნინეს „გაუგებრობა", რომლის თანახმადაც, სტუდენტს კვირაში მხოლოდ 24 საათი ჰქონდა ნამუშევარი. **„რიკოს" წარმომადგენლებს დაავიწყდათ, რომ მათი გადამკიდე ეგრეთ წოდებული „წარმატებული" სტუდენტიც კი ამერიკაში მშიერი რჩებოდა და იგი „რიკოს" ვალის დაფარვასაც ვერ ახერხებდა. მაგალითად, ერთ-ერთ სტუდენტს, რომელიც კვირაში 50 საათს მუშაობდა და თვეში 1200 დოლარს იღებდა, „რიკოს" განგარიშებით 600 დოლარი ხარჯებში მიუდიოდა... ხელზე 4 თვის განმავლობაში მას 2400 დოლარი რჩებოდა, რაც „რიკოს კრედიტსაც" ვერ ფარავდა.**

საინტერესოა, რა პასუხს გასცემენ „რიკო ინტერნეშენელი" და ლაშა ნიკოლაიშვილი ქვემოთ წარმოდგენილ შეკითხვებზე:

1. რამდენი სტუდენტი გაუშვით გასულ წელს აშშ-ში?
2. თუ შეიძლება, მათი გვარი, სახელი, მისამართი და ტელეფონი გვითხარით.
3. რამდენი დაბრუნდა უკან?
4. ყველანი ჩაეტივნენ სავიზო დროში?
5. გთხოვთ, იმათი მისამართები და გვარებიც გვითხრათ, ვინც დარჩა ან გადააცილა სავიზო პერიოდს!
6. რა ღონისძიებები გაატარა „რიკომ" დარჩენილების ან სავიზო რეჟიმის დამრღვევთათვის?
7. თქვენ გაგზავნილი სტუდენტებიდან ყველა თქვენი კომპანიის მიერ გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე მუშაობდა?
8. ხშირი იყო კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევები?
9. გთხოვთ, მოგვეცით მონაცემები, როდის და რა მიზეზით დატოვეს სტუდენტებმა სამუშაო.
10. როგორ იზრუნა „რიკომ" ან მისმა ამერიკელმა პარტნიორმა სამუშაოდან წამოსული სტუდენტების ბედზე?
11. ვინ არის თქვენი პარტნიორი აშშ-ში და როგორია თქვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულება?
12. რა თანხას იღებს „რიკო" თითოეულ სტუდენტისგან?
13. აქედან რამდენს უხდით თქვენს პარტნიორს აშშ-ში? (თუ შეიძლება ეს საბუთებიც გვიჩვენეთ!..)
14. გთხოვთ, მოგვეცით იმ ფირმების მისამართები და საკონტაქტო ტელეფონი, სადაც მუშაობდნენ სტუდენტები!
15. შეიძლება თუ არა, ენახოთ, წელს ვისთან გაქვთ გაფორმებული ხელშეკრულებები და რა პირობებით მოუწყვეთ ახალგაზრდებს მუშაობა?
16. გვაჩვენეთ და მოგვეცით თქვენი პარტნიორი სადაზღვევო კომპანიის კოორდინატები და სადაზღვევო პოლისების ასლები!
17. გვიჩვენეთ თქვენი ანგარიშსწორების საბუთები თქვენს პარტნიორებთან და სადაზღვევო კომპანიასთან!

***P. S.** დარწმუნებულნი ვართ, სამართალდამცავი ორგანოები თუ უკვე არ დაინტერესებულან, აუცილებლად დაინტერესდებიან, რა ხდება „რიკო ინტერნეშენელის" ოფისში. მართალია, ნიკოლაიშვილსა და მის პარტნიორებს საკმაო დრო ჰქონდათ, რომ თავიანთი სხვა შავბნელი და ე. წ. ლომბარდული საქმეები მიეჩქმალათ, ალბათ, სწორედ ამიტომაც დადის ამერიკაშიც და საქართველოშიც ლაშა ნიკოლაიშვილი ისეთი გაძლიერებული დაცვით, რომელიც ამერიკის პრეზიდენტსაც შეშურდება, ალბათ შიშს მართლაც დიდი თვალები აქვს, მაგრამ სამართლიან გამოძიებას წინ ვერაფერი დაუდგება.*

***თქვენ კი, ძვირფასო ახალგაზრდებო, არ ენდოთ ლაშა ნიკოლაიშვილსა და ქართველი ბავშვების გამყიდველ საგზაო ფირმას - „რიკო ინტერნეშენელს", რომელსაც არაფერი ჩვენი თანამემამულე ბავშვისა და უცხოეთში ინტელექტუალური ტრეფიკინგის მსხვერპლად აქცევს.***

**დიტო ჩუბინიძე**

# სახელისუფლო თამაშები სასიკვდილო შედეგით

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მამული“ № 14-17, 22-28**

პეტრე დიდმა მეფობა ბალტიის ზღვის ნაპირებზე ქალაქის მშენებლობით დაიწყო და ამით „ევროპაში ფანჯარა“ გაჭრა. საფრანგეთის იმპერატორის დებიუტი ქვეყნის დეპარტამენტებად დაყოფა და კანონთა კრებულის შედგენა იყო, რომელსაც ასეც ერქვა — „ნაპოლეონის კოდექსი“. იოსებ სტალინმა პრიორიტეტად ქვეყნის ზეინდუსტრიალიზაციის გრანდიოზული პროგრამა დასახა და იგი ბრწყინვალედ განახორციელა.

კანიბალი ბოკასა, რომელმაც საფრანგეთის კოლონიური არმიის სერჟანტობიდან ამოყო თავი ცენტრალური აფრიკის იმპერიის იმპერატორად, დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი პოტენციური მეტოქეების, აშკარა და ფარული ავისმსურველების, მათი ცოლების, შვილების, შორეულ-ახლობელი ნათესავების, მეგობარ-ნაცნობების სანსვლას, არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით.

რა თქმა უნდა, ყოველგვარი ისტორიული პარალელი სარისკოა. ეს კი — საზარელი, მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ვინმე მურტალოს მტკვრის კი არა, ვთქვათ, კონგოს ან ლიმპოპოს ნაპირებზე ეცხოვრა. და არარაობიდან ასევე მიეღწია ერთ-ერთი კაციჭამიური ტომის ბელადობისთვის. რა მოხდებოდა?

პასუხი არ მესმის. ამ კითხვას ვხსნი.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ დარაბებს მიღმა ნეტარხსენებული 37 წელია. და მურტალო პაიკობიდან ისევ ლაზიერად გადის, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ხდება. მოსკოვში კი, ლუბიანკაზე, „მეჯლისის“ შინაგან საქმეთა სახკომი, ამხანაგი ნიკოლაი ეჟოვი მართავს, რომელიც რეგულარულად უგზავნის „მოძმე“ რესპუბლიკებს დახვრეტის „ლიმიტებს“.

როგორ ფიქრობთ, განახორციელებდა თუ არა მათ ზემოთ აღნიშნული მურტალო? შეასრულებდა ზედმიწევნით ან გადაჭარბებითაც კი? ან იქნებ „შემხვედრი გეგმით“ და დახვრეტის ახალი ვალდებულებებითაც გამოსულიყო, რადგანაც ეჟოვის რეკომენდაციები მეტად მიზერულია, „სამუშაოთა“ ფრონტი ლუბიანკის ლიმიტის ჩარჩოებში ვერ თავსდება და მას, მურტალოს, ფრთების გაშლის საშუალება არა აქვს.

ეს უკვე სიმართლესთან ახლოა, როგორც იტყვიან, თბილა. მაგრამ რა გაეწყობა, თუკი გვიან დაიბადა და სისხლიან მეჯლისზე მიწვეულთა შორის ვერ მოხვდა. ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ თანავუგრძნოთ მურტალოს და ფიქრებში წარმოვიდგინოთ, ის რომ ოციოდე წლით ადრე დაბადებულიყო, როგორ გულივერ-შემსრულებელს შეიძენდა მძვინვარე ლუბიანკელი ლილიპუტი.

მკითხველის საყურადღებოდ, რათა არავინ იფიქროს, რომ ამ, ჩემი აზრით, ზუსტი და გესლიანი მეტსახელის ავტორობაზე ვაცხადებ პრეტენზიას. აქ, ასე ვთქვათ, მუსიკაც და სიტყვებიც ხალხურია. ხალხი კი, თავადაც იცით, თუ მეტსახელით „გაგაბედნიერებს“, ცხოვრებაში ვეღარ ჩამოირეცხავ.

გუშინდელივით მახსოვს მურტალოს პირველი „ხალხში გამოსვლა“. ჭაღარაქოჩრიანი მაღალშუბლა მამაკაცი, კრემლის კონკლავის სრულუფლებიანი წევრი და საბჭოთა ფორინ-ოფისის ახალი ხელმძღვანელი ცკ-ის აპარატს თავის შემცვლელს წარუდგენს. მაგრამ მემკვიდრე მოუთმენელია, პატრონს სიტყვას აწყვეტინებს, ლამის ხელს ჰკრავს და მიკროფონს ართმევს. და ბურტყუნს იწყებს. ბურტყუნებს მისთვის გამოცხადებულ მაღალ ნდობაზე, ლენინური პარტიის ჯარისკაცობის მაღალ პატივზე, იმაზე, რომ ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს... და ასე შემდეგ. ამავე დროს კი მსუსხავ თვალებს გარინდულ და დაძაბულ დარბაზში აცეცებს — ვისგან დავიწყო?

მის წინ ასი გზა, ათობით ისტორიული მაგალითი იყო. მეტსაც გეტყვით, იმ პერიოდში, როცა „განვითარებული სოციალიზმის“ ყინული დაიბზარა, დიადი იმპერია კი უფსკრულისაკენ გაექანა, ჯუმბერ ილიჩს უნიკალური შესაძლებლობა ჰქონდა, ქართველი ბრაზაუსკასი გამხდარიყო, საქმით ეხელმძღვანელა პარტიისა და ხალხისათვის, სამშობლო მომავალი ქარიშხლებისა და კატაკლიზმებისთვის აერიდებინა, გამხდარიყო მისი არა ფორმალური, არამედ ჭეშმარიტი ლიდერი და ეროვნული გმირი.

სამწუხაროდ, მურტალომ ბრაზაუსკასს ბოკასა ამჯობინა. ამიტომ წესიერად ვერც მოასწრო, ახალი კაბინეტის ზღურბლზე გადაებიჯებინა და საპატიო გვამი ხელმძღვანელ სავარძელში ჩაესვენებინა, რომ მყისვე ანგარიშის გასწორებას შეუდგა. ყველასთან, ვინც მისთვის, მურტალოსთვის, გზის გადარბენას ცდილობდა; ყველასთან, ვინც მას, მურტალოს, ალმაცერად უყურებდა; ყველასთან, ვინც მას, მურტალოს, არასახარბიელოდ მოიხსენიებდა; ყველასთან, ვისი, მომიტევეთ და, ფიზიონომიები მას, მურტალოს, თვალში არ მოსდიოდა. და ამ „უწმინდურთა“ ლეგიონში ყველა მათი შორეული თუ ახლო ნათესავი, მეგობარი, თანამეინახე და უბრალო ნაცნობიც ჩართო.

აბა, მურტალო რისი მურტალოა. ხალხი „ტიტულის“ მინიჭებაში არასოდეს ცდება.

საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ახალმა მდივანმა შემდეგი დიდმნიშვნელოვანი სენტენცია წარმოთქვა:

„მტკიცედ უნდა დავძლიოთ ყოყოჩობის, ბელადომანიის ელემენტები, როდესაც მავანნი ცდილობენ, ყველგან გამოიჩინონ თავი, ყველა დამსახურება თვითონ მიიწერონ. ხელმძღვანელს შინაგანად უნდა ახასიათებდეს ისეთი თვისებები, როგორიცაა თავმდაბლობა, მისაწვდომობა, წესიერება, პრინციპულობა...“

ციცერონი არ არის, რა თქმა უნდა, მაგრამ ციცერონობას არც უმიზნებს, მთელი არსებით ცდილობს, პატარა სამამულო კალიგულა გახდეს.

თუმცა თავს უფლებას მივცემთ და ზემოთ მოტანილ ციტატაში მცირე ცვლილებას შევიტანთ. თავმდაბლობას არაფრისმაქნისობით შევცვლით. მისაწვდომობას — ჩინოსნური მედიდურობით. წესიერებას — ნომენკლატურული სუბორდინაციით. ხოლო პრინციპულობას — აზიური შურისმგებლობით.

## გიორგი ბეზირგანი




და მაშინ, ვფიქრობ, კომუნისტი მურტალოს და კაციჭამია ბოკასას შედარებითი პორტრეტის შავ მონახაზს მივიღებთ.

●

ძველი რომაელი იმპერატორი კალიგულა მწარედ ნანობდა, რომ მის მტრებს ერთი თავი არ ჰქონდათ, რომელსაც ერთი დარტყმით მოკვეთდა. მურტალოს ამასთან დაკავშირებით ფუჭი ილუზიები არ აწუხებდა. მან იცოდა — რამდენი მტერიც ჰყავს, თავიც იმდენია და წინ ზღვა სამუშაო ელის. დაწყებით, ბუნებრივია, „ტუზებისგან“ უნდა დაეწყო, თუმცა, ერთი წუთით არ უნდა გაეშვა თვალთახედვის არიდან „ექვსიანები“. სოლიკო ხაბეიშვილის ბედზე რაღაც-რაღაცები გიამბეთ და კიდევ ბევრს მოგიყვებით. მკითხველმა ისიც იცის, რა სასწაულით გადაურჩა მურტალოს მარყუჟს გურამ გაბუნიას კისერი. მაგრამ აი, სულ წინა რიგებში კიდევ ერთი მტრის — საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის **ჟიული შარტავას** ფიგურა მოჩანს. არა, მეტოქე არ არის, მაგრამ ხომ შეიძლება, ნებისმიერ წუთში გახდეს. მეტისმეტად ფართოდ მიაბიჯებს, დაუცხრომელ ენერგიას აფრქვევს, როგორც ყველა დროის საუკეთესო ტანკი, ლეგენდარული სტალინური ტ-34. და, რაც მთავარია, ახალგაზრდობის ფართო წრეებში უდავო სიმპათიითა და საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობს. და კიდევ — ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ — ოდესღაც ჟიული შარტავამ, რომელმაც საქართველოს კომკავშირის ლიდერის პოსტზე ჯუმბერ ილიჩი შეცვალა, თავს შეუწყნარებელი უტაქტობის უფლება მისცა. აპარატთან ჩატარებულ ლამის პირველივე სადირექტივო თათბირზე ახალ მოთხოვნებთან დაკავშირებით ზოგიერთი კომკავშირული ფუნქციონერის გამოთქმული უკმაყოფილების პასუხად „ჯუმბერ ილიჩის დროს ისეთი წესრიგი იყო, რომ...“ ჟიულიმ მკვახედ განაცხადა: „ახლა კი ყველაფერი სხვაგვარად იქნება.“

●

მურტალოს, იმ დროს გორის რაიკომის პირველ მდივანს, მოხალისეები აუცილებლად მიუტანენ ენას. და ისიც თავისი შემცვლელის ამ გაუფრთხილებელ განცხადებას კარგად დაიმახსოვრებს. არც მაშინ დაივიწყებს, როცა სოფლის მეურნეობის დარგში ცკ-ის მდივანი გახდება. ხოლო როდესაც წოდებას ეპითეტ „პირველს“ მიამაგრებს, რა თქმა უნდა, სათანადო ორგზომებს მიიღებს.

მაგრამ აქ, ალბათ, „ბოლო გაწევის“ მკითხველს უნდა ავუხსნათ, რას ნიშნავს ორგგანყოფილების გამგე. ეს, ფაქტობრივად, მეორე კაცია პარტიულ აპარატში. დარგობრივი მდივნები თავთავიანთ ეპარქიებს უძღვებიან, ის კი უკლებლივ ყველაფერს, რამეთუ მისი კონტროლის ქვეშ ყველა ნომენკლატურული კადრი და აბსოლუტურად ყველა პარტორგანიზაცია იმყოფება. ორგგანყოფილების გამგე იგივეა, რაც შტაბის უფროსი მეთაურისათვის. ასე რომ, თავად გადაწყვიტეთ, შეეძლო თუ არა თანამშრომლობა თავის შტაბის უფროსთან ქართველ კომუნისტთა გამობრძმედილი რაზმის მეთაურს?

პირადად ჩემთვის ამ კითხვაზე პასუხი აშკარაა. რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ჰოდა, ჟიული შარტავაც — იმავე მოხალისეთა მოსწრებული გამოთქმით, „ნაკელის გროვაში“ — საბინაო-საყოფაცხოვრებო მეურნეობის მინისტრის მოადგილის პოსტზე აღმოჩნდა. რას დასცინებდნენ მურტალოს მუქთახორები (პატრონის ჩაწოდებით ხომ არა?!) „საზოგადოებრივი ტუალეტების მთავარ ზედამხედველს“?

ეს მხოლოდ დასაწყისია, ქალბატონებო და ბატონებო! შარტავას ახალ კაბინეტში მისი სამუშაო მაგიდის ქვეშ ფარულად აყენებენ მოსასმენ მოწყობილობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „დამუშავება“ გრძელდება. მისი შედეგები ადვილი წარმოსადგენია. საბედნიეროდ, ჟიულიმ დროულად გამოთვალა ეს პროვოკატორული გამოხდომა. იხსნიდა თუ არა ეს პატრონის რისხვისაგან? ვფიქრობ, ნაკლებად. რამდენადაც, უეჭველია, სხვა ვარიანტებიც გათვალისწინებული იქნებოდა.

ეჰ, რა სამწუხაროდ მოკლე ვადა ერგო მურტალოს. აპრილის ქარიშხალმა წაიღო. თორემ... ის ხომ... ყველას...

●

და მაინც, საკადრისი მივაგოთ „ახალ ცოცხსა“ და მის „მეეზოვეებს“ — მოკლე ხანში ბევრი რამ გაკეთდა. მურტალოსა და მისი რაზმის მომზადებული პროსკრიფციები ფორმით შთამბეჭდავი და შინაარსით უზადო იყო. იმას ვგულისხმობ, რომ არავინ და არაფერი ყოფილა დავიწყებული. არც სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან მოხსნილი **სულიკო ქადაგიძე** (ხალხის მტრის მეგობარი). თქმაც კი მიჭირს, მან ინსტიტუტის აპარატურა რეჟისორ **თენგიზ აბულაძეს** დაუთმო „ანტისაბჭოთა“ ფილმის „მონანიების“ ვიდეოასლების გადასაღებად.

ბუნებრივია, არც ხალხის მტრის მეორე მეგობარი დავიწყებიათ — **ვლადიმერ მალოვიჩკო,** საქართველოს მინისტრთა საბჭოს საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის დირექტორი, სპორტსმენი, მოთხილამურეთა მწვრთნელი, ზღაპარ-ქალაქ გუდაურის ერთ-ერთი შემქმნელი. დიდხანს არ უფიქრიათ, ისე გარიცხეს პარტიიდან... ერთ-ერთი წაკითხული ლექციიდან პარტიული საწევროს გადაუხდელობის გამო. რა თქმა უნდა, ყველა კომუნისტი რომ გაწმინდო, ვინც მშობლიურ პარტიას შემოსავლებს უმალავს — ოფლად დაიღვრები. და გამორიცხული არ არის, რომ ამ შემთხვევაში „ისტორიის ლოკომოტივზე“ არც ორთქლმავლის ბრიგადა დარჩეს, არც — გამცილებლები, არც — მგზავრები. არავინ, მემანქანის გარდა. მაგრამ რა საჭიროა ასეთი სიმკაცრე? ყველა არ გვინდა, მარტო ისინი, რომლებიც... და პარტიული მუნდირის ღირსებაც დაცულია. და შურისგების წყურვილიც აღარ აშრობს ყელს.

მალოვიჩკოს ბედმა გაუღიმა. სხვა „გუდაურელებს“ ზოგს ნარკოტიკი მიუგდეს, ზოგს სათხილამურო მოწყობილობების კონტრაბანდა დააბრალეს და ციხეში ჩაამწყვდიეს. თავად გუდაური კი დახურეს. დიახ, დიახ, არ მოგესმათ, სწორედაც, დახურეს... მზის გაზრდილ რადიაციასთან დაკავშირებით. ოღონდ, მოთხილამურეთა, სპორტსმენთა და უბრალო ტურისტთა მრავალი თაობის საბედნიეროდ, დემონტაჟი ან ისე წაბილწვა ვერ მოასწრეს, როგორც მურტალოს მმართველობის წლებში მთელი რესპუბლიკა წაიბილწა.

**ლინა დერტკინა** სახალხო მოხმარების საქონლის ცენტრის ხელმძღვანელი იყო. დიდი ვერაფერი ჩიტია ჯუმბერ ილიჩისათვის, მაგრამ, ჯერ ერთი, არ დაგავიწყდეთ, ეს ცენტრი **სოლიკო ხაბეიშვილის** ინიციატივით და ძალისხმევით შეიქმნა. მეორე, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ხსენებული ლინა „ხალხის მტრის“ მეუღლის **ბიულის** მეგობარი იყო. და რა მოხდა? იყო ლინა და აღარ იყო ლინა. ხოლო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ (ცენტრი ამ სამინისტროს ემორჩილებოდა), რომელიც ჯერ კიდევ გუშინ პირმოთნე სახით ფორთხვით შედიოდა სოლიკოს კაბინეტში — „რას ინებებთ?“, კოლეგიაზე დერტკინას მოხსნის დროს განაცხადა:

— ეს ქალი ბანდიტი ხაბეიშვილის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა.

ეჰ, ვგრძნობ, ჩვენი თხრობა ძალიან შორს წაგვიყვანს. მაგრამ არ შემიძლია, კიდევ ერთი პიკანტური ეპიზოდი არ გიამბოთ. თბილისის ზღვაზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ „ხალხის მტრის“ შვილი **ბიბი ხაბეიშვილი** თბილისის სამედიცინო ინსტიტუტიდან მოსკოვში გადავიდა. მიზეზი აშკარაა — სასწაულით გადარჩენილ და ტრავმირებულ ბავშვს გარემო უნდა გამოეცვალა. ყველაფერი წესით და რიგით, კანონის თანახმად გაკეთდა. და აი, დილაუთენია რექტორის კაბინეტში თბილისიდან საგანგებოდ მივლინებული ორი მუქთახორა შედის მოსკოვში კანონის დარღვევით გადაყვანილი გოგოს გარიცხვის მოთხოვნით. რექტორი ხელებს შლის — სტუდენტის გარიცხვისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ის ფრიადოსანია, ფაკულტეტის სიამაყე.

— და მიუხედავად ამისა, გთხოვთ, გარიცხოთ, — თავისას არ იშლიან მუქთახორები, — თანაც მამამისი გაქანებული მექრთამეა, ციხეში ზის.

— ეს გარიცხვის საფუძველი არ არის, — ამბობს რექტორი, — შვილი მამის გამო პასუხს არ აგებს. ვიმეორებ, ხაბეიშვილი სამაგალითო სტუდენტია და ის ჩემს ინსტიტუტში სწავლას გააგრძელებს.

მაშინ თბილისელი მუქთახორები უკანასკნელ, მათი აზრით, ყველაზე ქმედით საშუალებას მიმართავენ.

— ჩვენი სახელით ხომ არ მოვსულვართ, — უცხადებენ ისინი მხცოვან მეცნიერს, — ჩვენი ცკ-ის პირველი მდივნის, ამხანაგ ჯუმბერ პატიაშვილის სურვილს გადმოგცემთ.

მაგრამ მეცნიერზე ქართველი ნაცვლის მრისხანე სახელი მოსალოდნელ მაგიურ ზემოქმედებას არ ახდენს.

— იცით, რა, ჩემო კარგებო, — ამბობს ის, — კარი პირდაპირ თქვენ უკანაა. კეთილი ინებეთ, გააღეთ იგი და მეორე მხრიდან რაც შეიძლება მჭიდროდ დახურეთ.

შესაძლოა, მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის კაბინეტში შემდგარი საუბარი სიტყვასიტყვით ვერ გადმოვეცი. მამა უკვე ორთაჭალის ციხის აქოთებულ საკანში ლპებოდა და ვიღაცას ერთი სული ჰქონდა, შვილიც ასეთივე „სასტუმროში“ გაემწესებინა. როგორ აპირებდნენ ამის გაკეთებას — აწი მოგიყვებით.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. რექტორმა ყურად არ იღო ისეთი მნიშვნელოვანი პერსონის „სურვილი“, როგორიც მურტალო იყო და მისი ემისრები გამოაბუნძულა.

მადლობა შენ, რექტორო, გულითადი მადლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ საქართველოს დედაქალაქს დღეს ერთ-ერთი საუკეთესო კარდიოლოგი არ ეყოლებოდა, რომელმაც არა მხოლოდ ამ სტრიქონების ავტორის, არამედ ასობით სხვა ავადმყოფის გული აამუშავა. და რამდენი კიდევ ელოდება მას — „ექიმ გოგის“!





***მეოცე საუკუნის სკანდალურად გენიალური მხატვარი სალვადორ დალი მეორე მსოფლიო ომის დროს ქმნის ფერწერულ ტილოს, რომლის შინაარსი XXI საუკუნეში ხდება აქტუალური... „ცისკრის“ სტუმარია ტექნიკური მეცნიერებათა კანდიდატი, საბრძოლო ხელოვნების ოსტატი და ქართული კულტურის მკვლევარი ბატონი იური ყეინაშვილი. სულ მალე გამოქვეყნდება მისი წიგნი, რომელშიც ქართული ცივილიზაციის საწყისებზეა მსჯელობა და რომლის გარეკანსაც სალვადორ დალის ზემოთ აღნიშნული ფერწერული ტილოს რეპროდუქცია ამშვენებს.***

**— ბატონო იური, ალბათ, შემთხვევითი არ არის ის, რომ თქვენი წიგნის გარეკანზე სალვადორ დალის ნახატის რეპროდუქციაა?**

— ამ ნახატს ავტორმა ასე დაარქვა: „გეოპოლიტიკური არსება ახალი ადამიანის დაბადებას აკვირდება“. ორი მომენტია საყურადღებო ამ ტილოსთან დაკავშირებით: პირველი — გეოპოლიტიკური არსება საქართველოს ტერიტორიისკენ, კოლხეთისკენ იშვერს ხელს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ცივილიზაცია დედამიწაზე საქართველოდან, ძველი კოლხეთიდან დაიწყო. ამიტომაც ავირჩიე ეს ნახატი წიგნის გარეკანისთვის. მეორე მნიშვნელოვანი დეტალია ის, რომ მხატვარმა გამოიყენა ტერმინი — „გეოპოლიტიკური არსება“. ეს არსება, როგორც ნახატიდან ჩანს, არც კაცია და არც ქალი, მასში ორივე საწყისია, თუმცა, დომინანტი მამრია.

**— ეს როგორ უნდა გავიგოთ?**

— სიმბოლიკაა, პირდაპირ ამის გაგება არ შეიძლება, ვფიქრობ, ჭაბუკი ღმერთია. საერთოდ, გენიალური ადამიანები განსხვავდებიან ჩვეულებრივი მოკვდავებისგან, ისინი კოსმოგონიური ინფორმაციის მატარებლები არიან. სალვადორ დალიმ ფერწერით გამოხატა თავისი კოსმიური იდეები და ხედვა. XXI საუკუნე საყოველთაო გლობალიზაციისა და დიდი აღმოჩენების ეპოქად არის მიჩნეული. კონკრეტულად ამ ტილოსთან დაკავშირებით საგულისხმოა ის, რომ 2000 წელს ბოლნისში უძველესი ადამიანების ნეშტი აღმოაჩინეს, რომლებიც შემდგომ პირველ ევროპელებად აღიარეს მეცნიერებმა. დღეს მათ „ზეზვასა და მზიას“ სახელით მსოფლიო იცნობს.

**— თქვენ ამბობთ, რომ ტილოზე აღბეჭდილი „გეოპოლიტიკური არსება“ კოლხეთის ტერიტორიაზე მიუთითებს. რა გაძლევთ იმის საფუძველს, რომ დაბეჯითებით ამტკიცოთ ეს?**

— ნახატის სიუჟეტის ფონია ლანდშაფტი, რომლის მარცხენა კუთხეში კოშკია აღმართული. ასეთ კოშკებს ძველ კოლხეთში აშენებდნენ. მოგეხსენებათ, სალვადორ დალი სიურეალიზმის მიმდევარი იყო. ძნელი სათქმელია, უწყოდა თუ არა მან რაიმე კოლხეთის უძველესი კულტურის შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ მისი სიურეალისტური ხედვა, აზროვნება, გარკვეულწილად რეალური გახდა XXI საუკუნეში. ტერმინი — გეოპოლიტიკა, რაც ცივილიზაციათა გლობალიზაციას ნიშნავს, აქტუალურია დღეს. ხოლო ის, რომ „პირველი ევროპელები“ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს, უკვე ფაქტია, რაც იმას ამტკიცებს, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი საქართველოში დაირწა.

**— სალვადორ დალის დახატული აქვს კვერცხის ფორმის პლანეტა დედამიწა, რომლის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილის რუკაა გამოსახული. აქცენტს აკეთებს ტერიტორიაზე, რომელიც შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის არის მოქცეული. მხატვარი თავის აზრს აშკარად აფიქსირებს ამ დეტალზე, მაგრამ იგი ამბობს, რომ აქ ახალი ადამიანი უნდა დაიბადოს! „ზეზვა და მზია“ კი პრეისტორიული ხანისანი არიან.**

— იმას, რომ საქართველო მსოფლიო ცივილიზაციის აკვანია, მხოლოდ „ზეზვასა და მზიას“ აღმოჩენა კი არ ადასტურებს, არამედ ჩვენი კულტურა — სიბრძნე, ტრადიციები, სიმღერა, ცეკვა, საბრძოლო ხელოვნება. მე საბრძოლო ხელოვნებას ვსწავლობდი ჩინეთში, იაპონიაში და აღმოვაჩინე, რომ მათ ორთაბრძოლებს ქართული საწყისი აქვს. სწორედ ამას მივუძღვენი ჩემი პირველი წიგნი. ხომ ცნობილია, რომ ღვინო, ფოლადი საქართველომ მისცა მსოფლიოს, პრომეთე კავკასიის მთებზეა მიჯაჭვული, მედეა კოლხეთიდან იყო. ალბათ, ახლო მომავალში „დავით გარეჯის“ წინამდებარე ტერიტორიაზე



მეორე მსოფლიო ომის დროს სალვადორ დალი ემიგრაციაში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობდა. ეს ტილო შექმნილია 1943 წელს ფლორიდის შტატში, ქალაქ პიტსბურგში. „გეოპოლიტიკური არსება ახალი ადამიანის დაბადებას აკვირდება“ – ასე უწოდა თავის ნალვაწს ავტორმა.

# სალვადორ დალის წინასწარმეტყველება საქართველოს შესახებ



არქეოლოგიური მუშაობა დაიწყება. უკვე ცნობილია, რომ იქ, ქვედა შრეებში, შუმერების ქალაქებია, სავარაუდოდ, აქ უნდა იყოს თიხის ფირფიტებიც , რომლებზეც უძველესი ტექსტები იქნება ამოკვეთილი. რაც შეეხება ახალი ადამიანის დაბადებას, მე ასე მესმის: მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი საქართველოში დაირწა და საქართველო პასუხისმგებელია კაცობრიობის მომავალზეც. მესამე ათასწლეული — მილენიუმი, ჰუმანურობის, ურთიერთსიყვარულის, სულიერ ღირებულებათა აღორძინების ეპოქად არის შერაცხილი, ამიტომაც სწორედ საქართველოდან უნდა დაიწყოს ამ მისიის განხორციელება.

**— მაგრამ გლობალიზაცია ყოველივე ტრადიციულს ებრძვის და შლის. ეს პროცესი ძალიან მწვავედ დაიწყო ჩვენში. იქნებ საქართველოში ის კოსმოპოლიტი უნდა დაიბადოს, რომლისთვისაც ყოველივე ქართული მიუღებელი იქნება?**

— გამორიცხულია. გლობალიზაცია ქართულ ტრადიციებს ვერ წაშლის, პირიქით მოხდება. ზედაპირული ევროპული განათლება ვერ გაუძლებს ქართულ სულიერებას, რასაც ჩვენში ძალიან ღრმად აქვს ფესვი გადგმული. განა შემთხვევითია ის, რომ დედამიწიდან კოსმოსში მხოლოდ ერთადერთი სიმღერა, ქართული „ჩაკრულო“ გააგზავნეს?!

*ესაუბრა* **მარიკა კახაძე**



მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ხაბელაშვილების დიდ ოჯახს, ჩემს კოლეგას, ჟურნალ ,,ქართულის‘‘ რედაქტორს გერმანიაში **ნინო ხაბელაშვილს,** გაზეთ ,,მამულის‘‘ რუსული მასალების რედაქტორს, ქალბატონ **მერი ცისკარიძეს** ვულოცავ ძმისშვილისა და შვილიშვილის, პატარა **ნიკოლოზის** დაბადებას სამშობლოდან შორს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ვუსურვებ, რომ გაზრდილიყოს ისეთი ქართველი, რომ გაეკვირვებინოს სრულიად ჩინეთი. რედაქტორი



დაბადების დღესა და ნიკოლოზობას
ვულოცავ დიდ ქვეყანაში დაბადებულ პატარა ქართველს
**ნიკოლოზ ამბროსიძეს**
ჭეშმარიტ ქართველად აღზრდას,
ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და
უფლის მადლს ვუსურვებ!
მეგობრების სახელით: **მანუჩარ კაჭახიძე**

# სტალინის ქალები

**_იოსებ სტალინის ფენომენის შესახებ დისკუსია, უდავოა, 21-ე საუკუნეშიც გაგრძელდება: მასშტაბებია უდიდესი. მაგრამ ამ წერილში შევეცდებით, ვილაპარაკოთ მასზე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანზე, რომელსაც უყვარდა და რომელიც უყვარდათ. მისი პირადი ცხოვრების ამ მხარეზე გვექნება საუბარი._**

## რა ჭორებს ავრცელებენ სტალინის პირადი ცხოვრების შესახებ



იოსებ სტალინი პირველი მეუღლის — ეკატერინე სვანიძის ცხედართან

ჭორებსა და ინსინუაციებს, ჭეშმარიტად, არა აქვს საზღვარი. არც სტალინი დაინდო ენამრუშობამ. სიბინძურის ქექვა უღირსთა საქმეა, აქ მხოლოდ ერთ დამახასიათებელ მაგალითს მოვიყვან. შარშან ერთმა რუსულმა გამოცემამ უკადრებელი იკადრა: **თითქოს 19 წლის სოსო ჯუღაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიიდან აკრძალული ლიტერატურის კითხვისთვის, ანუ რევოლუციური იდეებით გატაცების გამო კი არ გაურიცხავთ, არამედ... ვიღაც ქალს მისგან ბუში რომ გაჩენია, იმიტომო** (?!). მრავალი ათეული წლის მერე — 1938 წლის აპრილში, ვინმე მ. მიხაილოვსკაია წერილით მიმართავს სტალინს და შეახსენებს, მიხედოს თავის „შვილს“ — პაშას.

ასეთი „ლეიტენანტ შმიდტის შვილები“, ჩვეულებრივ, დროდადრო ჩნდებიან ხოლმე, არსაიდან, როგორც კურდღლები ილუზიონისტის ცილინდრიდან, და ყოველთვის ასევე არარაობაში უჩინარდებიან.

ეს წერილი შინსახკომიდან სტალინის სამდივნოში გადაუგზავნიათ: აზრადაც არავის მოსვლია ამ სულელური „დოკუმენტის“ გაქრობა — რამდენი გიჟი დადის ქვეყანაზე! ერთი მათგანი 21-ე საუკუნეშიც გადმოსულა, ამოუქექავს ეს წერილი და ხელზე დაუხვევია: თავისუფალიაო, აკი უთქვამთ, გიჟი.

მაგრამ მხოლოდ გაქილიკების დონეზე რომ არ დავტოვოთ ეს ინსინუაცია, ჩავიხედოთ თბილისის სასულიერო სემინარიის დოკუმენტებში. ჩავიხედოთ და, რამდენიც უნდა ვეცადოთ, ვერაფერს აღმოვაჩენთ სემინარისტ ჯუღაშვილის ამორალური საქციელის მიმანიშნებელს. სამაგიეროდ, „მოსწავლეთა გადაცდომების ჟურნალია“ აჭრელებული ჭაბუკ სოსო ჯუღაშვილის თავისუფლად მოაზროვნეობისა და მეამბოხეობის დამადასტურებელი ჩანაწერებით: **„აღსაზრდელ ი. ჯუღაშვილის მიერ აკრძალული წიგნების კითხვის შესახებ“ (მათ შორის დასახელებულია ვიქტორ ჰიუგოს რომანი „ზღვის მაშვრალნი“); „ი. ჯუღაშვილის მიერ არალეგალური ხელნაწერი ჟურნალის გამოცემის შესახებ“; „კითხულობდა აკრძალულ წიგნებს“; „უხეშად ელაპარაკა ინსპექციას“; „ი. ჯუღაშვილთან ჩატარებულია ჩხრეკა, ეძებდნენ აკრძალულ წიგნებს“ და სხვა.**

როგორ ფიქრობთ, ამ ბუნტარული სულით გამსჭვალული, სემინარიისთვის მიუღებელი მოსწავლის წინააღმდეგ სხვა მამხილებელ მასალებს არ გამოიყენებდა ადმინისტრაცია? გამოიყენებდა, მაგრამ ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობდა.

**სტალინი ბუნებით, ცხოვრების წესით ასკეტი გახლდათ.**

**მის ცხოვრებაში პირველი ქალი და პირველი სიყვარული მისი მეუღლე ეკატერინე სვანიძე, რევოლუციონერ ალიოშა სვანიძის ქალიშვილი იყო.**

მათ ეკლესიაში ჯვარი მალულად დაიწერეს, როგორც ტრადიცია ითხოვდა. მალულად, რადგან რევოლუციონერისთვის ჯვრისწერა სირცხვილად ითვლებოდა. მაგრამ **ჯუღაშვილმა ეს აკრძალვა არად ჩააგდო, რადგან უყვარდა.**

მისი თანამებრძოლნი, მეგობრები ამბობდნენ, რომ იგი ლამაზი ახალგაზრდა იყო, რომ მასში ბობოქრობდა შინაგანი ენერგია, რომლის მაგიურ გავლენას ქალებიცა და კაცებიც განიცდიდნენ. „იგი მოსწონდათ ქალებს“, — იხსენებდა ვიაჩესლავ მოლოტოვი, რომელიც კობას მრავალი წლის განმავლობაში გვერდიდან არ მოსცილებია და სხვებზე უკეთ იცნობდა მას...

ახლად დაქორწინებულნი ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდნენ ბაქოს ნავთობსარეწების რაიონში. კატო მკერავად მუშაობდა, ხოლო კობა რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა. ცხოვრობდნენ გაჭირვებით — ფული არ ჰქონდათ. სწორედ უსახსრობამ დაღუპა ეკატერინე; როცა მუცლის ტიფით დაავადდა, ვერც კარგი ექიმი მიუყვანეს, ვერც საჭირო წამლები უშოვეს... დიაგნოზიც ძალიან გვიან დაუსვეს.

1907 წლის 25 ნოემბერს ეკატერინე სვანიძემ ქმრის მკლავებში დალია სული. სტალინის ცხოვრებაში მძიმე პერიოდი დაიწყო: გადასახლებები ციმბირში ერთმანეთს მიჰყვა.

1908 წელს, სოლვიჩეგოდსკში გადასახლების დროს, სტალინი დაუახლოვდა ვინმე სტეფანია პეტროვსკაიას, რევოლუციონერ თავადის ქალს. ამ დასკვნამდე მკვლევარები იმ ფაქტიდან გამომდინარე მიდიან, რომ ორი წლის შემდეგ სტეფანია იოსებ ჯუღაშვილს კავკასიაში ჩამოჰყვა, ხოლო იმ დროს დაპატიმრებულმა სტალინმა ციხის ადმინისტრაციას მიმართა თხოვნით, ნება დაერთოთ, დაქორწინებულიყო პეტროვსკაიაზე. ჟანდარმერიის ჩინოვნიკმა უარი უთხრა. ამის შემდეგ მათი გზები გაიყარა.

**იყო ეს თხოვნა შეუღლების გულწრფელი სურვილით გამოწვეული, თუ ამის უკან რაღაც სხვა, კონსპირაციული ჩანაფიქრი უნდა ვიგულისხმოთ, დღეს ვერავინ დაადგენს.**

1910 წელს სტალინი კვლავ გადაასახლეს სოლვიჩეგოდსკში. ერთი წლის შემდეგ ჩასახლდა იქვე, ახალგაზრდა ქვრივი ქალის მატრიონა კუზაკოვას სახლში. მატრიონას გაუჩნდება შვილი კონსტანტინე, რომელსაც, რა თქმა უნდა, სტალინს მიაწერენ.

ამას კი იმით ადასტურებენ, რომ შორეული სოლვიჩეგოდსკიდან ახალგაზრდა კონსტანტინე კუზაკოვი მოსკოვში ჩამოჰყავთ, ბინას აძლევენ პრესტიჟულ სახლში, ამთავრებინებენ უმაღლეს სასწავლებელს. მთელი თავისი ცხოვრება კუზაკოვი საშუალო რანგის ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობს, მათ შორის, — ცენტრალურ ტელევიზიაში. რატომ უნდა ყოფილიყო აუცილებელი მაინცადამაინც სტალინის შვილობა საამისოდ, აბსოლუტურად გაუგებარია. **განა არ შეეძლო, მადლიერ ადამიანს ამგვარად გადაეხადა მადლობა ციმბირელი მასპინძლის შვილისთვის?!**

**მაგრამ სიკეთის გრძნობისგან დაცლილი ადამიანებისთვის მადლიერების ასეთი ხარისხი, უბრალოდ, გაუგებარია.**

ყველა გადასახლებას თავის „რომანს“ მიაწერენ. ტურუხანსკის მხარეში გადასახლება სტალინის პირადი ცხოვრების მქექავებმა კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალით „გაამდიდრეს“ — ლიდია პერელგინათი, თუმცა, თავადვე დასძენენ, რომ არავინ იცის, როგორ „ვითარდებოდა“ ეს „რომანი“.

არგუმენტები არ გაინტერესებთ? თურმე, იმ ღმერთისგან დავიწყებულ იმიერპოლარულ სოფელ კურეიკაში ყოფილა ლიდიაზე შეყვარებული ერთი „სტრაჟნიკი“ ლალეტინი, რომელსაც ეჭვიანობის ნიადაგზე „საქმის შეკერვა“ დაუწყია სტალინზე. მაგრამ მეორე „სტრაჟნიკს“ — მურზლიაკოვს დაუცავს ქართველი რევოლუციონერი — სისულელეაო ეს ყველაფერი.

ლიდიას შესძენია შვილი ალექსანდრე, ლიდია ცოლად გაჰყოლია იმავე სოფლის მკვიდრს, დავიდოვს. ალექსანდრე დავიდოვი 1956 წელს საბჭოთა არმიის მაიორი იყო.

საინტერესოა, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხრუშჩოვის დავალებით ბელადის „კომპრომატებზე“ მუშაობის დროს, „კაგებეს“ გენერალ სეროვს 1956 წელს ამოუქექავს ეს ისტორია, მაგრამ ოცდაათწლიანი საიდუმლო გრიფით დაუსამარებიათ ცეკას არქივებში.

**მართალი რომ ყოფილიყო, რა გააჩერებდა ხრუშჩოვს?**

**ისიც კი მიხვდა, რომ ნაბოდვარი იყო.**

**ქალი, რომელიც სტალინს ძალიან უყვარდა და რომელიც მისი მეორე ცოლი გახდა, ნადეჟდა ალილუევა გახლდათ,** მისი ორი შვილის — სვეტლანასა და ვასილის დედა. სამწუხაროდ, ვერც ამჯერად აეწყო სტალინის პირადი ცხოვრება — 1932 წლის 8 ნოემბერს ნადეჟდა ალილუევამ თავი მოიკლა.

ეს თვითმკვლელობა იმდენმა მკვლევარმა განიხილა, ისე დეტალურად, რომ გამეორებას აზრი ეკარგება. მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება: **ეს ტრაგედია იყო და რჩება ამოუხსნელ საიდუმლოდ.**

ნადეჟდას გარდაცვალების შემდეგ სტალინის პირადი ცხოვრება გარეშე თვალისთვის საერთოდ შეუღწევადი გახდა...

მაგრამ სწორედ ამ დროს დაიბადა კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც, როგორც ირკვევა, სერიოზულად აღიქვამდა გერმანიის დაზვერვაც კი. ლაპარაკია სტალინის „საიდუმლო ცოლზე — როზა კაგანოვიჩზე“, სტალინის თანამებრძოლის ლაზარე კაგანოვიჩის შვილსა თუ დაზე. **ეს რომ სრული სისულელეა, იქიდანაც ჩანს, რომ ამ დროს მაია ლაზარეს ასული კაგანოვიჩი ნორჩი პიონერი იყო, ხოლო კაგანოვიჩის და 1926 წელს — გარდაცვლილი.**

●

1953 წლის 4 მარტს, როცა ბელადის ამქვეყნიური ცხოვრების საათები უკვე დათვლილი იყო და ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა, გიორგი მალენკოვის სახელზე შემდეგი შინაარსის ბარათი მოვიდა:

**„პატივცემულო ამხ. მალენკოვ!**

**მე, ანა რუბინშტეინის (სტალინის ყოფილი ცოლის) ქალიშვილი მისი** *(სტალინის — რედ.)* **ავადმყოფობის გამო გთხოვთ, მომცეთ საშუალება ვინახულო, იგი მე ბავშვობიდან მიცნობს.**

**რეზინა სვეშნიკოვა (ქალიშვილობის გვარი კოსტიუკოვსკაია).**

**თუ მისი ნახვა შეუძლებელია, მაშინ გთხოვთ, მიმიღოთ. გადაუდებელი საქმე მაქვს.**

**4. III. 53“**

ჭეშმარიტად უკვდავია „ლეიტენანტ შმიდტის შვილების“ ფენომენი...



იოსებ სტალინი და მისი მეორე მეუღლე ნადეჟდა ალილუევა



იოსებ სტალინის მეუღლე ნადეჟდა ალილუევა და ქალიშვილი სვეტლანა

**АЛЛИЛУЕВА** (Джугашвили) Надежда Сергеевна (1901, Баку — 9.11.1932, Москва), жена И.В. Сталина. Дочь революционера, «старого большевика» Сергея Яковлевича Аллилуева (1866—1945), по матери — грузинка. Существует мифическая история (не подтвержденная фактами), что в 1903 она упала в реку и была спасена находившимся здесь Сталиным. В 1918 вступила в РКП(б) и вышла замуж за Сталина, который был старше ее более чем на 20 лет. Работала в Наркомате по делам национальностей, в секретариате В.И. Ленина. 10.12.1921 во время чистки исключена из партии, но 14.12.1921 восстановлена кандидатом в члены РКП(б). В 1926 поступила в Московскую Промакадемию. По воспоминаниям современников была хотя и доброй, но психически неуравновешенной женщиной. Покончила жизнь самоубийством (застрелилась). Непосредственной причиной ее поступка стала ссора с мужем на праздничном вечере (где также присутствовали Молотовы и Ворошиловы). Ее скоропостижная смерть стала причиной многих версий, в т.ч. о ее насильственной смерти. От Сталина имела двух детей — Василия (1921) и Светлану (1925).

***კ. ზალესკის წიგნიდან** „ИМПЕРИЯ СТАЛИНА“*

**არმაზ სანებლიძე**

*(ალექსანდრ ბუშკოვის წიგნის — „სტალინი — წითელი მონარქის“ — მიხედვით)*

# სკანდვორდი



მე-7 გვერდიდან

## პრეზიდენტ ბუშის სატელევიზიო მიმართვა ემიგრაციის კანონთან დაკავშირებით

სების მართვას შორის, დაბალანაზღაურებად სამუშაოსა და დიპლომს, კარიერას, საკუთარ სახლს შორის. როდესაც ემიგრანტები შეერწყმებიან ჩვენს საზოგადოებას და წინ წაიწევენ, ისინი განახორციელებენ თავიანთ ოცნებებს, განაახლებენ ჩვენს სულს და საკუთარ წვლილს შეიტანენ ამერიკის ერთობაში.

ამ საღამოს მე პირდაპირ მინდა ვესაუბრო მთავრობის და სენატის წევრებს: საემიგრაციო რეფორმა უნდა იყოს საყოველთაო, რადგან ამ პრობლების თითოეული ელემენტი ერთიანობაში უნდა განვიხილოთ, არადა არც ერთი მათგანი არ გადაიჭრება. თეთრმა სახლმა განსახილველად წარადგინა საემიგრაციო კანონ-პროექტი, სენატმა უნდა წარმოადგინოს პროექტი ამ თვის ბოლოსათვის, რათა ჩვენ ამ ორ კანონ-პროექტს შორის განსხვავებაზე ვიმუშავოთ და კონგრესმა ხელმოსაწერად გადმომცეს საყოველთაო პროექტი, რათა ვაქციო იგი კანონად.

ამერიკამ უნდა წარმართოს კანონი ემიგრაციაზე დასაბუთებული და ურთიერთპატივისცემის ტონით. ეს საკითხი ღრმა ემოციებს იწვევს და როცა ამ საკითხზე ვმუშაობთ, წონასწორობამ არ უნდა გვიღალატოს. ჩვენი ქვეყნის ერთიანობა ხალხის ემოციებზე არ უნდა ავაგოთ, არც პიროვნებათა შიშზე, ემიგრაციის საკითხი პოლიტიკური ქულების დასაგროვებლადაც არ უნდა გამოვიყენოთ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი კამათის და გადაწყვეტილების უკან ცოცხალი არსებები დგას, და ყოველ ცოცხალ არსებას აქვს ღირსება და ფასეულობები, მიუხედავად მათი საემიგრაციო სტატუსისა.

მე ვიცი, რომ ბევრს ჩემს მსმენელს ჰყავს მშობელი ან ბებია-ბაბუა, რომელიც ამ ქვეყანაში უკეთესი ცხოვრების იმედებით სავსე ჩამოვიდა, იცით, რას ნიშნავდა მათთვის თავისუფლება, იცით, რომ მათმა თავდადებულმა შრომა და თავგანწირვამ გახადა ამერიკა უფრო იმედიანი ქვეყანა. როგორც პრეზიდენტს, საშუალება მქონდა შევხვედროდი სხვადასხვა წარმომავლობის ხალხს, და მომესმინა მათგან, რას ნიშნავს მათთვის ამერიკა. ბეთესდას სამხედრო ჰოსპიტალში სტუმრობისას ლაურა და მე შევხვდით დაჭრილ ჯარისკაცს გვადალუპე დენოგენს. მთავარ მსროლელთა ნაწილის სერჟანტი დენოგენი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ჩამოვიდა მექსიკიდან ამეირკაში. ის თავის ოჯახთან ერთად ზაფხულობით მოსავალს იღებდა. შემდეგ, როგორც კი შეძლო, მოხალისედ ჩაეწერა შეერთებული შტატების სამხედრო კორპუსში. ერაყის გათავისუფლების დროს მთავარ მსროლელთა ნაწილის სერჟანტი დენოგენი სერიოზულად დაიჭრა. როდესაც ჰკითხეს, რაიმე სურვილი ხომ არ ჰქონდა, მან დაასახელა ორი: მისი გადამრჩენი კაპიტნის დაწინაურება და შანსი, გამხდარიყო ამერიკის მოქალაქე. როდესაც ამ მამაცმა ჯარისკაცმა მარჯვენა ხელი ასწია და მიიღო ფიცი გამხდარიყო ამერიკის მოქალაქე, რომელსაც ის 26 წელზე მეტი იცავდა, ჩემთვის დიდი პატივი იყო მის გვერდით დგომა.

ჩვენ ყოველთვის სიამაყით მივიღებთ გვადალუპე დენოგენის მსგავს ხალხს. ჩვენი ახალი ემიგრანტები არიან ისეთები, როგორებიც ყოველთვის იყვნენ: ხალხი, რომელიც ყველაფერს გასწირავს თავისუფლებაზე ოცნებისათვის. ამერიკა რჩება ისეთად, როგორიც იყო: დიდი იმედი ჰორიზონტზე, ღია კარი მომავლისაკენ, დალოცვილი და აღქმული ქვეყანა. ჩვენ პატივს ვცემთ იმ ხალხის მონაპოვარს, რომელიც ამ ქვეყანაში ჩამოვიდა, არა აქვს მნიშვნელობა საიდან, რადგან ჩვენ ვენდობით ჩვენი ქვეყნის სულს, რომელმაც ჩვენ ყველა ამერიკელებად გვაქცია - ერთი ერი ღმერთის მფარველობის ქვეშ.

გმადლობთ და ღამე მშვიდობისა!

**2006 წლის 15 მაისი,**
**თეთრი სახლი, ოვალური ოფისი,**
**თარგმნა ლია თუშიშვილმა**

ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი დონისა და ასაკის მსურველებს.
ტელ: 718-784-1337 ლელა

იყიდება ბინა (სასწრაფოდ) მუხიანში, ჩეხური პროექტის, ოთახნახევრიანი, გადაკეთებული სამად, 9-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე, კაპიტალური რემონტით, ბუნებრივი აირით, ტელეფონით, გადიდებული აივნით, ფასი შეთანხმებით. ელენი: 732-826-7243

# მოიგე $75,000* რომ იყიდო სახლი დედისთვის

1994 წლიდან




პლუს 40-ჯერ მოგება $500

ავტომატიურად ერთვებით ამ გათამაშებაში იმ შემთხვევაში, თუ ფულს აგზავნით აშშ-დან სხვა ქვეყნებში. ცალკე არ გჭირდებათ მონაწილეობისათვის თანხის გადახდა. გთხოვთ გაეცნოთ წესებს ამ გათამაშების ოფიციალურ წესდებაში.

1-800-926-9400 www.moneygram.com

*გათამაშება იწყება 2006 წლის 1 აპრილს და მთავრდება 2006 წლის 31 მაისს. მასში მონაწილეობა შეუძლია ამერიკის ტერიტორიაზე მყოფ ყველა სრულწლოვან ადამიანს. ეს გათამაშება ეფუძნება იმ ოფიციალურ წესებს, რომლებიც გამოქვეყნებულია MoneyGram-ის ფილიალებსა თუ www.MoneyGram.com ისვებ-გვერდზე. თამაშში ჩართულია ის ფილიალები, სადაც აკრძალვა არ არის. მთავარი პრიზი გადაიხდება დანაწევრებული სახით ან მთლიანად, ოღონდ ნაკლულად. გაეცანი ოფიციალურ წესებს დეტალურად. ლიცენზირებულია ნიუ-იორკის შტატის საბანკო დეპარტამენტის მიერ, © 2006 MoneyGram, ყველა უფლება დაცულია.

GEMA_MG_10 x 7.5

MoneyGram®

საერთაშორისო ფულადი გზავნილები


მეგობრები **ეთერ წერეთელს** ულოცავენ შვილიშვილის **ანას** ამქვეყნად მოვლინებას. ახალშობილს კი იღბლიანობასა და დღეგრძელობას უსურვებენ.

დაბადების დღეს ვულოცავ **ქეთევან თორაძეს**, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, ქალურ ბედნიერებას, და ერთსაც, - დედობის ულამაზესი გრძნობის განცდასაც.

**მანუჩარ კაჭახიძე**

## მილოცვა

**ლალი თავართქილაძეს**

ჩვენო ლამაზო, ჭკვიანო, ყველასათვის ერთგულო, ოჯახისა და უფლის წინაშე ვალმოხდილო, ამაგდარო დედავ და ბებიავ, გილოცავთ დაბადების დღეს.

თქვენთან ერთად ვარდობისთვის ყველაზე ლამაზი დღესასწაული, თამარობა გვინდა მივულოცოთ თქვენს კუდრაჭა შვილიშვილს **თამარ (ლინდა) ხალვაშს**.

ზნეობის, ყველა სიძნელის გამარტივების, სილაღის გრძნობა არ შეგნელებოდეთ, ჯანმრთელობა, სიხარული, ბარაქა თქვენ! უფლის გზით გევლოს პატარა თამარ, დედალვთისმშობელმა გადაგაფაროს თავისი კალთა და ემაყოს შენი დედოფლობით შენს ლამაზ ბებიას.

**მეგობრების ჯგუფი**


**მონიშნეთ კალენდარზე**

ანსამბლი „მოცეკვავე წეროები“ და რუსულ-ამერიკული კულტურის ცენტრი

**გიწვევთ**

ქართული და რუსული რომანსების საღამო

**კვირას, 4 ივნისს, საღამოს 5 საათზე**

**Temple Beth Abraham**
**301 Seabreeze Ave, Brighton Beach, Brooklyn**

ბილეთის ფასი: 15$-დან 25$

ინფორმაციისათვის დარეკეთ:

**646-831-0554; 845-986-2638**

This event is made possible in part with public funds from the New York State Council on the Arts, a state agency, and the New York City Department of Cultural Affairs



იყიდება ბინა ვაჟა-ფშაველას ძეგლთან 11-სართულიან ელიტალური პროექტის სახლში მე-10 სართულზე (მშენებლობა დამთავრებულია, მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები), ფართი 130 კვადრატული მეტრი ორი აივნით. ფასი შეთანხმებით. ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისში 21-55-98; (99)51-40-01; აშშ-ში (848)4484374





ისარგებლეთ MoneyGram-ის შესაძლებლობებით

- ფულის შესაძლო გადაადგილება
- ფულადი გადარიცხვები
- გადახდა ანგარიშით

დღესვე გახდის MoneyGram-ის აგენტი და ისარგებლეთ უპირატესობებით, რომლებიც კომპანია აძლევს თქვენი ბიზნესისათვის და მისი კლიენტებისათვის

- გაზარდეთ შემოსავლები
- მიიზიდეთ ახალი მომხმარებლები და დაუმატეთ ტრაფიკი
- გაიმაგრეთ თქვენი პოზიციები ბაზარზე
- წუთებში გავრცელება მთელ მსოფლიოში *

დამატებითი ინფორმაციისათვის თუ როგორ გახდეთ Money Gram-ის აგენტი შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ოლგა ჩუდაკოვას ( East Coast ) at 1-800-6244606 x 2380 მაგდალინა მიკოვას (West Coast) at (612) 845-6148.

MoneyGram®

*სფერო აგენტის სამუშაო დროისა და მისი შრომისუნარიანობის შესახებ.
ლიცენზირებულია როგორც MoneyTransmitter ნიუ-იორკის შტატის საბანკო დეპარტამენტის მიერ.
2006 Money Gram. ყველა უფლებით.


17-18 ივნისს,
პირველად ამერიკაში
ქართული «იუმორინა»
ნიუ-იორკში
მამუკა ლომაშვილი
ბესო ბერულაშვილი
ზურა ბერიკაშვილი
მე–8 გასასვლელი ბელტ პარკვეიდან, და პირველივე შენობა მარჯვნივ
LINCOLN
HIGH SCHOOL
2800 Ocean Parkway
Brooklyn, NY
შაბათს,
17 ივნისს
6 საათზე
ნინაკა ბელაშვილი
ვლად არამოვი
კვირას,
18 ივნისს
5 საათზე
ზურაბ ჯაში
თამთა პატაშური
იჩქარეთ,
ბილეთების
შეძენა!
მერაბ ბეზეჭკორი
მამუკა ონაშვილი
დათო როსტომაშვილი
ზურა დოიჯაშვილი
347-528-0037;
347-782-6189
347-451-9435;
THEATR MILLENUM:
718-615-1500
CAUCASUS EXPRESS:
718-934-1700
www.russianny.com